



# მოსახლე

თვეური ჟურნალი

წელიწადი მეორე

**№ IX**

სამბათაბანი, 1895



ტფილისი

საქართველოს კავშირის გამომცემი საზოგადოება, ტფილისი, 1895

1895

## შ ი ნ ბ ა რ ს ი

პალეს დარდი.—ამბავი ა. ნადირაძისა . . . . .	ბმ <sup>0</sup> 1
II მშვიდობით. — სურათები სამეგრელოს ცხოვრებისა თ-- ღისა . . . . .	9
III ცაცხლითა და მახვილითა.—ნაწილი მეორე.—თავი XI.— რომანი გენრეკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ე—ძისა . . . . .	54
IV ბანთიადი.—რომანი ეჟისა, თარგმანი თ. სახოკაძისა . . . . .	85
V მთიულეთი 1804 წელსა.—VIII—ისტორიული ამბავი ალ. ფორნელისა . . . . .	1
VI სასწაულია თუ არა?—გ. ბ—შე . . . . .	29
VII რამ და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოქმენება.— V.—სადღეები მასჯლის მდგომარეობა და იმის მნიშვნე- ლობა. —პროფესორის ვ. შეტრიაშვილისა . . . . .	37
VIII ჩემი დღიურიდან.—ახუკინჯისა . . . . .	58
IX ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლ- წერა.—შ. ჭანაიასა . . . . .	81
X კროვინციის ცხოვრება.—(ხმა იერის ხეობიდან) აერე- ძისა . . . . .	99
XI განცხადებანი . . . . .	
დამატებია:	
XII საქართველოს სიკვლევნი . . . . .	64—80

ე. შაინაშვილი

8(05)

280

# მ ლ ა მ ბ ე

თეიურნი ქუჩნალი

P-23824

წელიწადი მეორე

№ II

თებერვალი, 1895



ტფილისი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემი

1895

Дозволено цензурою. Тифлисъ 18 Февраля 1895 года.

# შ ი ნ ა რ ს ი

I ვარიანტიანთ ნინო.—მოთხრობა საქართველოს ცხოვრებიდან ანტონ ლესცისა, თარგმანი გერმანულით	გვ. 1
II ხევისბერი სიმეონი.—შეკრებილი დ. როსტომიშვილის მიერ	45
III ბოგია.—მოთხრობა განდგომისა	47
IV ბედის სიმეონი.—მოთხრობა ყოფილ ქონესი, თარგმანი ნანო დოღობერიძისა	80
V ბავშვობის ასობის შემთხვევა.—ლეკი გ. ჭაღადადისა	119
VI ცხელითა და მაცივითა.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გ. ყ.—ქისა (გაგრძელება)	121
VII აივანო.—რომანი ვალტერ სკოტისა, თარგმანი (დასასრული)	160
VIII ევლიუტია სალიკო კოფიჩისა საზრდადითი მ. X I X საუკუნეში.—V, VI.—კიტა აბაშიძისა	1
IX კამ და მისი სხვა-და-სხვა ბავარდ ბამბახება.—პროფესორის ვ. შერტინაშვილისა (გაგრძელება)	19
X სახალხო კოფია და მისი საკვადობა, სახეობის და სამეცნიერო მნიშვნელობა.—VI —მ. კელ—სა	43
XI ქართული მუსიკა —ილ. ჯალგარეთისა	54

XII **განსამრჯელო სალიტერატურო ფრომისათვის.** — ჰეტრე უმიკაშვილისა . . . . . 70

XIII **პროვინციის ცხოვრება.** — **კახეთი.** — I. — **კახეთი დიდი ავადმყოფია.** — ზედა-ზედ მოუსაგლობა ხუთის წლისა. — თელავი და ახალი დარგი ვაქრობისა. — ვინ და რა ასულდგმულებს ამ ვაქრობას. — ძალ-ღონე გამოლოყული გლეხ-კაცობა. — მიზეზნი ჭირნახულის მოუსაგლობისა. — ვენახები. — შულავერ-რატეენის დვინოები თელავში. — ერთს მარცხს მეორე და მესამე მოსდევს. — ვაქრობით გასყიდვა გლეხთა ავლა-დიდებისა ნაფარეულსა და ენისელში. — ზემო-კახეთს სამოვარი ადგილი არა აქვს და სახნაფიც ძალიან მცირეჲ მოემოება. — დავალიანება კახეთის გლეხ-კაცობისა. — უზომოდ დიდი სარგებელი. — მცირედი საღსარი ხსნისა. — **აბრამძისა** . . . . . 90

— II. — **სარწმუნოების მიძინებული ვარძობა.** — ამის მიზეზი. — ვინ უნდა უწინამძღვროს სოფელს. — მდვდლისა და მასწავლებლის მოვალეობა. — სოფლის მრავალი გაჭირება. — სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. — **თ. მ — ს** . . . . . 99

**ქრონიკა:**

XIV **უცხოეთის მიმოხილვა.** — **ახალი ვითომ-ცვლილება საზრანავითი.** — **ნ. ნიკოლაძისა** . . . . . 109

XV **განცხადებანი.**

**რედაქციისაგან**

ამ ნომრისათვის მომზადებული შინაური მამოხილვა «**ოცნება და იმედია**» ბ-ნ ნ. ნიკოლაძისა და «**ჩემი დღიურია**» ი. სონელისა, სასწუხსაირად, კერ. იბეჭდება.



— ვაიმე, ვაიმე, რომ შენი კარგი დედა ცოცხალი აღარ არის. ოჰ, ეხლა ეგრე რომ ენახე! შენი ყურება უკვდავებაა სწორედ, უკვდავება.

— კარგია, კარგი, სოფიო, გეყოფა, — უთხრა ვითომ-და გაჯავრებით ნინომ და მოხუცებულს გამდელს ხელი გამოაცალა.

— მეყოფა რა პასუხიას! რა გამაჩუმებს! სანამ შენს მშვენიერს სახეს შევეცქერი. ოჰ, ბებია შენს როგორ გაეხარდება! მოდი, ჩქარა წაგიყვანო იმასთან, ზეით თავის ოთახში ზის და გელის. ზამთარში რომ კაცს გაზაფხული დაენატრება, ისე ენატრება ეხლა იმასაც შენი ნახვა, ჩემო მისის ვარდო. რომ იცოდე, რამდენს ვლოცულობდით და ვევედრებოდით ღმერთს შენის გულისთვის; ან ეხლა რამდენს სამადლობელს გადავიხდით, რომ ღმერთმა და მისმა წმინდა ანგელოზებმა ვედრება შეგვისმინეს. ჩემო მშვენიერო, ჩემო ნეტარებავ, ჩემო მზეო!

— დაბადე ერთი, ეს შლიაპა და წამოსასხამი მაინც დავაწყო სადმე, — შეევედრა ნინო და შევიდა დერეფანში, სადაც ნიკოია მზარეული და მემარნე გიორგა წინ მიეგებნენ და მდაბლად თავი დაუკრეს.

— მოიფშენიტეთ თქვენი ნამძინარევი თვალები, — შეუტია მათ სოფიომ. — შეჭხედეთ რა ლამაზია, ნამდვილი მისის ვარდი არ არის? აბა, კარგა შეჭხედეთ.

ნიკოიამ და გიორგამ თვალები კი არა, ტუჩებიც მოიფშენიტეს და ხმა-ამოუღებლივ დაუწყეს ნინოს გაშტერებით ყურება.

— მოიცადე, ჩემო საუნჯე, მეც გიშველი, — უთხრა სოფიომ ნინოს და შლიაპას წასწვდა.

— არა, არა, ხელები ჭუჭყიანი გექნება, — მიუგო ნინომ, მოირიდა სოფიო და თითონვე მოიხადა შლიაპა და წამოსასხამი მოიხსნა. სოფიომ რომ ასე დაინახა, ხელი-ხელს შემოაჭკრა და დაიკვილა.

— ზღაპარშიაც არ გაგონილა ასეთი მშვენიერება! ვაყკაცი რომ ვიყო, თვალებს ავიკრავდი, რომ შენს სილამაზეს ჩე-

მთვის ბოლოდარ მოედო. ბაღში რქამ ალვის ხე დგას, ტანის მოყვანილობით შენ იმასა სჯობიხარ. რა სახე გაქვს, რა სახე გეუბნები-მეთქი, ქალო, კაცებს ყველას გონებასოგამოუღევ, დაავიყებ.

ნინომ გადციდა და სარკესთან მივიდა-თმების ფასსწორება ბლად.

— ახლა ბებრასთან აღარ მოხვალ? ღობის ლოდინმა სქეს ლი ამოპრთვას, უნდა რომ მალე წახოს თავისი მარის ვარდი. განავრძო სოფიომ, მაგრამ პასუხისთვის კალარ მოუცდობ, დე გასწია ტორტანით კუთხის დიდ ოთახისკენ, სადაც ბებია გაშწინებო ტახტზედ იჯდა და ქაჯის კრილოსანს ალწინებთ ხელეში ათამაშებდა.

— ქალბატონო, ჩემგა ბედნიერო ქალბატონო, მესძახ სოფიომ, ვიდრე კარის დარეზედ თებს გადასდგამდა: — შენი შვილის-შვილი სწორედ ციდან ჩამოსული ანგელოზია, თვალები მტკივა, ისე დამაბნელა მისმა მშვენიერებამ. აგერ, შეხედე, მრდის, შეხედე, სწორედ კალმით დახატული არ არის!

— შვილო, შვილო, ძვირფასო შვილო! — დაიყვირა ბებიამ, ნინო რომ ოთახში შემავალი დაინახა — მოდი, მოდი ბებია შენთან, მოდი, რქამ გადაგეხვიოს და გულზედ მიგოკრასო, ჩემო ანგელოზო, ჩემის დაუვიწყარის ვაროს საუნჯე!

ნინო ცოტათი წამოწითლდა და თავი მოხუცებულის გულს მიაკრძნო; ბებია მზად აკოცა პირსა და შუბლში და მერე დაუწყო ალერსით თმისა და ღოყებზედ ხელის სმალი.

— დიდება შენთვის, მერეთო და საქართველოს მფარველო წმინდანო, რომ ეს კვლავე ჯანმფრთელი და უნებელი შინ დაუმიბრუნეთ. მოხუცებულებმა რამდენჯერმე მზრგვარი მადიწერეს და ჩუმად დმერთს მუდლობა ვადუხადეს. ბატონს მამოხსენეთ, მალე მობრძანდეს, ვენახში ბრძანდება. ეხლავე გაიქცეთ, ნინოცას მოსვლა ახარეთ. დიდბატონსაც შეატყობინეთ, მობრძანდეს.

როგორ გაეხარდებათ! დღევანდელი დღე აღდგომაა ჩვენთვის.

ხმა-მაღლა ძახილი საჭირო არ გამოდგა, რადგან სოსიკო და ვანო წინაღვე გულხელ-დაკრეფილნი კარებთან იდგნენ და აღტაცებულნი ერთმანეთს რაღასაც ეჩურჩულებოდნენ.

ეს ორნი რომ საჩქაროდ წავიდნენ, შემოვიდა ოთახში სქელი დარიკო და მასთან ერთად თვალებ-ჩაწითლებული ტასო.

— მოდი ერთი მოგეხვიო და გაკოცო, ჩემო მისის ვარდო, ჩემო მშვენიერებავ! — დაიყვირა დარიკომ და გადაეხვია ნინოს.

— სიზმარში გხედავ, თუ ცხადად? დედამიწაზედ ვდგევარ, თუ ზეცაში ვარ? — დუღდუღებდა ცხვირში ტასო და გულ-ხელ-დაკრეფილი შეჰყურებდა ნინოს. — არა, არა, ეს სიზმარი არ არის, შენ სწორედ ისა ხარ, ჩვენი ნინო, დედის-ერთა ჩვენის ნეტარხსენებულის ვაროსი.

— შენა ხარ-მეთქი, შენა! — დაიძახა მან უფრო ხმა-მაღლა, მივარდა ახლო, ხელი ჰკრა დარიკოს და დაუწყა ნინოს ლოყაზე კოცნა. — მადლობა ღმერთს, რომ ისევ ჩვენ დაგვიბრუნდი. ეხლა ჩვენთან უნდა დარჩე, აღარსად გაგიშვებო, თუნდ სიმღინძრითა და სილამაზით პირველი თავადიშვილი მოვიდეს შენს სათხოვრად. ოჰ, რა ლამაზი ხარ, რა მოხდენილი ხარ. მთელ ჩვენს ქვეყანაში შენისთანა მშვენიერს კაცი ვერსად ნახავს.

აღარა ეშველა-რა, ველარ გაათავეს დარიკომა და ტასომ, ველარ გამოსთქვეს თავიანთ სიხარული და გაოცება და რაკი იცოდნენ, რომ ყოველი მათი სიტყვა ბებიას ახარებდა და აღტაცებაში მოჰყავდა, ცდილობდნენ ათჯერ გამეორებულისთვის სხვა უფრო ლაზათიანი სიტყვები მიემატებინათ.

თუმცა იმათსავე ბებერი სოფიოს აღერსს ცოტა პირობითნობა ეტყობოდა, მაგრამ არც გულ-წრფელობას იყო მოკლებული, რადგან დიდი ხანი იყო, რაც სამნივე ვარიბანიძის სახლში სცხოვრობდნენ, თითქმის ოჯახს ეკუთვნოდნენ, და ნინოს ისე უყურებდნენ, როგორც ნათესავს. დარიკო იყო ნამოახლარი ნინოს დედის, საბრალო ვაროსი. ტასო ხელზე ემსა-

ხურებოდა ბებიას, და ერთ წამსაც ვერ მოსცილდებოდა. ბებიის ოთახში ის სრული მბრძანებელი იყო: აქ ეძინა, მთელი დღეები მოხუცებულ ადამიანს დროს ატარებინებდა და ყველა შეკაფებისა და განჯინების გასაღებები ებარა. ბებერი სოფიოც ძალიან საჭირო პირი იყო ოჯახში, რადგან დიდი ხნის განმავლობაში მთელს ოჯახს განაგებდა, და ვაროს სიკვდილ შემდეგ უიმისოდ ვერა მოხდებოდა-რა. როცა დედაკაცების პირველი აღტაცება ცოტა დაცხრა და დაუწყეს ნინოს იმ ცვლილების შეტყობინება, რაც იმის გარეთ ყოფნის დროს მომხდარიყო, ოთახში შემოვიდნენ ნინოს მამა და მისი პაპა, თავადი ვახტანგ და გრიგოლ ვარიანთიძეები.

პირველი ორმოც და ათს წელიწადს მიახლოებული კაცი იყო, მაღალის ტანისა და სასიამოვნო შესახედავი; მეორე იყო მოხუცი სამოც და თვრამეტის წლისა, მაგრამ წლოვანების მიუხედავად ჯან-მთელობა ეტყობოდა და ოთახში მტკიცე ნაბიჯით მაღლა თავადებული შემოვიდა.

— აი შენი საუნჯე! ძლივს კიდევ დაგიბრუნდა, — დედა წყო ბებიამ. — ეხლა ყოველისფერი უსწავლია, რაც მაგის წოდება ბისათვის საჭიროა; გალამაზებულა კიდევ, ტანიც აუყრია.

მამამ არაფერი არ უპასუხა, მიიკრა გულზე მისკენ მიმავალი ქალი, და შუბლზე აკოცა. იმან კარგად იცოდა, რომ ნინოს მშვენიერი სახისა და წარმოსადეგი იყო, რადგან რამდენიმე კვირის წინად ტფილისში იმის სანახავად ყოფილიყო; ხუთი თი წელიწადია ჩვეულებად დაიღო ყოველ სამს ან ოთხ თვეში ნინოს ნახვა და მისმა სილამაზემ მამა ამიტომ სრულიად დაც არ გააკვირვა; პაპა კი გაოცებული იდგა; რამდენიმე წელიწადი იყო, ნინო არ ენახა.

— ჰმ, დედასა ჰგავს სულ, დედას! ისევ ის ხმა, ის თვალები, იგივე წერწეტი ტანი, — ამბობდა იგი და შეჰყურებდა ცოტა წამოწითლებულს ქალს. — ღმერთმა ჰქმნას, რომ ხასიათითაც ისე დაემსგავსოს, — გააფიქრა მან.

ეს მართლაც ცხარე სურვილი იყო მოხუცებულისა. თავისი რძალი ვარო, რომელიც ექვსის წლის წინად ხან-მოკლე

აგანდმყოფრბის შემდეგ გარდაიცვალა, მას შემოიღოთ უყვებრ-  
და, დღად სვანებდა იმის ხასიათს და ისე რბ დიწყებდა გან-  
სვენებულზე ლაპარაკს, რომ ქებით არ მოეხსენებინა იმისი  
სათნო გული, იმისი ჩინებული ყოფაქცევბა.

— სწამავალითა ქალი იყო, — ამბობდა იგი მასზედ, რბცხოვრ  
შემთხვევა მიეცემოდა და თავს მწუხარედ ძირს ჩამოჰკიდებდა  
ხოლმე. ჯერ კიდევ ვერ გამოეგლოვა იგი, მით უფრო, რომ  
დიდი ხანია შგრძნობდა, თუ იმისმა შვილმა ცოლის სიკვდილით  
რა ჭრთავული ცხოვრების თანამეზავრი დაჰკარგა და ამასთანავე  
რაცყოვლად სანდო სახლის ბურჯი ბრმბ არ იყო და კარგად  
ჰხედავდა, ოჯახი როგორ უკან-უკან მიდიოდა, იმის მშვენიერ  
მამულს, აქათის წლის წინად შვილისადმი კარგ ყოფაში გა-  
დაცემულს, როგორ ყოველ წლივ ნაკლებ-ნაკლები შემო-  
ჰქონდა და დიდგ ჩინებული ვენახი როგორ თან-და-თან ოხრ-  
დებოდა.

— სადღაა ის დრო როცა ექვსი ათასს თუნგს ღვინოს  
ჩავსახამდი ხოლმე, — ფიქრობდა ეს თავისთვის, როცა შემო-  
დგომამზე ვენახს აუვლ-ჩაუვლიდა, და კვლავ რწმუნდებოდა, რომ  
ღვინის მოსავალი წრეულსაც ნაკლები იქნებოდა.

— უწინ ვენახიც სხვაფრივ იყო შემუშავებული. ეხლა კი  
სრულიად გაპარტახდა. ვახები ზოგან ბალახს წაელო, ზოგან —  
ახლო მდგარ ხეხილიც ყლორტებს. აბა რა ჩადღვინო უნდა მო-  
სულიყო! ხშირად უსაყვედურნოა მოხუცს თავის შვილისათვის,  
ვენახს უკედ მოჰყარო, მაგრამ ის უპასუხებდა ხოლმე, ეგ მოვ-  
ლა დიდი ფულბ მიჯდება, ეხლა მუშაც გაძვირდაო და სხვა  
კიდევ ფმდნი საქმე მაქვს. რისთვისაც აგრედვე ფულია საქი-  
რო, რომ არ ვიცი ეს ფული საიდან უნდა ვამოვნოვო.

— იუნდა მოუკლი! შენს ცხოვრებას, — უბნებოდა ხოლმე  
მოხუცე მამარამ თვითონაც არ იცოდა, ეს როგორ უნდა მო-  
მხდარიყო. მარც ის უნდოდა, იმისი ოჯახი დაქვეითებულიყო  
და მხოზობლებს ჩამორჩენოდა. რბცხოვრ ყოფადი ვარიპანიც,  
მთელს იმერეთში პირველი გვართანგანი და როგორც იმის მამა-  
პაპას დაკული ჰქონდა ღირსებაც და ტრწყინვალება ოჯახისა.

ესეც ისე უნდა მოქცეულიყო. მთელს თავის ცხოვრებაში ამ მოვალეობას კარგად ასრულებდა, იყო ყველასაგან პატივცემული, შველოდა მეზობლებს და თავი და ოჯახი ღირსეულობდებოდა. თავისი შვილი ვახტანგ ჯერ მძსკოვის უნივერსიტეტში გაგზავნა და შემდეგ შერთო ცოლად მშვენიერი ცხარო, რომელიც აგრძედე გამოჩენილ გორიძიანთ გვარს წყუთვნებდა. ამ სხებით, იმ მხარეში იმისი შვილიც ღირსეული, შესანიშნავი კაცი დაღვა და როცა ვახტანგს იმისი ქალი ნინო წამოგზავნა, აღზრდის დასრულებისათვის, რასაკვირველია, ტფილისში უნდა გაესტუმრებინათ.

ხუთი წელიწადი დაჰყო ნინომ დედა-ქალაქში და როცა დასრულებული ქალი ბარულში დაბრუნდა, ისეთი მშვენიერი და დიდკაცური შეხედულობა ჰქონდა, რომ ბერეკაცმა გაიფიქრა, ყოველს ჩემს იმედს გამიმართლებსო. მთელს იმ გარემოში ნინოს ქალი არ შეედრებოდა არც სილამაზით, არც დიდკაცურად ცხოვრების ცოდნით. მაშამ ეს დიდი ხანია იცოდა, მაგრამ პაპამ და ბებოვამ მხოლოდ ეხლა შეიტყვეს, ეხლა, როდესაც ნინო წარსდგა მათ წინაშე მთელი თავისი მშვენიერი სანახაობით და მოჰყინა მათზედ ბრწყინვალემა მათთვის სრულიად უცნობ ტფილისის მდიდრული ცხოვრებისა.

— მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ვაროს დაემსგავსებოდა მთქი,—სთქვა ბებოვამ, როცა ნინო ოთახიდან გავიდა.—ისე წარმომიღვა თვალ-წინ, თითქო ღვთივ-კურთხეული გეჰმარაღებოდა და საფლავიდან წამოდგაო. სწორედ მაგისთანა იყო ამ ოცნების წინადა, როცა ვახტანგმა უბედურზედ ჯვარი დაიწერა.

— ჰო, მართლა ძალიანა ჰგავს, ძალიან, — დაუმატა მთელი ხუცმა ვარიანძიმს, — ხმაც კი სწორედ იმისე აქვს და რთაც იცინის, პირ-წავარდნილი ვაროა.

მეტი მზახუცა აღარა უთქვამს-რე, და მაშინაც კი, როცა ბებოვამ ნინოს გათხოვებაზედ დაიწყო ლაპარაკი, მხოლოდ აქამდე თუ ჩაურთავდა სიტყვას, თითქო იმისთვის, რომ ეჩვენებინა, მეც შენს ლაპარაკში შენაწილეობას ვიღებო.

— ცოტა მოვიცადოთ, — ჰფიქრობდა მოხუცი; — ჯერ რა გვეჩქარება! და რომ არც საქმრო სჩანს სადმე! ვიგინდარასკინს სმე ხომ ვერ მივცემთ!

პატარა ხანს უკან იმას ფიქრში მოუვიდა ერთი შორეული ნათესავი, გვარად ჩიგანი, რომელიც ძალიან მოსწონდა და იმის აზრით ნინოსთვის სრულიად შესაფერი საქმრო იყო. დიად, ის ფიქრობდა ჩიგანზე, ადრეც ეფიქრა და ყოველთვის სიამოვნებით მიიღებდა ხოლმე მას თავის სახლში.

— მე უკეთესს და უფრო ღირსეულს არავის ვიცი, — წაიბუტბუტა თავისთვის, მაგრამ ამ დროსვე უეცრად რაღაც ექვემა გაურბინა, რადგან კიბიდან ნინოს მაღალი და მბრძანებელი ხმა გაიგონა.

ამ ხმაში არ ისმოდა ნაზი და ლმობიერი კილო საბრალო ვაროსი, არამედ ნიშანი მტკიცე და თვით-ნება ხასიათისა.

— ჩქარა! ვაძინავთ? ამოიტანეთ ეხლავ ჩემი ყუთები! მე ორჯერ ძახილი არ მიყვარს, ჩასძახოდა ნინო ქვეითა დერეფანში მყოფ მოსამსახურეებს, რომელნიც ამის ბარგს ეზიდებოდნენ.

არც თვით მას და არც იმის შვილს თიფქმის არას დროს! არ უბრძანებიათ ასე მკვახედ მოსამსახურეებისათვის და ამიტომ ნინოს ხმამ ერთი-ორად უფრო უსიამოვნოდ გახადა მოხუცი. ნინოს ყოფა-ქცევაში იყო რაღაც უცხო, რაღაც ამპარტავნება იმისთვის სრულიად გაუგებარი, რომელიც მას ჯერ არც ერთ თავის ოჯახის წევრისათვის არ შეემჩნია. უეცრად უკაცოფილოდ გამხდარი, ჩამოვიდა ეზოში რომ ბაღში შესულიყო. კიბეზედ ნინოს შეხვდა. ის მოსამსახურეებს მიუძღოდა და თავის-თავში მიეშურებოდა ნინომ გვერდზედ ჩუმიდ ისე გაურბინა, რომ აწვც კი შეუხვდავს.

— ჰმ, თითქო უცხო ვიყო, ისე ამიარა გვერდზედ; — ჯერ ფიქრა მოხუცმა და ჩუმიდ დასტუქსა იგი ამ გულ-გრილობისათვის.

მხოლოდ მაშინ, როცა ბაღში თავის საყვარელ სკამზედ ჩამოჯდა მაღალ კაკლის ხის და მჭიდრულ ლაქვარდ ცის ქვეშ

და გახედა მშვენიერს, ფართო ხეობას მზის შუქით გაბრწყინ-  
ვალბუღს, ნელ-ნელა ქმუნვამ გადაუარა და უსაყვედურა კი-  
დეც თავის თავს, ეს როგორ მომივიდა, პირველ დღესვე ნინო  
ასე შეატრად განვსაჯეო.

— ვინ იცის, იქნება ტფილისში კარგი მეგობრები დაე-  
ტოვოს და იმათზე დარღობდეს, — გაიფიქრა მოხუცმა.

— მერე ძნელი მგზავრობაც გამოუვლია და არ იქნება  
რომ ცოტა ჩვენც არ ვეუცხოვებოდეთ; იმის წლოვანებისათვის  
ხუთი წელიწადი დიდი ხანია. მერე ძალუა აღარ მომაგონდა,  
ვინ იცის, როგორ სტანჯავს იმასთან გაყრა. რა გასაკვირველი  
ა, ცოტა ქეიფზედ ვერ დყოს და შინ მოსელას ისე ვერ  
ესიამოვნებინოს, როგორც მე მოველოდი.

ამ მოსაზრებამ თავის მხიარულებას კვლავ დაუბრუნებ მია-  
ხუცებულს და როცა ეხლა მოისმა ღონიერი და წკრიალა ხმა  
ნინოსი, იამა, რომ ამ მყუდრო სახლში ყმაწვილიმა ქალმა სიღ-  
ცოცხლე შემოიტანა და ყოველთვის მძინარავ მოსამსახურენი  
დააფხიზლა.

— სოსიკო, სოფიო, კესარია! — გაჰკიოდა ნინო დამოხუტს.  
ისე მოესმა ეს ხმა, როგორც პატარა ზარის წკრიალა, ღია  
ფანჯრიდან ბაღში საამოდ გადაცემული.

უცებ თავის სახელიც გაიგონა. ნინო ბალკონზედ გამო-  
სულიყო და მას ეძებდა.

— აქა ვარ, აქა კაკლის ხის ქვეშ! — დაუყვირა მან და ქა-  
ლი ოცის ნახტომის შემდეგ მის გვერდით გაჩნდა და ლამაზად  
ნაკერი აბრეშუმის ბალიში მუხლებზედ დაუდო.

— ეს, პაპა, შენთვის მოვიტანე, ჩემი შეკერილია.

მოხუცი სიხარულეთ აკანკალდა რამდენჯერმე ლოყებზედ  
აკოცა და როცა ქალმა გაქცევა დეზაჰრა, ფავისკენ მიიზიდა  
და გვერდზედ მოისვა. აჯიყებით შეჭურებდა გვერდიდან მო-  
ხუცი ქალს, რადგან უზოლოდ ეხლა შეიგნო კარგად იმეხმვე-  
ნიერება, რომელიც გრძნებასავით მოქმედებდა.

აქ, ჩამავალის მზის მხიარულ ბრწყინვალეობაზედ უფრო  
გარკვევით სჩანდა მისი ძლიერ, წამოსადეგ მუხბელულება.

ცეცხლით აღგზნებული დიდრონი შავი თვალები და სისწორე, სიმშვენიერე სახის ყოველის ნაკეთისა, ვიდრე იქ ზეით ბებიას ჩამობნელებულ ოთახში.

— არა, ამისი დედა ასე ლამაზი აზრით იყო! ჩვენს გვარშიაც არავინ ყოფილა ასე ლამაზი.

მოხუცი გულში სრულიად შეურჩედა თავის შვილი-შვილს, აპატია პირვანდელი უკმეხი ქცევა, იმის გულ-გრილობა და ეხლა მასში არავითარ ნაკლულეფანებას აღარა ჰხედავდა, სიამოვნებით შესცქეროდა მას; და როდესაც ქალმა ლაპარაკის დროს რალაზედაც გადინარხარა, მოხუცს ისე მოეწონა, რომ გადაეხვია და ხელ-ახლავ გადაჰკოცნა.

— ოჰ, რა მშვენიერი მყავხარ! — წარმოსთქვა მან და დაჰჰკრა ხელი ლამაზად მოხრილ მხარ-ბეჭზედ.

მას ეგონა, მისის ჰაერს ეყნოსავო, როცა ძალითა და ჯანმრთელობით აყვავებულს მის ტანადობას შეყურებდა და ეხლა რომ სოფიოს ხობტა-ქება მოესმინა, სიამოვნებით კვერს დაჰკრავდა. სულითა და გულით დაუმეგობრდა იგი თავის შვილის-შვილს.

თქმულთაგან — სიამოვნებით მოეწონა იგი თავის შვილს. **II**

მეორე დღეს დილა აღრიან ნინოს მამა ვახტანგ ქვემოთ ბაქკონზე იჯდა და მზარეთულს სახლის სანაღმისზე ელაპარაკებდა. იმ დღეს მართლაც დიდი სადილი უნდა გაემართათ გუშინ-წინვე აღეთქვათ მოსვლა ვახტანგის შიდაშვილს, თამარ ქალაშვილის ცოლს, იმის დედაშვილს, ახლო მეზობელს ვასილ გონელს და იმის ცოლს მარიაშ, ქვრტვს სიკვარძისას და კიდევ სხვათა; რამდენთაც ისე სწყუროდათ ნინოს მალე ნახვა; რომ აღარ მოუცადეს, პირველად ნინოს ენახა. ვახტანგს თავი მოჰქონდა, მეზობლები რომ ასე თავაზიანად მოექცნენ, თითონაც უნდა ცდილიყო სამაგიერო გადაეხადა და განკარგულებას აძლევდა, რომ სტუმრებს საუკეთესოდ დახვედროდა. როგორც სახლის უფროსი, თავის მრავალეობათა შორის ის სტუმრებს

მრის ქვარგად მიღებას განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდა; მით უფრო რომ სხვების სტუმრიანობას თითონაც არ აკლდე ბოდა. სტუმარი ვახტანგს იმის გამოც უყვარდა, რომ ცოლის სიკვდილ შემდეგ მეტად მობრუნდა და რაკი მამულის გამგებობა თითქმის მთლად ერთიანად მოუტარეს გადასცა, ხშირად აღარ იცოდა, დრო როგორ შეემოკლა, დღე როგორ დაესრულებინა. უწინ კიდევ მწიგნობრობას მისდევდა; თითონაც შეთხზა ერთი წიგნი ლირიკულ ლექსებისა; მაგრამ ამ ლექსების შკიბხეული დიდიქმის არავინ აღმოჩნდა. ამ ამბავმა იმის პოეტურს აღმაფრენას ნელ-ნელა ფრთები შეაკვეცა, მალე ლექსების წუხრაზე სრულიად ხელი აიღო და სხვების ნაწერის კითხვის ხალისიც დაჰკარგა. საქართველოს ყველა ახალი მწერლები მას სძაგდა და უბრალო მჯღაბნელებად მიიჩნდა: მათს კალამს, იმის აზრით, არც ღონე ეტყობოდა და არც ძვირთ მათ საკუთარი აზრი ჰქონდათ რაიმე. მხოლოდ ძველი მწერლების თხზულებებს დიდად აფასებდა და რადგან ყველა ეს რამდენჯერმე გადაკითხული ჰქონდა, ეხლა სრულიად აღზრატერს აკეთებდა; ისიც დაივიწყა, რაც ოდესმე ესწავლა და წლითი-წლობამდე ხორციელ საზრდაოსათვის უფრო ზრუნავდა, ვიდრე სულიერზე სათვის.

აქანდროს მას არავითარი მტკიცე მშრომლობა არა ჰქონდა; მაგრამ კრადისდაც რალაცა ეს სწავდა და მწერ წახილი ვერ შეუსრულდა; უდრტინველად თავის ბედს ღწმობრილა. შეძლება ნებას აძლევდა კეთილ-ცხოვრებას მისცემოდა და ისიც კმაროდა ამ კეთილ-ცხოვრებას; თუ ზანდაზან თავმოყვარეობა წააქეზებდა, რაიმე გაეკეთებინა და მწერით სხვებისაგან გამოირჩეულიყო, მსლე ამ თავმოყვარეობას თვითვე ამოშმინებდა. მოქიფე მეზობლებმაც ყველაფერი გადაავიწყეს და თვის იღბალს დაუმორჩილეს, თუმცა ვახტანგ ამ ქიფების დროს სხვებივით ვერა მხარეულბდა. მხოლოდ უბრალო შინაური საქმეები-ღა ართბდა მას და მეტადრე სადილ-ვახშმის ზრუნვა მთელი საათობით მზარეულს ემუხაიფბოდა ხოლომე, ეკითხებოდეს, მუ რა და რა მანოლა ჰქონდა მომზადებული, უბრძა-

ნებდა კიდევ ესა და ეს იყიდვო და შემდეგის დღისათვის სამა მზადის აძლევდა. დღესაც ამ სამზადისმა საათზედ მეტი გასტანა და როცა თუქრა, ეხლა კი ყველა ჩემი სურვილი მზარეულს საკმაოდ აფუხსენიო, დაითხოვა. იგი და ბალიშზედ გადაწვა, რომ ამ მძიმე შრომის შემდეგ კარგად დაესვენა.

ჯერ კიდევ მზე მალლა არ იყო ასული გადაკრიალებული ცაზედ მაგრამ მაინც კარგა ჩამოცხა; სტუმრებიც მალე უნდა მოსულიყვნენ, რომ შუადღის სიციხისათვის გამოესწროთ.

ნინოს ჯერ კიდევ ეძინა. ბებერმა სოფიომ ორჯერ შეაღლო კარი, რომ ენახა, ჯერ ხომ არ გამოუღვიძნიაო, მაგრამ ნინო ამ დროს ტკბილ სიზმრებში იყო. მას ეზმანებოდა ყოველივე ის, რაც ამ ცოტა ხანში გამოველო, ის იჯდა თავის ძალუას სასტუმრო ოთახში საკერავით ხელში და ემუსაიფებოდა. პოეტს ვანო გარელს, რომელიც რამდენიმე კვირის წინად გაეცნო, მას აქეთ გარელი ათჯერ თუ თორმეტჯერ ყოფილბოყო ნინოს ძალუასთან და მხოლოდ დანიშნულ საღამოებზედ როდესაც ნინოს მეგობარი ქალებიც ესწრებოდნენ ხოლმე, მაგრამ ნინომ მალე შეატყო, რომ ყმაწვილი კაცი მხოლოდ იმის გულისთვის დადიოდა. ეს პირველი არშიყი არ იყო ნინოს და ამიტომაც გულგრილად ეკიდებოდა ნინო იმის უკან დევსნეს და ხშირად ხმა-მალლა დასციხრდა კიდევ, როდესაც გარელი განსაკუთრებულის სინაზით დაუწყებდა ლაპარაკს. ამას იმითომ კი არ ჩადიოდა, რომ ეწყენინებინა, უნდოდა მხოლოდ ეზვენებინა, შენს სიტყვებს მნიშვნელობას არას ვაძლევ და ეგონი სრულიადაც არ არღვევენ ჩემს მყუდროებასაო. თუმცა გამოთხოვებითაც ისე გამოეთხოვა, რომ არ დანანებია, მაგრამ მაინც ამის სრზმარში ნახვა იამა და თვალები რომ გააჭილა, გაიოიქრა, ნეტა ასე მალე არ გათავებულყო.

პატარა ხანს კიდევ ლოგინში იწვა გაღვიძების შემდეგ მერე წამოხტა, მიიბრინა ფანჯარასთან და ფარდას მალლა ასწწია. ისე ატა ეჯავრებოდა-რა ნინოს როგორც სიბნელე. მას უყვარდა სინათლე, მხიარულება და ყოველივე მაღალი ხმაურობა, სიამოვნებას ატყუნებინებდა. თითქო ნეტარებით დაეწაფა

იმის თვალები მზის ნათელს, რომელმაც უეცრად მთელი ოთახი გაანათა და თითონ ნინოსაც ბრწყინვალედ მიაშუქა. უნებურად გაჩერდა ნინო მაღალი სარკის წინ და შიგ ჩაიხედა. ფეხებამდე ჩაბნეულიყო იმისი მშვენიერი თმა და თოვლივით თეთრ პერანგს მოჰფენოდა, თუმცა საკმარად განიერს, მჭკრწმ რომლის ქვეშიდანაც ცხადად გამოსჭვირდა იმისი მშვენიერად მოწყობილი აგებულება. პირი-სახეზედ გუშინდელი დაღალულობისა აღარაფერი ეტყობოდა, ლოყები ცოტა წამოსწითლებოდა და დიდრონი შავი თვალები ჩვეულებრივ მხიარულად აბრწყინებულნენ.

— შენი შემოხედვა კაცს გულში სამოთხეს ჩაუსახავს! — უთხრა ერთი კვირის წინად პოეტმა ვანო გარეღმა და ნინოამაც ოცჯერ სარკეში შეამოწმა იმის სიტყვების სინამდვილე და გულში სრულიად დაეთანხმა. მერე მოჰყვა ერთი ლექსის ზუსტად გარეღმისაგან დაწერილს, რომელსაც მაშინ თბილისის ყველა ტფილისელი ქართველი ქალები მღეროდნენ:

დამანეულებს შენმა თვლებმა,  
 ცეცხლის გენით მიესებენ გულსაჩქარებელს  
 თუმც ვიცი, ისევ შენი დანახვა  
 გაჰკურნავს მხოლოდ მოდებულს წყლულსა.  
 სატფოვ, ნუ მზოგავ, დამწვი, ოღონდ კი  
 ნუ მომაშორებ მაგ ლამაზ თვლებს,  
 კაცნით მიწამლევ შენის ტკბილ კაცნითმდე —  
 რას ჭაქნევ მაშინ, ყქიმის წამლებს!

შე ლექსს რომ ნელის ხმით მღეროდა, ოთახში სოფიო შემოვიდა და ალტაცებით სხელი ხელს შემოჰკრა.

— ოჰ, ჩემო მზეო, ჩემო მთეარე! როგორ უნდა გითხრა, რა სიტყვით უნდა დაგიხატო ეგ მშვენიერება? მოზღაბრე უნდა მოვიყვანო ვინმე იმისთანა, რომელსაც ენაზე ვარდყვავლა ამოსდიოდეს.

— ჭკუაზე მოდი, სოფიო, — მიუგო ჩინომა, — განა მწვანისთანა ლაპარაკი შეგფერის? ის გირჩევენ იან წახუდებ, კესარია მომგვარო, რომ ჩაცმას მიშველის.

შენი სიტყვა ჩემთვის ბრძანებაა, ბატონი-შვილო, უბრალოდ სუბა მოხუცმა. — რასაც ისურვებ, ყოველისფერი უნდა შესრულდეს, კესარიასაც ეხლავ მოგვერბ; ნუ გამიწყარები, შენი ქირობე, რომ სიხარული ამდენს მალაპარაკებს. რა-ევენა, შენი დანაზხვა ჩემთვის სამოთხეა და სხვაფორივ როგორ მოვიქცე? — ეგონდა — სოფიო-გაშიდა და ცოტა ხანს უკან უოთანში შემოვიდნენ კესარია ალთაფით ხელშიც ტეგეშა-ბიონი. — ეგონდა იყო ყმაწვილი გზგო, ასე რც ღა ორის წლინს; სილამაზით ნინოს თითქმის არ ჩამოუფარდებოდა. ნინოსავით ლამაზად გაწყობილი სახე ჰქონდა, სქელი კუბრივით შავი თმა და ტანიც აგრეთივე წერწყეტი და მშვენიერად მოყვანილი. სხაპა-სხუბით უამბო კესარიამ, მამიდა თქვენი, ჭალაშვილის ცოლი თქვენს სანახავად მოზრხანდა კიდეცაზა და საჩქაროდ ნინოს ამ დიღით ჩხსაცმელი ტანისამოსი ამოუღაგა.

— ოჰ, რა მშვენიერი, რა რბილი ჩულქებია, — წამოიძახა კესარიამ, ერთი უჯრა რომ გამოსწია. გაოცებით სინჯავდა კობტა ბაშპაკებს, კორსეტებს, ფუბებს, და როცა შკაფი გააღო და ძვირფასი ტანისამოსი დაინახა, თვალები დააჭყატა და ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა. გუშინაც ნახა ეს ტანისამოსი, მაგრამ მაინც დღეს გაშტერებული შეჰყურებდა და იმის ცქერით ვერ გამამღარიყო.

— ჩვენი ქალები შურით დასკდებიან, ამ მშვენიერ ტანისამოსში რომ გნახავენ, — წამოიძახა კესარიამ.

— მერე გგონია, აქ მე ეგენი ჩავიცვა? — მიუგო ცხვირ-აწვევით ნინომ და თან ვარდისფერს ჩულქს ლამაზად მოყვანილი ფეხზედ იცავდა.

— რატომ, მერე?

— აქ ვისთვის უნდა მოვირფო?

— ვისთვისაო! — წამოიძახა ღიმილით კესარიამ. — როგორ თუ ვისთვის, ვანჯაქ კი ლამაზი თავადები არ არიან? — ვახტანგ ისარიძე, ყი კინეთში რომ დგას, ლამაზო არ არის? — განგალმაური ლევან კინაძე, ილიკო გომრელი და კბდე ბევრნი

სხვანი? ეხლა ყველანი აქ დაიწყებენ სიარულს, ოღონდ თათ-  
ლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვა.

ნინოს გაეცინა და კესარიამაც თავის სიტყვებზედვე სი-  
ცილი ვერ შეიმაგრა.

— მადლობა ღმერთსა, რომ მობრძანდი, — განავრძო მოახ-  
ლემ. — მეტის-მეტი სიჩუმე იყო აქ და ყველანი მოწყენილნი  
ვიყავით, ეხლა სხვათრივ იქნება. ეხლა გვეცოცხლდებით, ან  
საკრავის ხმას გავიგონებთ, ან ვიცეკვებთ. წარმოიდგინე, ბა-  
ტონი-შვილო, აღდგომას აქეთ გაკრავის ხმა არ გამიგონია და  
ცეკვა ხომ ლამის გადამავიწყდეს.

კესარია გაჩუმდა; ეხლა მთელბ შალა უნდნ შემოეკრიფა,  
რომ წინფს კორსეკის ზორნები მაგრად მჩქეჭირა; მერე შავი  
კაბა ჯადაცვა და მზად გაწყობილმა ნინომ ერთხელ კიდევ  
სარკეში ჩაიხედა, რომ შეემოწმებინა, რომ რიგიანადაც ვარ-  
ცმულა. ღატყს განჭვბ შეიმოსა უბრალო ტანისამოსით, იცო-  
და, რომ ძალუას გარდა არავინ არ მოუწონებდა ყმაწვილ ქალს  
ძვირფასს ჩაცმულობას. მაგრამ ეს უბრალო ტანისამოსიც ძვირ-  
ფასზედ ნაკლებ არა შვენოდა. ამ უბრალო კაბწმაც, უმეკე-  
ლია, ყველას თვალი მასზე დარჩებოდა.

ქვეით ზალაში რომ ჩავიდა ნინო, ჯერ მახინძა მიეგება  
აღტაცებით და მერე სხვა ქალებმაც სიამოვნება გამოუტახადეს,  
მადლობა ღმერთს, კიდევ გვეღირსა შენი ნახვაო. ყველას სა-  
ხეზედ შეეტყო, რომ გაოცებულნი დარჩნუნ იმის სილამაზით  
და წამოსადგობილ და უფრო უკეთესი შობაქედლეება ძვრძა  
ნეს, ვიდრე მოელოდნენ. კაცებსაც დიდად მოეწონათ ნინო,  
მეტადრე ვასილ გონელს, ნინოეს ბაპის დედა ხნის მეგობარს  
და საუკეთესო მეზობელს.

— ოთახში რომ შემოვიდა, თვალ-წინ ისე წარმომიდგა,  
თითქო კურთხეულ ვაროსა ეხედავო, — მიუბრუნდა და უთხრე  
გონელმა მგახუც ვარაზანძის. — დიდებული ქალია, სულ მინდა  
მაგის სილამაზეს და წერწეტ ტანს შეეყურებდე. ჩათლახ  
ბერიკაცს რომ გული ამითამაშე, ახლოგზდებს აბა რას უხამს,  
ჰა, ჰა, ჰა!

— ჰა, ჰა, ჰა! — გაიცინა აგრედვე მოხუცმა ვარიპანიძემ და სიხარულისაგან წამოწითლდა.

— შენ ჯერ ჩემთვის არ გითქვამს; საქმრო არჩეული გყავს, თუ არა? — განაგრძო ვასილმა. — ცხრამეტი წლის ქალია და ღროა მოფუძებნოთ ვინმე, კარგი, პატიოსანი ყმაწვილი კაცი, რომ მართლა მაგისი ღირსი იყოს.

— დრო კია გათხოვებისა, მაგრამ, როგორც ვატყობ, თვითონ არავინ არა ჰყავს სახეში და მე რომ მყავდეს კიდევ არჩეული, რა ვრცი, მოეწონება? — უპასუხა ვარიპანიძემ.

— მოწონებით, რასაკვირველია, უნდა მოეწონოს, მაგრამ, ფუ სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა არ იქნება, ბედნიერება არ დამყარდება. ოჯახში, ეს ხომ ძველადგანვე სწობილია. მაინც ვინ გინდა?

— ლევან ჩივანი, შარელის მეცხრედი, უყავის მე აქ არ მცემს.

— მეც შენის აზრისა ვარ, — უთხრა ვასილმა. — უკეთესი მართლაც არა ჩანს. სწორედ კარგი სასიძოა; განა შეძლებს რომ აქვს, იმიტომ ვამბობ; არა, თვითონაც მართლა კარგი, ჰგებოდა და ყმაწვილია, შრომის-მოყვარეა.

— აქი მაგის ცულობის მომწონს, — უპასუხა მოხუცმა ვარიპანიძემ. — ჩინებულნი შეოჯახე და ისე უყვარს მამულ-დედულნი; როგორც ჩვენ მამა-პაპათ ჰყვარებიათ, როგორც ჩვენ გვიყვარს. რაცა აქვს, უფროსობდება და ცდილობს კიდევაც წამატებას; — ეს არის უმთავრესი.

— სწორედ; სწორედ; ეს არის უმთავრესი, — ბუტბუტებდა ვასილმა. — მიახ, რომ ნინოსთვის იმისთანა ყმაწვილი კაცი ამოგროჩევი, რომელიც მას კარგ მეგობრად გამოადგება და შენსა შენ მამაპაპათ სამკვიდროს არ გაფლანგავს. ხილს რომ აკეთებს კაცი, ისე უნდა მამაყვარეობს, რომ შევილის-შვილებსაც გამოადგეს.

— ლევან ჩივანზე უკეთესს ნინოსთვის მე ვერავისა ვხედავ, — ჰფიქრობდა მოხუცი ვარიპანიძე თავისთვის და ეს აზრი

მოსვენებას არ აძლევდა. კიდევ და კიდევ ზებრუნდებოდა ამ საგანს და როცა ნინოს შეჰხედავდა ხოლმე, ჩივნიდა იმის გვერდით წარმოუდგებოდა. ჯერ შეილისთვის თავის აზრი არ შეეტყობინა, იცოდა, რომ ეს ადვილი დასაჯერებელი იყო. უფრო საჭიროდ მიაჩნდა ნინოს განზრახვა შეეტყო; შეეტყო, ტფილისში ხომ არავენ დარჩენილა იმისთანა, რომელსაც ნინოს გული მოგებულხ ჰქონოდა და ამის გაგება დღესვე მოიწადინა.

ვიდრე მოხუცი ვარიანძე ტახტზედ იჯდა, გრძელს ჩნებუხსა სწევდა და თავის განზრახვის შესრულების ფიქრში იყო გაართული, ქალების ლაპარაკი ერთ წამსაც არ შეწყვეტილა. ესენი ჰკითხულობდნენ ყოველისფერს, რაც კი ნინოს შეეხებოდა, მაგრამ პასუხის მიცემას თვითონ ნინოს არ აცლიდნენ, ხან ერთი ჩაუთობდა სიტყვას, ხან მეორე რაიმე შენიშნას. ყველა ცდილობდა სხვებზედ მეტად თავი გამოეჩინა, ვითომ ყოველისფერი ვიცო, მაგრამ კითხვა-პასუხს მაინც დასასრული არა ჰქონდა, მაინც ცნობის-მოყვარეობა სძლევდა თავის გამოჩენის სურვილს. არც ერთ ამბავს, რომელიც კი ნინოს ცხოვრებას შეეხებოდა, განუჩხრეკლად არა სტოვებდნენ, მაგრამ ერთს საგანზედ დიდ ხანს არა ჩერდებოდნენ, გადადიოდნენ მეორეზედ და ბაასობდნენ ტფილისზე, კონცერტებზე, თეატრზე, ახალ მოდურად გამოქრილ კაბებზე, ქორწილებზე და ბოლოს ახლად დაბეჭდილ რომანზედაც კი. იყო ერთი განგაში, მხიარული მითქმა-მოთქმა, რაც ნინოს თუმცა მოსწონდა, მაგრამ განსაკუთრებულს სიამოვნებას კი ვერა ჰგრძნობდა: მართლაც, გარდა სიკვარიძის ქერივისა ყველა ქალები კარგა ხნიანები იყვნენ და არც ერთს აღარ ეტყობოდა უმაწვილური ვატაცება, რაც ნინოს მთელს არსებას მოღებულნი ჰქონდა. სადილზედაც ნინო არ გამხიარულებულა. კაცები, მართალია, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, მაგრამ იმათი ქეიფი ნინოს არაფრად იამებოდა და ვერ მოეხერხებინა ისეთ კარგ გუნებაზედ დამდგარიყო; რომ დრო და ჟამი მოწყენის გამო არ ეთავალა. მაინც ცდილობდა თავი მხიარულად ეჩვენებინა, რადგან

იკოდა, რაიმე ყველანი იმის გულისთვის იყვნენ მოსულნი და იმის შინ დაბრუნებას დღესასწაულობდნენ. მუსაიფობდა, იცინოდა და როცა მოხუცმა ვასილ გონელმა იმის სადღეგრძელოდ მთელი ჭიქა გამოსცალა და სხვებსაც იგივე მოსთხოვა, ნინოს ფითქო მეტის-მეტი აღელვება დაეტყო, ქალები მადლობის ნიშნად ნაზად გადაჰკოცნა და კაცებს ისე კეკლუტად დაუკრა თავი, რომ ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ.

— დიდებული ქალია!—წასჩურჩულა ვასილმა მოხუც ვარიპანიძეს, რომელიც შვილი-შვილს თვალს არ აშორებდა და იმის ლაპარაკს ყურს უგდებდა.—ებლავე შევიტყობ, უყვარს ვინმე, თუ არა!—ეს რომ სთქვა, აივსო ჭიქა, მივიდა იმის სკამს უკან და ყურში რაღაც წასჩურჩულა.

— ჰა, ჰა, ჰა!—გაიხარხარა ნინომ.—არა, სცდებით, ბატონო, მე სრული მბრძანებელი ვარ ჩემის გულისა და ამ უფლებას ჯერ ვერავინ შემეცილებია. ჰა, ჰა, ჰა!

ნინო ისე უმანკოდ და ძალა-დაუტანებლივ იცინოდა, რომ ჰაჰა და ვასილ გონელი სრულიად დაენდნენ იმის გულწრფელობას და ერთმანეთს სიზმოვნებით თვალი უყვეს.

— რაკი ასეა, ლევან ჩიგანის მოწონება ძალიან ადვილია, —გაიფიქრა მოხუცმა ვარიპანიძემ, ჩუმად დასცალა თავის ჭიქა და თან ინატრა, ღმერთმა ჰქნას ეს კავშირი მალე დამემყარებინოსო.

სადილს უკან თავისი აზრი შვილსა და ძმის-წულს, ქალა-შვილის ცოლს შეატყობინა, ორთავემ მოუწონეს განზრახვა და დაჰპირდნენ სრულს დახმარებას.

— მუხის-ხევში გამომიგზავნე ნინო!—უთხრა ქალაშვილის ცოლმა, —იქ გაიცნობენ ერთმანეთს და იმედი მაქვს, ერთმანეთი მოეწონებათ კიდევ.

მალე აგრილდა და სტუმრებიც ნელ-ნელა დაიშალნენ; სახლში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მოხუცმა ვარიპანიძემ ჩიბუხი მოსწია და კაკლის ხის ქვეშ წავიდა; იმის შვილი ვახტანგ ბალკონის ტახტზე წამოწვა და საძილოდ გამზადებულმა დაუ-

წყო ყურება შორეულ მთებს; ბებია კი დაჯდა თავის ოთახში და რაღაც მიგდებულს წიგნს დაუწყო კითხვა.

ნინო პატარა ხანს მამასთან დარჩა, მაგრამ ის რომ გაჩუქდა და საძილოდ განემზადა, გაიქცა ბაღში და იქიდან ბაღის უკან ამართულ გორაკაზედ გავიდა, საიდანაც მთელი ხეობა ხელის გულივით მოსჩანდა. ბავშობის დროს აქ ხშირად ურბენია და როცა ესლა კვლავ შეჰხედა მშვენიერს, ნაცნობს სანაზაობას, გაახსენდა ბევრი რამ სასიამოვნო, ყმაწვილობაში გამოვლილი, მაგრამ დიდ ხანს არ შერჩა ეს მოგონება, გულამდე ვერ ჩასწვდა, რადგან იმის ფიქრი და აზრი მხოლოდ აწინდელს დროებას ეკუთვნოდა; ეს დროება კი არაფერს გასართობს და სასიამოვნოს არ უქადოდა და ამიტომ უეცრად მოიწყინა. კარგად იცოდა, რომ მამის სახლში მას მოელოდა მხოლოდ მარტობა, მოწყენილობა, ვერაფრით ვერ გაატარებდა დროს და მინც თავი ნება-უნებურად კმაყოფილად უნდა ეჩვენებინა.

— ხშირად მნახე ხოლმე, — მართალია, უთხრა მამიდამ, ქალაშვილის ცოლმა წასვლის დროს, მაგრამ იქ სიარული რას აამბობდა! მამიდა ხან-გადასული ქალი იყო და იმის საზოგადოებაში სიამოვნებას ვერას გამოივლიდა. ერთ-ერთ თავის მეგობარ ქალთან უფრო ხალისიანად წავიდოდა: იქ ისიამოვნებდა, დროს გაატარებდა, მაგრამ ყველა ისინი ისე შორს იდგნენ, რომ მათთან წასვლა ადვილი არ იყო. დიდ ხანს ფიქრობდა, თუ როგორ მოეხერხებინა და მხოლოდ როცა მზე მთებს ამოეფარა, მიყრუებულ ბაღზე გამოიარა და კიდევ უფრო მიყრუებულ სახლში დაბრუნდა.

### III

ნელა და მკუდროდ გაიარა მშვენიერმა და გრძელმა ივნისის ღრეებმა. ერთი მეორეს ემსგავსებოდა: უცვლელად ბრწყინავდა ყოველდღე მზე უღრუბლო ცაზედ, ფართო ხეობას თითქო სთვლივდა ამ გაკაშკაშებული სინათლით მოფენილს და ცის ლაქვარდში ამწვანებული მთები ლამაზად ამართულნი უც-

ელელადვე გამოიყურებოდნენ. ყოველ დილა მოხუცი ვარიპა-  
 ნიძე ჩადიოდა ვენახში, სინჯავდა ნორჩ მტეენებს, მერე მდი-  
 ნარესთან ქვხედ ჩამოჯდებოდა ხოლმე და უგდებდა ყურს წი-  
 სქვილის ხრიალს. მინდორსა და სათიბშიაც ხშირად მიდიოდა,  
 მეტადრე როცა ხენა ან თიბვა იყო. იქ მთელი საათობით შე-  
 ცყურებდა, თუ გუთანი როგორ სჭირდა მსუქანს მიწას და ბელტს  
 ბელტზე გვერდით აწყობდა, ან მშვენიერად ამართული ბალა-  
 ხი ცელისაგან მოკვეთილი ძირს როგორა წვებოდა; უყვარდა  
 ამის ყურება, მაგრამ არა მარტო ფულის გულისათვის, რაც მი-  
 წის მოსავალს შემოჰქონდა. თვით მუშაობა ასიამოვნებდა მას,  
 მუშაობა იმის საკუთარს მამულში, იმ წმინდა დედა-მიწაზედ,  
 რაც ძვირფასად მიაჩნდა და რაც ერჩინა მას წოდებასაც და  
 სამსახურში საპატიო აღგილსაც. მიწას უსაზრდოებია ოდესმე  
 იძინი მამა-პაპა, ეხლა ასაზრდოებდა მას და იმის შვილს და  
 მომავალში უნდა ესაზრდოებინა აგრედვე ნინოს შვილებიც.  
 რამდენიმე დღე იყო, რაც მომავალზე ფიქრი უწინდელზედ მე-  
 ტად იზიდავდა მისს გულის-ყურს და როცა მინდორ-სათიბ-  
 ში, ან ვენახში დასეირნობდა, ხშირად რაღაც ნეტარი გრძნო-  
 ბა გაუბრუნდა ხოლმე, გული სიხარულით აუტოკდებოდა,  
 რადგან ეხლა იმედი ჰქონდა, რომ იმის საკუთრებას კარგი  
 პატრონი გაუჩნდებოდა. დღეში ათჯერ მაინც ფიქრობდა ლე-  
 ვან ჩივანზედ, გაახსენებდა თავის შვილს რაიმე კარგს თვი-  
 სცნვს ჩივანისას, აქებდა იმის ყოფა-ქცევას, შრომის-მოყვარეო-  
 ბას და არწმუნებდა—მთელს მხარეში იმაზედ უკეთესს საქმროს  
 ნინოსთვის ვერა ვხედავო. ვახტანგ ყოველთვის გულგრილად  
 უგდებდა ყურს და მაშინაც კი, როცა ამჩნევდა, მამა-ჩემმა ქე-  
 ბაში გადააჭარბაო, მაინც გულს არ უხდენდა, წინააღმდეგს  
 არას ეუბნებოდა, რადგან ვახტანგისთვის სულ ერთი იყო, ჩი-  
 ვანი შეირთავდა იმის ქალს, თუ სხვა ვინმე. ნინო კი მოწყე-  
 ნილობამ კინალამ თან გადაიტანა, მამის მოგონებას აღარ მოუ-  
 ცადა და თვითვე გამოაცხადა სურვილი ჭალაშვილის ცოლის  
 ნახვისა. მაინც მოვალე იყო, თავის მამიდა ენახა და რაც მა-  
 ლე მოიხდოდა ვალს, ის ემჯობინებოდა. მამაც თან გაჰყვა ნინოს

და როგორც დაპირებული იყო, ჭალაშვილის ცოლმა ლევან ჩიგანი და ორიოდ კიდევ სხვა ახალგაზდა მეზობელი დაუპირა ტიყა. ამ ყმაწვილმა კაცებმა ნინოზედ არაფერი შთაბეჭდილება არ იქონიეს, ვერ მოახერხეს ვერაფრით მისი გართობა და ჩიგანი კი, თუმცა ჩუმი და მშვიდობიანის ხასიათისა იყო, თითქო როგორღაც მოეწონა. ჩიგანი, მართალია, ღამეზი არ იყო, მაგრამ მის კეთილს სახეს საამო გამომეტყველება ჰქონდა და მშვიდი ხასიათი ადამიანს იზიდავდა, ნდობას უღვიძებდა. ყოფი-  
ქცევა ჰქონდა ბუნებრივი, სადა, რაც იყო, იგივე სჩანდა და თითქმის ყველა, ვინც კი გაიცნობდა, მეგობრულად დაუწყებდა და ხოლმე ყურებას. ნინოც აგრედვე მეტად ტკბილად მოექცა და როცა, სამი დღის შემდეგ, მამიდის სახლიდან შინ ბრუნდებო-  
და, გამოსაღმების დროს, ხელი მეგობრულად ჩამოართვა როგორც ძველს კარგს ნაცნობს.

— ერთხელ ჩვენცა გვნახეთ—სთხოვა ლევანს ნინოს მამამ და ლევანიც სიამოვნებით დაჰპირდა თხოვნის შესრულებას.

ნინო ისე მოეწონა ლევანს, რომ დაუპატიებლადაც მოვიდოდა. ერთი კვირის უკან ლევან მართლაც მოვიდა ვარი-  
ზანიძისთან. იგი სიამოვნებით მიიღეს არამც თუ მოხუცმა და მისმა შვილმა, თვითონ ნინომაც, რადგან ლევანმა ამ მყუდრო სახლში სიცოცხლე დაატრიალა და ნინოს გართობაცა სცადა. ნინო არა მალავდა, რომ ლევანის მოსვლა მეტად იამა და პა-  
პაზედ ნაკლებ არა ცდილობდა ლევანისათვისაც აქ ყოფნა სი-  
სიამოვნო გაეხადა.

— მადლობა ღმერთს, შგონი ლევან მოსწონს ხელოს! ჰფიქრობდა მოხუცი თავისთვის, იმათს ქრთმანეთთან ლაპარაკს და მხიარულ სიცილს რომ ჰხედავდა.

მეტის-მეტად გახარებული იყო, რომ ამისთანა ბედნიერი აზრი მოუვიდა და კმაყოფილებით ჰფიქრობდა, ყოველთვის ამისთანა საკეთილო განზრახვა ჩამესახება ხოლმეო და თავი-  
სი თავე წლოვანების მიუხედავად ოჯახის ნამდვილ ბურჯად და გამგებლად მიაჩნდა.

— არც ვახტანგს და არც ჩემს ცოლს არ მოუვიდოდა ფიქრად ლევანის სიძეობა, — ხშირად ბუტბუტებდა თავისთვის მოხუცი. — ვერა, მეთქი, ვერ მოიაზრებდნენ, მაგრამ მაინც ნეტა მაკოლინა ვის მოინდომებდნენ სიძედ, როცა ლევანს აქ არავინ შეედრება.

ლევანის წასვლის შემდეგ მოხუცმა ვარიპანიძემ ცოლსაც თავისი განზრახვა შეატყობინა; თუმცა ამ უკანასკნელს წინააღმდეგი არა უთქვამს-რა, მაინც ურჩია, ნუ ავჩქარდებით და ვნახოთ იქნება ლევანზედ კიდევ უკეთესი გამოჩნდეს ვინმეო. პაპა თუმცა სრულებით არა ჰფიქრობდა ამ რჩევას მიჰყოლოდა; ლევანს გარდა სხვა არავინ უნდოდა, მაგრამ მაინც საჭიროდ დაინახა ამ საჭანზედ თავის მეგობარს მოხუც ვასილს მოლაპარაკებოდა და ამ აზრით წავიდა მასთან იმის სოფელს გენათში, რომელიც ბარუღს აკრავდა.

— კარგად სჩადიხარ, რომ თვალეზ-ახვეული არა სწყვეტ ამ საქმეს, — უთხრა ვასილმა. — ნათქვამია, ათჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერო.

— მეც მაგ აზრისა ვარ, — ჩაურთო სიტყვა ვასილის ცოლმა. — თუ ერთმანეთი მოსწონთ, მალე შეეტყობათ. ღმერთმა ინებოს, რომ ეგ ამბავი მოხდეს, მართლაც ჩინებულნი ცოლქმარნი იქნებიან. მე ლევანზე უკეთესი საქმრო ნინოსთვის არ ვიცი და თუ გაფრთხილებ, ნუ აჩქარდები-მეთქი, იმიტომ ჩავდივარ ამას, რომ ბოროტი ენებისა მეშინიან: ვაი თუ სთქვან, ლევანს ძალა დაატანეს და მოფიქრების დროც არ მისცესო.

— მართალს ამბობ, მართალს; ხალხს სწორედ კარგად იცნობ, — უპასუხა მოხუცმა ვარიპანიძემ და გადასწყვიტა ფრთხილად ყოფილიყო და თავის განზრახული საიდუმლოდ შეენახა.

რამდენიმე დღის შემდეგ ლევან კვლავ მოვიდა ვარიპანიძისთან და ნინო სრულიად მეგობრულად მიეგება. მოხუცმარომ ეს დაინახა, სიხარულმა აიტაცა და კინალამ თავის განზრახვა არ გამოამჟღავნა; კინალამ არ წარმოსთქვა ყოველივე თავის გულის-პასუხი. მაგრამ თავი შეიმაგრა, რაკი საქმე გაწყობილად მიაჩნდა და იმედულობდა, მალე ლევან თავის წა-

ღიღს გამოგვიცხადებსო. ლევანის ყოველ მიხვრა-მოხვრას და ლაპარაკს ეტყობოდა, რომ ნინოს მიმზიდველი შთაბეჭდილება მრეხლდნა მასზედ და ნინოსთან ახლო ბედნიერადა ჰგრძნობდა თავსა.

მართლაც რომ შჩახუცს მიზეზი ჰქონდა მხიარულად ჭრ-ფილიყო. ყოველივე იმის სურვილისამებრ სრულდებოდა, ისე-როგორც მას წინდაწინვე მოესაზრა. მაინც წადილი ჰკლავდა მალე ნამდვილი შეეტყო, სრულიად დარწმუნებულიყო. ერთ კვირა დილას, რაცა ნინო ფიქრებში გართული ბალკონზედ იჯდა და შორეულ მთებს გასცქეროდა, მივიდა მასთან, თმებზე ხელი წაუსვა და ჰკითხა, რაზედ ოცნებობდა.

— იმის ნახვა ხომ არ მოგწყურდა, — დაუმატა მან სიცი-ლით.

— ვის იმისი? — სრულებით გულ-გრილად დაეკითხა ნინო.

— ვითომ არ იცი, ვისი! ლევანისა.

— ჰა, ჰა, ჰა, — გადაიხარხარა ნინომ, რადგან ამ დროს სრულიად ლევანზედ არა ჰფიქრობდა და ლევანის გახსენება მოულოდნელი იყო მისთვის.

— რას მიმაღავ, — უთხრა ვითომ მუქარით მოხუცმა, — მე ხომ ვიცი, რომ შენ ის მოგწონს და ცოლად რომ გითხოვოს, არც ამაზედ იტყვი უარს. სწორედ უნდა გითხრა, ეგ ამბავი მეც კი ძალიან მიაჩება.

ნინო ცოტა აღელდა და ისე დაუწყო ვურება პაპას, მაგრამ იმ წამსვე დაიმშვიდა თავი.

— თქვენც გაიგებთ პაპა-ჩემო? — დაეკითხა ის ნელის ხმით.

— რასაკვირველია, მიაჩება. უკეთესს ძნელად თუ სადმე იპოვი. კეთილი, პატიოსანი და მშრომელი კაცია და ორი რამ სიკეთე აქვს, რაც ცხოვრებაში ძვირად დასაფასებელია: განათლება და შეძლება. რასაკვირველია, სწავლული არ არის და არც საჭიროობს სწავლულობას, მაგრამ ცოდნაში ბევრს ჭვენს ყმაწვილ კაცს უკან არ ჩამოუვარდება. შეიძლება ზოგი მაგა-ზედ სწავლულიც იყოს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ მაგას ან გუ-ლით სჯობდეს ვინმე, ან მოსაქმობით. მამულზე რაღასა ბრძა-

ნებ, ახლა! მთელს იმერეთში იმის ვენახებზე უკეთესი არ მგულდება. მდიდარიც, რასაკვირველია, არ დაერქმის, ან კი ნამდვილი მდიდარი ჩვენში ვინ არის, მაგრამ ჰური და ღვინო უხვადა აქვს და ესეც ერთ სიმდიდრედ ჩაითვლება. ახლა რას იტყვი, განა სწორედ შესაფერი საქმრო არ არის შენთვის?

— იმას ჩემი ცოლად თხოვნის სურვილი სრულადაც არ გამოუცხადებია, — უპასუხა ნინომ. — ჯერ უნდა ვიცოდე, უყვარვარ თუ არა და მაშინ კარგად მოვიფიქრებ ყოველისფერსა.

— ძალიან კარგი, — საჩქაროდ დაუმატა სიტყვა მოხუცმა. — მე და შენ მაგ საგანზედ ერთის აზრისანი ვყოფილვართ, მაგრამ ერთი ესეც მითხარ: მოგწონს? გაიმება ხოლმე იმის ნახვა?

— დიად, სხვებზე მეტად ეგ უფრო მომწონს.

— მაშ თუ ეგრეა, შეიყვარებ კიდევ. მე ვგონებ, ეხლაც გიყვარს და ეს ამბავი დიდად სასიამოვნოდ მრჩება, რადგან ის სწორედ ღირსია შენის სიყვარულისა, შენი ღირსია.

ამ სიტყვების შემდეგ მოხუცმა უამბო ნინოს ლევანისა და იმის მამის სრული თავგადასავალი. ნინო ყურადღებით უსმენდა: თვითონვე მოსვლოდა აზრად, შესაძლოა ლევანის ცოლი გაეხდოდა და ეხლა, რაკი პაპაც ასე ურჩევდა, გულმოდგინედ ჩაუფიქრდა და თითქმის შეუთრგდა კიდევ ამ აზრს. რაც სახლში დაბრუნდა პირველ კვირიდანვე გული სულ გარეგარე უწევდა, რადგან შინ საშინელი მოწყენილობა სუფევდა, ისეთი მოწყენილობა, რომ ხშირად არც კი იცოდა, რა ექნა, რა გაეკეთებინა. თუ უნდოდა რომ ამ სახლს მორჩენილიყო და ცხოვრება თავის გემოვნებაზე მოეწყო, უნდა ქმარი შეერთო და რაკი წარმოდგენილი ჰქონდა, ლევანის ხასიათი გაცივანიო და სჯეროდა იმის გულკეთილობა, იმის სანდო მიმართულება, თავის გულში დასთანხმდა ლევანს ცოლად გაჰყოლოდა. ამ ფიქრისა და მოსაზრების დროს ნინო სრულიად დამშვიდებული იყო: იცოდა, რომ მეტის-მეტად მძიმე საგანი უნდა გადაწყვეტილიყო იმის ცხოვრებაში, მაგრამ ერთხელაც არ უგრძენია ან შიში, ან რაიმე შინაგანი ბრძოლა; გულ-დაწყნარებული ელოდა ოავის ბედს და ერთი რამ იტაცებდა მხოლოდ

ლოდ იმის გრძნობას; სურვილი თავისუფლები:ს მოპოვებისა. ლევანის ქონებაზედაც ისე ნაკლებად ჰფიქრობდა, როგორც თვით ლევანზედ: ჯერ ფულის საჭიროება მას არც კი როდისმე ეგრძნო, რადგან რაკი ყოველთვის ყოველივე მისი სურვილი სრულდებოდა, მამის ქონება აუარებელი ეგონა და სრულიადაც არა ჰფიქრობდა, მდიდარი ქმრის შერთვით თავის კეთილ-ცხოვრება კიდევ უფრო დაემყარებინა. ნინო არაფერს ანგარიშობდა, ის ჰგრძნობდა მხოლოდ შეუკავებელს მისწრაფებას თავისუფლებისა, სიამოვნებისა, მხიარულებისადმი და იმ აზრს დაადგა, რომ ლევანის შერთვით ყოველს ამას მოვიპოებო.

სამის დღის უკან, ლევანი ესტუმრათ და ნინოსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, დათანხმებულიყო; თუ ცოლად ითხოვდა. მაგრამ ლევანს არა უთქვამს. რა ამ უამად მინც და ნინოს ერთი კვირა კიდევ უნდა ელოდნო ეს ლოდინი ნინოს უსიამოვნობასა ჰგვირდა; რაც ის მომავალზედ ოცნებას აშუუღდა, აწამყო უწინდელზედ უფრო აუტანელი და უსიამოვნო ფიქრებობდა. ეხლა თვით წარსულის სიამოვნების მოგონებამ, ძალუასთან გატარებულ მხიარულ დღეების თვალწინ წარმოდგენამ დაჰკარგეს ნელ-ნელა თავისი სიტკბოება და ნინოს გულს აღარ არდობდნენ.

ბოლოს, ერთს ცხელს მზიანს დღეს, შუადღის უკან, ლევან მოკრთალებით წარსდგა ნინოს წინაშე, გაწითლდა, ხელი გამოართვა და ნელა წარმოსთქვა რამდენიმე სიტყვა, რის გაგებაც მხოლოდ ნინოს შეეძლო, ისე გაუგებარნი და დაუკავშირებელნი იყვნენ ეს სიტყვები ერთმანეთთან. ლევანის შეკრთომამ კინალამ გააცინა ნინო, მაგრამ მან ეს ლევანს არ აგრძნობინა და სიყვარულის გამოცხადებას მაგრად ხელის-ხელი მოკერით მიუგო პასუხი, რამაც ყმაწვილ-კაცს გაბედულობა მოუმატა.

— დამერწმუნე, გულ-წრფელად მიყვარხარ და უზღიდეს ბედნიერებად მიმაჩნია—ჩემი გიწოდო.

ლევანმა ეს სიტყვები ისე ლმობიერად წარმოსთქვა და ისე ნაზად შეჰხვდა ნინოს, რომ, ამასაც გული აუღუღდა; თბილმა

ქრუანტელმა დაურბინა ტანში, ხელი მაგრად მოუჭირა და უპასუხა:

— მეც ბედნიერი ვიქნები, როცა შენი ცოლი დამერქმევა. დიდი ხანია, რაც ჩვენის შეუღლების სურვილს გულში ჩემად ვტარებთ მეც და პაპაჩემიც.

ლევანმა ნეტარებით აღელვებულმა ჭეულზედ აკრცა და გამეორებასაც აპირობდა, მაგრამ უეცრად მოხუცი ვარიანტი თავს წამოადგა.

— მაღლობა ღმერთს, რომ ერთმანეთს მიაგენით, — წარმოასთქვა მოხუცმა სიხარულისაგან აკანკალებულის ხმით. — თქვენმა ერთიერთმანეთის სიყვარულმა უბედნიერეს კაცად გამხადა; მაგაზედ მეტი მე აღარა მწადიან-რა, თქვენ შეკავშირებულნი გნახოთ.

მოხუცმა თავზედ ხელები დაუწყა ორივეს და რამდენიმე სიტყვით დალოცა. ნინომ სახე გულზედ მიაყრდნო მოხუცს და მკლავები წელზედ მაგრად შემოჰხვია. მოხუცი თითქმის გაყმაწვილდა ისე დაათრო სიხარულმა, რომ თავისი უღრპესი წადილი შეუსრულდა. იმის შვილს ვახტანგს ეს ამბავი ისე არ ესიამოვნა, როგორც მოხუცს, თუმცა იმაზედ მეტს ლაპარაკობდა და თითქო ცდილობდა თავისი მხიარულება ხარხარით დაესაბუთებინა. ვახტანგს ის უხაროდა, რომ ნინოზედ ზრუნვა თავიდან მოიშორა. მართალია, იმის მოდუნებულს ხასიათს ამისთანა საქმეზედ შეწუხება არ შეჰფეროდა, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, მაინც ეს საზრუნავი საზრუნავად რჩებოდა.

ვახტანგ რომ ლევანსა და ნინოს ელაპარაკებოდა, პაპა ბებიას გამოსაყვანად შევიდა და ცოტა-ხანს უკან ბალკონზედ გამოჩნდა მოხუცი დედა-კაცი, რომელსაც უკან სოფიო და დარიკო მოსდევდნენ, ნინო მაშინვე ყელზედ შემოეხვია, მოხუცს ტრემლები მოერია და მასთან ერთად ორივე გამდელიც ტირილს მოჰყვნენ.

— ვიცოდი, შეილო, ვიცოდი, რომ ერთხელაც იქნებოდა, გამიფრინდებოდი, — ეუბნებოდა მოხუცი დედა-კაცი და თან ლოყებს უკვცნიდა. — მაღლობა ღმერთს მაინც, რამე შორს

არ მიდიხარ და უცხო ხალხს არ უვარდები ხელში. მაშეგრემ, ჩემო საუნჯევ, შენ ამის ცოლი უნდა გახდე? ოჰ, ღმერთმა დაგლოცოს, მოგცეს ყოველი სიკეთე, თაფლით ავივსოს შენის ცხოვრების ფიალა. ჩემო მაისის ვარდო, უნდა მოშორდე რაღა შენს ბებერ ბებიას? აღარ გინდა ჩვენთან დგომა? გესუძრები, შვილო, გესუძრები! წადი მაგასთან, შეიქენ მაგისი კეთილი, ერთგული ცოლი. ეგეთია ჩვენი, დედა-კაცების ბედისწერა. წადი-მეთქი და შენი ახალი ოჯახი დაამშვენე, კეთილ ანგელოზად გაუხდი. შენც, ლევან, გიყვარდეს ეგა, პატივსა სცემდე; ეგ არის ჩვენი ძვირფასი, საყვარელი შვილი, ჩემის ნეტარად სახსენებელის ვაროს ნაშობი. ქმარიც იყავ მაგისი და მეგობარიც, ნურას გაუჭირებ, ისე მოექეც, რომ შენი სახლი სამოთხედ მიიჩნდეს.

სანამ ბებია სიტყვას დაასრულებდა, მთელი კერძობა აქ გაჩნდა. ყველანი მოაჯირზედ მიყუდებულნი ჩუმად იდგნენ და ხან ლევანს შეჰყურებდნენ, ხან ნინოს. აქ იყო ბებიას მოახლე ტასო, სოსიკო, ვანო, რაქდენა, მზარეული ნიკოია, იასონა მებადე, მემარნე გიორგა. როცა ბებია ტანტზედ დაბრძანდა, მოსამსახურეები წინ წამოდგნენ და დანიშნულგზს მიულოცეს. ყოველმა მათგანმა რამდენიმე სიტყვით უნატრა ბედნიერება, თავი დაუკრა და მერე უკან ჩამოდგა.

— გიორგი, ღვინო მოიტანე, — გასცა ბრძანება ვახტანგმა, რომელსაც თითქო ეხლა დაეტყო ძილისაგან გამოთხზილება.

დღევანდელი ამბავი დასაწყისი იყო მზიარულის დროს-გატარებისა: ნადიმი ნადიმს უნდა მოჰყოლოდა და ეს რომ ავონდებოდა, ვახტანგს თავისი ჩვეულებრივი მყუდროება ეფთხობოდა. ჭიჭა-ჭიჭაზედ გამოსცალა თავის ქალისა და სასიძოსა-დღეგრძელოდ და შემდეგ, როცა მოვიდნენ მღვდელი თავის ცოლით, სიკვარიძის ქვრივი და ახლო მეზობელი გონაძე, იმათანაც გადაჰკრა და ყველას იწვევდა, რადგან დღევანდელი დღე ჩემის ოჯახისათვის სასიხარულო დღეა, ვისაც ჩემი მეგობრობა უნდა, ამ სიხარულში წილს ჩაიდებსო.

ესლა მართლაც მხიარულად იყო; ბედნიერებად მიაჩნდა, რომ ნიშნობა მოხდა და ქორწილის სამზადისხელაც დაიწყო ფიქრი, თუმცა ამ საგანზედ ჯერ ხმა სხვას არავის ამოელო.

#### IV

ყოველ დღე სტუმარი ბუზივით ირეოდა ვარიზანიძისთან. მეზობლები, მეგობრები, ნათესავეები ყველანი მოდიოდნენ და ნინოს გათხოვებას ულოცავდნენ. დიდიდან-სალამომდე ღვინო უნგარაშოდ ისმებოდა, ჭიქებს ჩახა-ჩუხი გაუდიოდა და მხიარული ლაპარაკი გაისმოდა ამ ჩვეულებრივად მიწყნარებულ სახლის მიდამოში. ქორწილი უნდა მომხდარიყო აგვისტოში მესამე კვირა-დღეს, ერთი თვე რომ გაივლიდა ნიშნობის შემდეგ, მაგრამ ყოველ დღე იმოდენა სტუმრები მოდიოდნენ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოეცალათ ქორწილის სამზადის შესდგომოდნენ. სახლი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დამშვიდდა და ქორწილის სამზადისათვის მოვიდა ქალაშვილის ცოლი და სახლის გამგებლობა იკისრა. ნინოს ის უნდოდა, საქორწილო ტანისამოსი ტფილისიდან მოეტანინებინა, თავის მკერვალისაგან შეეკერილი, მაგრამ ძველი ჩვეულებისამებრ, ეს ტანისამოსი მეზობელ ყმაწვილ ქალებს უნდა შეეკერათ და რაკი ბების ამ ჩვეულებაზედ გავლა სწადდა, ნინოც აღარ გაუჭირვეულდა. მეტად სწყინდა ნინოს, რომ სურვილი გაუტრუედა და ქორწილის დღეს ყველა ქალებს, სილიამაზით ხომ სჯობდა, და ტანისამოსითაც ვერ დაემჯობინა; თუმცა ნება-უნებურად ამ მოთხოვნილებას დაემორჩილა, მაინც გადასწყვიტა თავის დროზედ უკმაყოფილება ამ ამბის გამო ეგრძნობინებინა.

— ჯერ ბავშვია და მაგისთანა უბრალო საგანზედ ნუ აწყენინებ, — ამბობდა ბებია, როცა ქალაშვილის ცოლი შესჩიოდა, ნინო მეტად თავის-ნებობს და ჩემს განკარგულებას ხშირად არ ემორჩილებაო.

ქალაშვილის ცოლი კარგად ჰხედავდა, რომ ნინოს კირვეულობა სიბავშვებს არ მიეწერებოდა, რადგან დიდი ხანი იყო,

რაც ნინო ბავშვობას გამოსთხოვებოდა და სრულ-წლოვანი ქალის ხასიათები თავში გასთქვეფოდა. საწყენად უფრო ის მიეჩინა, რომ ნინო სრულიად გულ-გრილად ლაპარაკობდა ლევანზე და ჯვარის-წერაზე. ნინოს აღელვება არც კი დასტყობია, როცა ერდხელ ლევან უცბად ეტლით მოვიდა და თაიგულით ხელში კიბეზედ აირბინა. ლევანის მოსვლა ეხლა ნინოს აღარ ართობდა, პირიქით თითქო ცდილობდა სხვა საქმე გამოეჩინა თავისთვის და უწინდელზედ ბევრად უფრო ნაკლებად ატარებდა ლევანთან დროს. ლევანმა იცოდა, ნინო ქორწილის სამზადისში დიდ მონაწილეობას იღებდა და ამიტომ იმის მორიდება არ აკვირვებდა; მით უფრო არ უკვირდა ეს ლევანს, რომ კვლავ ყოველთვის მეგობრულად ეგებებოდა ნინო და ზოგჯერ ისე ტყბილად ექცეოდა, რომ ლევანს ნეტარების კანკალი აიტანდა ხოლმე. მას ერთს წუთსაც არ მოსვლია ეჭვი, რომ სრული ბედნიერი არ იყო და სიხარულით აღტაცებული გულის კანკალით ელოდა იმ დღეს, როცა სამშუდამოდ ნინოს დაუკავშირდებოდა.

დადგა უკანასკნელი კვირაც და ვარიზანტიანთ ოჯახს დაეტყო ისეთი მღელვარება და სიცოცხლე, რასაც, დიდი ხანი იყო, ამ სახლის კედლები არ მოსწრებოდა. ყველა ღარიბი მეზობლები გამოცხადნენ და მზადებაში დახმარება აღუთქვეს. ისინი არაფერს ჯილდოს არ ითხოვენ და ჩვეულებისამებრ იმიტაც კმაყოფილდებოდნენ, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში მძღვრად იქმნებოდნენ. მაგრამ მოხუცი ვარიზანტიე არ აჯერებდა იმას, რასაც თვითონა სჯამდნენ და უხედავად იღივებდა პურს, ღვინოს, ხორავს ცოლ-შვილისათვის და არც იმას ჯავრობდა, რომ ეს მშველელი მეზობლები ხელს არას აკარებდნენ და დილიდან საღამომდე უსაქმოდ იყვნენ. მოსამსახურეები ისედაც ბევრი ჰყავდა და იცოდა, რომ ყოველისფერი დანიშნულ დროს მზად იქნებოდა. ამოდენა სახლის ყველა ოთახები გაუქირვებლივ დასწმინდეს და საქორწილოდ მორთეს; ბაღში მოამზადეს ორი გრძელი და განიერი ხეივანი, საცა ქორწილის მეჯლისი უნდა მომხდარიყო. ვარიზანტიემ ორასზე მეტი კული მოი-

წვია, ასზე მეტი სიძეს მაყრად მოჰყავდა და ამოდენა ხალხი სახლში ვერ დაეტეოდა. სამი დღე რომ დარჩა ქორწილამდე, ტფილისიდან მოვიდა ნინოს ძალუა, ვიზირიძის ცოლი და თან მოჰყვა ნინოს მეგობარი რუსულან ლომიძის ცოლი. საღამოზედ მშენებრივად გაჩაღებულ აივანზედ ზურნა დაუკრეს და შორს ხეობაში გაფანტულმა საკრავის ხმამ მეზობლებს შეატყობინა, რომ ვარიზანიძიანთ სახლში ქორწილის მზარულება დაიწყაო.

ზალაში რომ მზარულობდნენ და საქმელს შეექცეოდნენ, სხვაგან ჯერ კიდევ ქორწილის სამზადისში იყვნენ: იყო ერთი ალიაქოთი ეზოში, მარანში, საკუჭნაოში, სამზარეულოში; მოსამსახურენი ბუზებივით ირეოდნენ; მოურავი და მემარე აქეთ-იქით განკარგულებას აძლევდნენ და თან გაისმოდა ძროხებისა და ცხვრების ბღაილი, რომელნიც მწყემსებს დასაკლავად მიჰყავდათ.

ლავე გვიანობამდე იყო ერთი არეულობა და დილა ადრეიან, ვიდრე მზე ამოვიდოდა, კვალად ეს ამბავი დაიწყა. ეხლა უფრო ცხარედ უნდა მოსდებოდნენ საქმეს, რადგან სტუმრების რიცხვმა იმატა და თანდათან კიდევ უფრო მატულობდა.

ქორწილის წინა-ღამეს ყველა ნათესაებმა და ახლო მეზობლებმა თავი მოიყარეს. აქ იყვნენ სხვათა შორის მოხუცი გონელი და იმის ცოლი მარია, და როგორც საპატიო სტუმართ, ღირსეულად ეჭირათ ალაგი სუფრის თავში. ყველა პატივსა სცემდა მათ, როგორც უფროსებს და ყველასათვის სანატრელ პირთ; მარხლაც; ვინც კი მათ თავის ოჯახში დაინახავდა, დარწმუნებული იყო ბედნიერებას მოუტანდნენ და ამიტომ ლოცავდა იმათ მოსელის საათს. მოხუც ვარიზანიძეს დიდად სასიამოვნოდ მიაჩნდა, რომ ამ პატივცემულ პირთ თავის სუფრაზედ ჰხედავდა და სახეზედ ატყობდა, გულით ჩემს სიხარულში მონაწილეობას იღებენო. ვახშამი რომ თავდებოდა, საზანდრებმა დაუკრეს და ქალებმა მორთეს საქორწილო სიმღერები, რასაც თან საარშიყოები მოჰყვა:

ჩიტო, უამბე ჩემს საყვარელსა,  
 იმის გზისა ვარ შემაცქერალი,  
 ველარ ვისვენებ ვერც დღე, ვერც ღამე,  
 ამაოდ ველი, მწვავს ცეცხლის ალი;  
 მთვარე, ნათელი მოჰჟინე მის გზას,  
 გადმოატარე ხმეოფთი, წყალი,  
 შენც უთხარ ამდენ ტანჯვა-ვაგებით  
 გახდა-თქო ჩემებრ სახე-ფერ-მკრთალი.

შულამის დროს მოხუცმა ვარიანიძემ ყველა სტუმრები მოსასვენებლად მიიწვია და მალე მათელ სახლში სიჩუმე ჩამოვარდა. მოსაქისობურებიც იძულებულნი იყვნენ ძილისათვის მიეცათ თავი, რომ მეორე დღეს მეტი მხნეობა და მხიარულება გამოეჩინათ. ნინოც მაშინვე საწოლს ოთახში წავიდა და თუმცა ისე დაღალული იყო, რომ თვალებს ვერ ახელდა, მაინც ძილი ვერ მოეკიდა. დღეს ჩვეულებრივი გულ-გრილობა და დაუდგრომლობა აღარ ეტყობოდა, რაღაც მხნეობა გრძობამ იჩინა მის გულში თავი და ნინოც დღეს კვლავინდებლად უფრო ჩაფიქრებული და მოკრძალებული იყო. ის ჰფიქრობდა თავის მომავალზე, რომელიც ესლა მეტად უნუგეშოდ წარმოუდგა: ნინოს ლევანი არ უყვარდა, მხოლოდ ცოტაოდენი პატივისცემა ჰქონდა მისი და გული კი ერთხელაც არ ვასთობია ლევანის მოგონებათ; ერთხელაც არ უოცნებია მასზედ, თუმცა სხვა ყმაწვილ-კაცებს, დროებით მაინც, ეს ოცნება წილად რგებიათ მისგან. იყო ამ ფიქრსა და ზრუნვაში რამდენიმე საათი, მამლებმა სამჯერ კიდევ იყვილეს და მაინც ძილი არ ეკარებოდა; ცოტა რომ წასთვლივდა, დარდი მაშინვე ძილს უფანტავდა. ინათლა კიდევ და ფანჯრის ნაჭკრეტიდან შემოანათა შუქმა და დაადგა ფანჯრის პირდაპირ მეორე კედელთან მიმდგარ საწოლს, სადაც რუსუდანს ეძინა. ნინომ უნებურად შეჰხედა და შეშურდა იმის ძილიცა და მოსვენებით ყოფაც. სახეზედ მწუხარების კვალი არ ეტყობოდა და გუშინ ეთქვა კიდევ, სრულიად კმაყოფილი და ბედნიერი ვარო, თუმცა ქმარი არ უყვარდა. დიად, სწორედ ეს უყვარდა და ეს ამ სამი რვის წინად-

ვე უთხრა ნინოს, რამდენიმე დღე რომ იყო დარჩენილი ქორწილამდე.

— ჩემს დედინაცვალს მინდა მოვრჩე და იმიტომ მივდექ ქმარსაო, — ეთქვა რუსუდანს.

კარგად ახსოვდა სწორედ ეს სიტყვები თავის მეგობრისა და ეხლა რომ გაიხსენა და თან შეატყუა, რომ რუსუდანს არა აწყუხებდა-რა, თითონაც დამშვიდდა. მომავალმა ცხოვრებამ გაუღიმა, შიშმა ნელ-ნელა გაუარა, თვალები დახუჭა და დაიძინა მშვიდ, როცა მზის ჰორივლმა შეუქმა ოთახში შემოანათა.

პაპა ჩვეულებრივ ყველაზე ადრე გამოჩნდა მოჩრდილებულ ბალკონზედ. მას ეცვა თოვლივით თეთრი ფარჩის ახალუხი და შავი მაუდის კაბა. სახე სიხარულით უბრწყინავდა და სიამოვნებით გადახედა ეზოში, სადაც მოსამსახურეები საქმეზედ მიდიოდნენ და ზოგნი ალაყაფის კარებს ყვავილებით რთავდნენ და თან მხიარულ სიმღერებს დამღეროდნენ.

მაღე ბალკონზედ ვასილ გონელიც გამოვიდა და შემდეგ დანარჩენი სტუმრებიც, რომელნიც გუშინ და გუშინ-წინ მოსულიყვნენ. ყველას სადღესასწაულო ტანისამოსი ეცვა: ზოგს სადა ევროპიული, ზოგს მშვენიერი ქართული, რომელიც შორიდან ყვავილებსავით აჭრელებული მოჩანდა. დიდ ზალაში თუ სხვა ფოთახებში, ქვემოთ ეზოში თუ ბალკონზედ შეიქმნა ერთი მისვლა-მოსვლა, აირია ერთმანეთში სხვა-და-სხვა სახე მოხუცისა თუ ყმაწვილისა, სხვა-და-სხვა ფერი ტანისამოსისა, თეთრი თუ შავი, სუბა თუ ჭრელი. ქართულ ტანისამოსით მორთულ ქალებს ეცვათ მხიარული ფერის ფარჩის კაბები, წინ ფარჩის სარტყელი ჩამოშვებული; თავზედ ძვბრფას თვლებით შემკული თასაკრავები ეკრათ, რომლის ქვეშიდანაც ოქრომკედით ნაკერო ლეჩაქები მხრებზე გადაჰფენოდათ. ბევრნი მათგანნი ლამაზები იყვნენ, რადგან მხურვალე იმერეთის ასულნი მომეტებული წილი ლამაზები არიან, მაგრამ ყველას სილამაზე დაიჩრდილა, მათ შორის რომ ნინო და რუსუდან გამოჩნდნენ. ორივეს პარიკის ახალ მოღაზედ გამოჭრილი კაბები ეცვათ, ისე ჩინებულის თვისებისა და ჩინებულ გემოვნებაზედ გაწყობილი, რომც

თითქო ანდამატმა მიიზიდაო, ყველამ მათ დაეწყო ყურება. ზოგთა სიხარულით გაცეზებულებს სახე გაუბრწყინდათ, ზოგნი კი შურით ჩაჩუმდნენ და წყენა დაეტყაოთ.

გარედან მოისმა დილის საარი და ზალაშიაც შემოიტანეს საქარწილო საჩუქრები. ჯერ წარმოდგა წინ მოხუცი მარამ, გონელის ცოლი და მიართვა პატარძალს ოქროში ჩასმული ღვთისმშობლის ხატი; მამიდამ, ქალაშვილის ცოლმა, წრთი წყვილი საყურე ქართული ხელოვნებისა; ძალუამ, ვიზირიძის ცოლმა სამაჯურად და ორი სპარსული ხალიჩა; ბაქრადის ცოლმა ძვირფასი პირბადე; სიკვარიძის ქვრივმა ერთი ვერცხლის-სურა; ძველმა გამდელმა ოლიმპიამ ფარჩის ჩუსტები; მეზობლის ხერიუძის ცოლმა ნაკერძ ბალიში და აგრედვე სხვებმაც არც ერთ ნათესავე ანუ მეგობარი ხელ-ცარიელი არ მოსულა.

მომსვლელთა რიცხვი თან-და-თან მატულობდა, ყოველ ოჯახს მემეტს წამს. მეზურნეები ბალკონიდან ზურნა-ნაღარბო ეგებებოდნენ ახალ-ახალ სტუმრებს, რომელნიც ზოგი ცხენით შემოდაოდნენ ეზოში, ზოგი ეტლით. ნინოს მამა ყველას კიბეზედ უხვდებოდა. თავაზიანობა ძალიან სწამდა მას და მეტადრე დღევანდელ შესანიშნავ დღეს თავაზიანად უნდა ყოფილიყო სულ უკანასკნელ და ღარიბ სტუმრებსაც კი ხელს აძლევდა მეგობრულად სახლში იწვევდა; ქალებს ზალამდე აცილებდა და სათითაოდ მადლს უხდოდა, რომ ამ ბედნიერ დღეს გვეწვიეთო. ის დარწმუნებული იყო, რაზე ჯარგად უნაპარაკობდა პირიდან ვარდი სცივოდა და ეხლაც ცდილობდა გამოჩენილ ელაპარაკა, დიდებული კილო მიელო.

სადილ შემდეგ, როცა მზე კარგად იწურა და მთებს მიუახლოვდა, შორს სერზე გამოჩნდა საქმროს მაყრიონის დედაქვესმა ქალმა ნინო მოსარბავე ოთახში წაიყვანეს.

მთელ სახლში ატყდა ერთი სიხარული, მისვლა-მოსვლა; ყველანი გაცვივდნენ სახლის წინ გადაჭიმულ დიდ განიერ ბაღეკონზედ, რომ აქედან ეყურათ, თუ მეფე და იმისი მაყრები ეზოში რაგორ შემოვიდაოდნენ, მაყრიონს წინ მოუძლოდა მშვენიერს თეთრ ცხენზედ მახარობელი. ეს იყო მთელს იმერეთში გადმოქმუ-

ლი ლუარსაბ რბანელი, კაცი მაღალი, ახოვანი, მოქიფვე ღმა მოხუშარი; არა სადილს, არა ნადიმს ის არ დააკლდებოდა. ტანთ ეცვა ძველებური ტანისამოსი, იისფერი ბეწვ-მოვლებული ზაფერდის ქულაჯა, აგრედვე ბეწვ-მოვლებული ზაფერდის ქული იმავე ფერისა; წელზედ ეკრა ოქროს ქამარი, რომელზედაც ეკიდა ძვირფასად შემკული ხმალი მოოქროვებულს ქარქაშში. მახარობელს მოსდევდნენ მეზურნეები და ამათ ასზე მეტი ვაჟკაცი, ახალგაზდა თუ ხნიერი, თითქმის ყველანი ძველებურ ქართულ ტანისამოსში, რომელსაც სხვა-და-სხვაფერად გაჰქონდა ბჭყვრილი და ზედ მოელვარე ხმალ-ხანჯალი ეკიდათ. ამ აჭრელებულ ხალხს მოსდევდა ორ-ცხენ-შებმული ეტლი, რომელშიაც ლევან ჩიგანი იჯდა; იმას ზოგიერთ სხვებივით შავი ფრაკი ეცვა, — ასე ესურვა ნინოს, რომელსაც ევროპიული ტანისამოსი ერჩია ქართულს. როცა მაყრიონი ზურნით, სიმღერით და დამბანის სროლით ეზოში შემოვიდა, ლუარსაბ მივიდა ვახტანგთან, რომელიც მას წინ მიეგება და ახარა, საცაა მეფე მოვალე დაცალა ერთი თასი ლენო ვარიანძიანთ ოჯახის სადღეგრძელოდ და მერე ვახტანგთან ერთად ზალაში შევიდა, სადაც ყოველ ოჯახის წევრს ნიშნად მომავალი ტკბილი ცხივირებისა თითო ნაჭერი შექარდ მისცა.

ეზოში შემოსულს ლევანს მთელი ხალხი მიეგება ერთის კივინით, ზურნისა და საზანდრის ხმით, აღტაცებული სიხარულით. ლევანს ცოტა აღელვება ეტყობოდა, მაგრამ მხიჯრულად იყო, მარდად ჩამოხტა ეტლიდან, ავიდა კიბზედ, შევიდა ზალაში; სადაც ნინო ქალბ-გარ შემოართყმულნი სავარძელში იჯდა და საქმრას ელოდა. ნინოც აღელვებულად იყო და ცოტა ფერმკრთალიც, მაგრამ ეს უფრო ამშვენებდა მას და გუშინდელსაერთ ყველა ქალბესა სჯობდა, როგორც სილამაზიბთ, ისე გემოვნებაზე შეკერილ ტანისამოსით და ნარნარი მხვარა-მოხვარით თანჯის საქმრო მხიარული მომხიბლავი ღიმილით მიიღო, თითქმის ნიშნად უნდობდა, ძლიერ გავბედნიერდი და შენი ცოლის წახდებიო.

პაპამ ხელით ანიშნა და სიჩუმე ჩამოეარდა. ლევანმა და ნინომ ბებიას წინ დაიჩოქეს და ამანაც დალოცა მეფე-დედოფალი.

— ღმერთო იყოს თქვენი პატრონი და მფარველი, — სთქვა მოხუცმა დედაკაცმა ხმის კანკალით. — ღმერთმა ერთმანეთის სიყვარული ბოლომდე გულში დაგიმყაროთ და მოგანიჭოთ კმაყოფილება, კეთილი ცხოვრება, ბედნიერება! იყავით, შვილნო, ერთ-სულნი და ერთ-გულნი; ნუ გამოელევა თქვენს ოჯახს მხიარულება და ღმერთმა ინებოს თქვენი შვილებიც თქვენისთანა ბედნიერნი იყვნენ!

მასუკან დალოცა მოხუცმა ვარიპანიძემ და შერე ჯერი ერგო ვახტანგს. ამან არამც თუ დალოცა, მეფე-დედოფალს და ყველა სტუმრებს გრძელი, უშველებელი სიტყვა უთხრა, რომ მელმაც თვითონ მთქმელი უფრო აადლევა გამგონზედ. სიტყვა რომ გაათავა, ხელ-ახლად მოისმა საკრავების ხმა და ერთის განგაშით ყველანი გავიდნენ სახლიდან და ახლო ეკლისიაში ჯვარის საწერად გაემართნენ.

როცა ცაში ვარსკვლავები გამოჩნდნენ, მღვდელმა ჩვეულებრივი საკითხავებით მიმართა მეფე-დედოფალს და იმათაც მკაფიოდ თანხმობა გამოაცხადეს. ამ ღირს-სახსოვარს წამს მოხუცმა ვარიპანიძემ ცრემლით სავსე თვალები ამართა მაცხოვრის ხატისკენ, გულით შეევედრა ღმერთს, ხალ ჯვარ-დაწერილთ მოანიჭე ბედნიერებაო და მადლს უხდიდა, რომ მოესწრო ამისთანა ბედნიერს და მისთვის მნიშვნელობით სავსე დღეს. დიდ ხანს ლოცულობდა მოხუცი და მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ჯვარის-წერა გათავდა და ყველანი კარებისკენ გაემართნენ. გარედ გადაჰკოცნა მან ლევან და ნინო და ვგონებ მეთედ ინატრა მათთვის ბედნიერება. ხანგრძლივ ილაპარაკა მოხუცმა, მაგრამ მაინც თითქო ვერა სთქვა, რაც სთქმელი ჰქონდა, ისე სავსე იყო იმის გული სხვადასხვა ნა-

ტვრითა და სურვილით. ლევან სიამოვნებით აღელვებული ყურს უგდებდა; ნინოსაც თითქო დაეტყო, თითქო იგრძნო ამ დიდებული წამის მნიშვნელობა, მაგრამ მაინც იამა, როცა მოხუცმა ხელი გაუშვა და ლევანმა ეტლში ჩასაჯდომად მიიწვია. ეხლა ყველაფერი გათავებული იყო და თითქმის უკვირდა კიდევ ნინოს, რომ ეს მნიშვნელობით საესე ამბავი ასე მალე მოხდა: ძალა-დაუტანებლივ უთხრა მღვდელს სიტყვა „მსურს“ და როცა ეხლა ეტლში ლევანმა ნაზად მიიკრა გულში; უსიამოვნობა არ უგრძენია და ისე შეიტკბო მისი ალერსი, რომ შესაძლო იყო ლევან ადვილად მოტყუებულიყო და გულ-გრძობა ვერ შეემჩნია.

სიმღერითა და საკრავების ხმით დაბრუნდა ხალხი უკან, და რადგან სახლში ყველა ვერ დაეტეოდა, მხოლოდ ნახევარი სტუმრებისა აჰყვა ჯვარ-დაწერილებს ზალაში, რომ იქმათ სადღეგრძელოდ პირველი ჭიქა დაელიათ. სხვანი ბაღში ჩავიდნენ, სადაც ხეივანებ ქვეშ სუფურები იყო გაშლილი. ჭრელი ქალაღდის და მინის ფარნებიდან უხვი სინათლე ეფინებოდა ყველა ოთახებს და ხშირ ხეხილს, რომლის ახოვან ტოტებ ქვეშ მშვენივრად მორთულ-მოკაზმული ხალხი მიდი-მოდიოდა.

— ღმერთმა აცოცხლოს მეფე-დედოფალი! — დაიძახა მალა ზალაში ლუარსაბ რბანელმა და მაშინვე ასზე მეტმა სულმა დასცეს სიხარულის კიჟინა. ჭიქა ჭიქას მიეჯახა, ზურნამაც დაუკრა და ამის ხმაზედ ყველანი წყვილ-წყვილად დაწყობილნი, წინ მეფე-დედოფლის წამძღვარებით ბალისკენ გაემართნენ.

ბევრმა ხანმა გაიარა, ვიდრე ატმით, მსხლეებით, ახალი ლეღვით, კიტრებით, ბოლოკით, ვერცხლის სურებით და ბოთლებით აჭრელვებულ სტოლებთან სტუმრები ჩამომწკრივდებოდნენ და როცა ყველანი დალაგდნენ, მოხუცმა ვარიპანიძემ გადახედა ოთხ რიგზედ გრძლად ჩამწკრივებულ სტუმრებს და გულში იამა. ამოდენა საზოგადოება სხვასთან არავისთან ენახა. ყველანი აქ იყვნენ, ვინც უნდოდა: მდიდარნიც, მთელს იმერეთში გამოჩენილი გვარის წარმომადგენელნიც, ძვირფას ტანისამოსში გამოქიმულნი და აგრედვე ღარიბნიც, მცირენიც, რო-

მელოტს ოქნება ერთი ჩოხის მეტი არა გააჩნდათ-რა. მოხუცს ყველას აქ ყოფნა უხაროდა, მდიდარსა და ღარიბს ერთმანეთში არ არჩევდა. ახლო-მახლოდან მზელი ახალ-გაზღობა იქ იყო და არც ესა სწყინდა; თუმცა ხშირად ჰკიცხავდა მათ ყოველ-ქცევას და დაუდევრობას, მაინც მათი მზიარულება უყვარდა და ზამებდა. როცა მათ უყურებდა, სიამოვნებით იგონებდა და თავის ახალ-გაზღობასაც და სხვა ყველა ავიწყდებოდა; ავიწყდებოდა თითქმის ის დარდიც, რომ იმის შვილს ოჯახი ცუდად მიჰყავდა. დღეს მაინც ამ დარდებისათვის არ ეცალა; დღეს ის მთლად სიხარულმა აატანა და თავის ურაცხეი სტუმრების მზიარულებას აჰყვა. როცა პირველი თავი საქმელი მოიტანეს, ყველამ თითქმის ერთხმად ლუარსაბ რბანელი ტოლოშ მზაზად ამოირჩიეს.

მიც — ძალიან კარგი, ვიქნები თქვენი ტოლოშმაში! მაგრამ ყველანი კი უნდა გამზიარულდეთ, გულიდან ჟანგი ამოიღებოკოთ, და თუ დარდი გაქვთ რამე, ქარს მისცეთ წასაღებად:

ყურძნის წვენი, მომაღხენო,

მოგვეცი შეება,

შენგან მოწყულს გულს დარდი ხომ

ვერ ეკარება.

— ბარაქალა, ბარაქალა! — შესძახეს ყოველ მხრიდან; ქალებმაც კი მოწონების ნიშნად თავი დაუქნიეს და ილიმებოდნენ იმის ნათქვამ ლექსზედ. დღეს იმისთანა არავინ იყო აქ, რომელსაც არ მოსწონებოდა ტოლოშმაშის ბრძანება, მოილხინეთო. თითონ ნინოს მამასაც თუმცა დღეს რამდენჯერმე ღრუბელმა გადურბინა სახეზედ, მოურავის ანგარიშების დახედვაზედ, გადასწყვიტა უზომოდ გამზიარულეზულიყო და ყოველ საზრუნავისთვის გვერდი აქცია. ჯერ სხვებს მეთორე კიქაც არ დაეცალათ, რომ ამან მეოთხე დაისხა და მოუთმენლად ელოდა დროს, როცა შეიძლებდა თავის სიტყვის წარმოთქმას, რომელსაც ერთი კვირა ამზადებდა. დარწმუნებული იყო, ამ სიტყვით ყველას ასიამოვნებდა და სიამაყით და დაცინვით

ყურს უგდებდა. რბანელის და მოხუცი გონელის სიტყვებს, აუ-  
 მცა ვითომ მოწონების ნიშნად ტაშს უკრავდა და მათ სადღე-  
 გრძელოდ თავისი მეოთხე ქიქა გამოსცალა. გონელის შემდეგ  
 სამმა კიდევ ილაპარაკა, რომელნიც აგრედევ ნინოს ვარდ-ყვით  
 ვილს უფენდნენ ფიანდაზად და მოუთხრობდნენ ცოლისა და  
 დედის მოვალეობაზედ, რაზედაც ნინო სრულიადაც არა ჰყო  
 ქრობდა და ამიტომ მათი სიტყვები თავ-მომაბეზრებელად მია-  
 ჩნდა. სამივეს ანისთანავე შემთხვევაში იგივე სიტყვები ეთქვათ  
 და დღეს მეთოდ თუ მეთორმეტედ იმეორებდნენ. უფრო ხან-  
 გრძლივ და გულ-მოდგინედ ილაპარაკა გარსევან ერეკლიძემ,  
 რომელიც ხელებს აქეთ-იქით იქნევდა და მეტადრე მაშინ, როცა  
 წარმოსთქვა სიტყვები: მოვალეობა, განათლება, რწმუნება,—ეცა-  
 და განსაკუთრებული გრძნობა და მჭევრ-მეტყველება გამოეჩი-  
 ნა. ზოგიერთ მოხუცებულებს გარდა, იმის სიტყვებს არავენ  
 მნიშვნელობას არ აძლევდა და როცა გაათავა, რბანელომ მე-  
 რიქიფესა და საზანდრებს მიმართა და მოუთმენლად შესძახა:

მერიქიფევ, მასვი ღვინო,  
 საზანდარო, შენ დამღერე,  
 სევდა ღვინით გამოქარვე,  
 სიყმაწვილე კვლავ შთამბერე.

თითო წვეთი ამ ღვინისა  
 კაცნა არის მომზიბლავი,  
 მალლა ზეცით მოგზავნილო  
 სამოთხისკენ მიმზიდავი.  
 მგოსანთ მღერაც ფრთები არის,  
 ცაში ღმერთთან წარმტაცველი!  
 აბა, დაჰკათ, საზანდრებო,  
 მერიქიფევ, ღვინოს ველი!

დიდის აღტაცებით მიეგება საზოგადოება ტოლუმბაშის  
 სიტყვებს, ყველამ აივსო თავისი ქიქა და საზანდრებმაც დამღე-  
 რეს ლექსი ნინოს სილაპარაკისა და ყოფა-ქცევის საქებრად. ლე-  
 ვანის ხასიათი კებით შეამკეს და ორივეს ურჩევდნენ სიტ-  
 კბოებითა და სიყვარულით ცხოვრებას:

-ანოუ ამბინა ვიდრე გული შევრღე ქვეშევიცემო; რა ცბიროფუნ  
 გიყვარდეთ და გაიხარეთ, უშინაღო იოცუც ანგობ  
 სიყვარული ღმერთი არის, ნი იუონ ციცი —  
 თავი მის წინ დაიხარეთ!  
 -ას მათოლოან ვინ იოცხმინქან იოლბეც  
 ცისქვეშეთში ვერაფერი ახიუცბონ შეგეძობაგ ცხე  
 სიყვარულს ვერ ეღარება, თობრედს დუნენ ამმ ასე თე  
 შეიყვარეთ, თუ გწადიანთ თოთობიეც — საუკუნო ნეტარება. უსუსტადიე, იოლბეცბა —

საერთო სიხარულზე არაფერს შეუძლოვებია, ერთის სტო-  
 ლიდან მეორესკენ გაისმოდა ხუმრობა და სიცილი და მზიარუნ  
 ლი სიმღერა დიდ ხანს არღვევდა ღამის მყუდროებას. შემწვარი  
 რომ მოიტანეს, რბანელმა ვერცხლით მოქედილი ყანწი აივსო,  
 მასპინძლებს ქება შეასხა და ერთის მიყუდებით გამოსცალა.  
 მოხუცი ვარიზანიძე და იმისი შვილი ტოლუმბაშის ლაპარაკს  
 ფეხზე-მდგომნი ისმენდნენ და დრო-გამოშვებით მატლოციო  
 თავს უკრადნენ, ვიდრე ყველა სტუმრებმა საერთო ვაშა, ვა-  
 შა არ ღსძახეს და ორივეს მრავალ-ვაშიერი არ უმღერეს. ვა-  
 ხტანგმა იგრძნო, რომ სანატრელმა ჟამმა მოაწიაო; გამოარ-  
 თვა რბანელს ყანწი, აივსო წითელი კახური ღვინიო და ღინ-  
 ჯან, დარბაისლურად დაიწყო თავისი სიტყვა. ამ სიტყვირ სუ-  
 რდა არამც თუ მადლობა გადაეხადა სტუმრებისათვის, რომ პა-  
 ტივი მეციოთ და მობრძანდითო, არამედ უნდოდა შეხებოდა  
 თავის თანამედროვეთა აზრს ცხოვრებისა და ქვეყნიერობის ვი-  
 თარებაზედ.

— ჩვენი გამოჩენილი პოეტი რუსთაველი ამბობს თავის  
 უკვდავს თხზულება „ვეფხისტყაოსან“-ში:

„... ამ სიტყვებით დაიწყო სიტყვა ვახტანგმა, ზედ დაურთო  
 ათი თუ თორმეტი ნათქვამი-მთავე პოეტისა, თავისი აზრებიც  
 შიგ ჩააკერა და ისე გაება სიტყვების ბარდებში, რომ თხუთ-  
 მეტის წამის შემდეგაც კი შესავალისათვის ვერ მიეგნო.“

მადლობაც არ ეთქვა და ყველანი კი დაღალა იმისმა ლაპარაკმა, ყველა მოუთმენლად მოელოდა დასასრულს.

— იგივე პოეტი ამბობს სხვაგან...— განაგრძობდა აღტაცებული მასპინძელი, მაგრამ სტოლის მეორე ბოლოდან, სადაც გარსევან ერეკლიძე იჯდა, მოისმა მალე მოწონების ხმა და ეს ხმა მალე საერთო შეიქმნა.

— ჩინებულია, დიდებულად არის წათქვამი!— ჰყვიროდა ერეკლიძე დაცინვით.

— ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი მასპინძელი!— ჰყვიროდნენ მეორენი.

— აღდგარქელოც ღმერთმა ჩვენი ორატორი!— დაიძახეს სხვებმა და საზანდრებს უბრძანეს, ტუში დაჰკარიოთ,

ახტანგმა დიდ ხანს ველარ შესძლო სიტყვის გაგრძელება და როცა ყველანი დაწყნარდნენ, იმის აღტაცება გამქრალიყო. სწავლიდა რომ ველარ დაასრულა, მადლობა უთხრა სტუმრებს იმის მხიარულებაში მონაწილეობის მიღებისათვის და დაჯდა. მაშ იგრძნა, რომ ესეთი მოკლე ბოლო არ შეეფერებოდა დიდებულს შესავალს და ამიტომ განიზრახა, მეორე დღეს კიდევ უფრო გაეცვიფრებინა ხალხი მჭევრ-მეტყველებით. დღეს ამისთვის შემთხვევას ველარ იპოვიდა: დრო იყო სუფრიდან ამდგარიყვნენ და ზალაში წასულიყვნენ, რადგანაც საკრავის ხმა მოცეკვართ იწვევდა. ყველა ქალებმა და მომეტებულმა ნაწილმა ყმაწვილ-კაცობისამ ხეივნებს თავი დაანებეს და სიხარულით მისწრაფებოდნენ ზალაში; ძირს დარჩნენ მხოლოდ ხნიერნი და იმისთანანი, რომელთაც ცეკვა-თამაშობა არაფრად მოსწონდათ და სუფრაზედ ქეიფსა და საზანდრების ყურისგდებას ამჯობინებდნენ. რუსუდან ლომიდის ცოლმა ხელი-ხელს გაუყარა პოეტს გარსევან ერეკლიძეს, რომელიც მხოლოდ გუშინ გაიცნო, თუმცა იმისი საარსიყო ლექსები ხშირად ეკითხა და ემტრება ვიდრე გარსევან ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, მაღალის წამოსადგვის ტანისა. იმისი შავის წვერით შემოსილს სახე მშვენიერი იყო, მაგრამ კეთილშობილურ სივაჟაკეს მოკლებული: არამც თუ იმის დადრონ დეალებში, ტუჩებიდა.

ნაც კი გამოსჭვირდა ნიშნები პირუტყვეული ვენებათ-მღელეღარეს ბისა. რუსუდან თითქმის სულ ამას ელაპარაკებოდა და როცა ერეკლიძე გაიხუმრებდა, ან იოხუნჯებდა რასმე, ქალი გულიანად იცინოდა და აშკარად ატყობინებდა ყველას, რომ სხამოვნებით ისმენდა იმის ლაპარაკს და მოშორება არ უნდობდა. ერეკლიძე მოსწონდა რუსუდანს და როცა ორნივე ზალაში შევიდნენ, სადაც ტანცაობა დაწყებულიყო, ქალმა ხელი შხარზე დაადო და სატანცაოდ გაჰყვა. რუსუდან სიხარულით ზღაპრული გასრილი ზალაში ერეკლიძესთან ერთად დასრულიდაც ვერ ამჩნევდა, რომ მრავალი თვალი მათ შესცქეროდა და იმხს თავისუფალ ყოფა-ქცევას ერეკლიძესთან სხვა-და-სხვა რიგად სწიდა. ყველას გაუკვირდა, რომ საშის თვის ჯვარ-დაწერილმა ქალმა არაფერ თუ უცხო ემაწვილს თავისუფლად ქცევის ნება მისცა, არამედ თვითონვე აქეზებდა, თვითონვე შემთხვევას აძლევდა საარსიყრდ. განსაკუთრებით ბვალ-ყურს ადევნებდა მარიამ გონელის ცოლი, რადგან რაკი ბების მოსასვენებლად წავიდა, ეს დარჩა ოჯახის უფროსად და მოვალედ ჰკრძობდა თავს ეზრუნა წესისა და რიგიანობისათვის. მარიამმა რამდენჯერმე მკაცრად შეჰხედა რუსუდანს, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერაფერს ამჩნევდა, იცინოდა და ხუმრობდა ერეკლიძესთან და ერთს წუთსაც გვერდიდან არა შორებოდა. მხოლოდ შუალამის შემდეგ, როცა მოტანცავეთ ცოტა შეისვენეს, მივიდა რუსუდან და გვერდით მიუჯდა ნინოს, რომელიც უფროს ქალებით გზარშემფრტყმული ზალაში მოტანცავეთ შეჰყურებდა. დიდი ხანი გაეგონა, რომ რუსუდანს პოეტ ერეკლიძის გულის მოგება სწადიანო და თავის მეგობარ ქალის საქციელში არაფერს უკადრის არა ჰხედავდა. თვითონ ნინოსაც მოსწონდა ერეკლიძე, ეს იყო უღარტელი, მხიარული უმაწვილ-კაცი და სწორედ ამისთანებთან ყოფნა უყვარდა მას. მერე ლამაზიც იყო, ბევრად უფრო ლევეანზედ ლამაზი, იმ ლევეანზედ, რომელიც ამ რამდენიმე საათის წინად იმის ქმარი შეიქნა, რომელსაც საუკუნოდ შეეკავშირა. ბაღში ნადიმის დროს ნინოს თავის მომავალი ბედი რომ გაახეწდა, ცოტა არაწყო შეკრთა, მაგრამ

ებლა სრულიად დამშვიდებული იყო. ზუჟმა გადაწყვეტილი არა ჰქონდა-რა, მაგრამ ამას კი ჰგონობდა, შემოდინან ქმრის დროსაც ბედნიერი ვიყო, თუ ჩემს მეგობარ რუსულანგივთ ცოლქმრობის ტვირთს არ გავუქეღვინებო. ხელახლად მოიწადინა ნინომ გამხიარულება და როცა ზალაში გაისმა დაირა, დიმიტრიძის ხმა და ყველანი აქ შემოიკრიბნენ, თვითონაც ჩადგა წრეში რომ ესაზოგნა და ეყურა ვნებათ-ღელვის მომგვრელ და თან სიკეკლუცით თვალის წარმტაც ლეკურისათვის.

საკრავები დიდ ხანს უკრავდნენ, მაგრამ არავინ გამოდიოდა; დღეს თუ არ საუკეთესო მოთამაშე, ვერავინ გაბედავდა პირველად გამოსვლას. ბოლოს, რბანელმა რომ ნახა, ჩემზედ წინად ვერავინ რას ახერხებსო, გახტა შუა ზალაში, კოხტად გარშემო შემოფურა და გონელის შვილის-შვილს ლამაზ დაწყევანს თავუ დაუკრა. მთელს იმ მხარეში დარეჯანსავით არავინ თამაშობდა ლეკურს. ვნებათ-ღელვით სახვე იყო იმისი მიხერა-მოხერა და თან ნარნარი, სიკეკლუცით თვალის დამტყვევებელი. ნახად დაიდო მარცხენა ხელი შუბლზედ და მარდად გარს შემოუარა ზალას. უკან რბანელი მისდევდა. ქალი უცაბად შესდგა, შეითამაშა, მერე კიდევ გაუხტა რბანელს, ღიმილით გაიტყუილა, კვალად გაექცა, კიდევ და კიდევ იგივე გაიმეორა, ვიდრე ხალხში აწ გავრია და მათი ადგილი სხვამ არ დაიჭირა. საზანდრები გაცხარებით უკრავდნენ ამ გულის-აღმძგერელს ხმას, კოფაშაშენი ვახუშდნენ, ახალ-ახალი წყვილები დასრიალებდა ზალაში, შავი თვალები ბრწყინავდნენ, გულ-ღებმა ტოკვა შექმნეს და ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ, თვით ისინიც კი, რომელნიც ცოტა წინად საძილოდ განმზადებულნი აღდგნენ სუფრიდან. მშვენიერი ქალები ერთიერთმა მათის შემდეგ თითქო სამალავიდან გამოდიოდნენ, ატყვევებდნენ ვაჟკაცთა თვალებს, რომელნიც მათ წინად ამოდენა აქრებულ საზოგადოებაში ვერც კი ამჩნევდნენ და რამდენიმე წამის შემდეგ იკარგებოდნენ ისევ ხალხში, სადაც-მათ ყურადღებას აღარავინ აქცევდა, რადგან ასპარეზზედ სხვა მშვენიერება გამოდობდა ხშირად წინანდელზედ კიდევ უკეთესი, რუსულანგაც

ითამაშა-ლეკურა ახალგაზრდა პოეტ გარსევანი ერეკლიძისთან და როცა ზალაშვილებთან-ლელოვით აღტაცებული ტრიალებდნენ და თრფილ-კანკალით ერთმანეთს ეარსებოდნენ, ღველაში ნება-უნებურად გაიფიქრა, ეს ქალ-ვაჟნი სწორედ შესაბამისი ფერნი არიან ერთმანეთისთვისაო და მხოლოდ ზოგნი იმისთვის ჰკიცხავდნენ, რომ სიყვარულის დამალვას სრულწილთა არა ჰყოქრობდნენ. თითქმის ყველანი მთვრალი იყვნენ, ზოგნი მშვენიერი ლეკურის ყურებით და აღტაცებული საკრავების ხმით, ზოგნი ღვინით, რამელიც გამოუღვევლად მოჰქონდათ, რომ სტუმრები უფრო კიდევ გაემზარულენათო დილა მდებარე გარეგნულად ცეკვა-თამაშობა, დილა მდებარე პალში სახანდრები მღერობდნენ და ყმაწვილ-კაცობა ერთად შეჯგუფებული ხუმრებდა დამიანიოდა, ვიდრე ცაში ვარსკვლავები არ ჩაქრნენ.

მხოლოდ მაშინ, რეცხვილი დიდი რაოდენობითა ცის დასავალზედ მთის წვერებს, ხალხი და რშალა, ზოგნი თვევანთ ოჯახებში დაბრუნდნენ, ზოგთა მასპინძლის სახლშივე მონახეს დასასვენებელი ადგილი. ამ სახლში დღის ბოლომდე მიღწია დიდის ხნიდანვე განზრახულმა ქორწილმა მხიარულებამ. ქორწილი თავდებოდა და ღვეან ჩიგანს გული უტოკავდა სიხარულით, რომ ეხლა ნება ჰქონდა თავისი საყვარელი ნინო თავის ტბილს ოჯახში წაეყვანა. სტუმრებ შორის დარჩნენ მხოლოდ ახლო ნათესავნი და მეფის მაცურები, რომელნიც ღვეანს უკანვე უნდა გაჰყოლოდნენ. თუმცა ნინოს მამა ეხვეწებოდა სიძეს, — ერთი დღე კიდევ ჩემ ჰერ ქვეშ გაატარეთო, მაგრამ ღვეანმა უარი უთხრა და გადასწყვიტა იმ დღესვე შინ დაბრუნება. ღვეანი ჩქარობდა, იმიტომ რომ თვალწინ წარმოდგენილი ჰქონდა, რა გულის ფანჯალით ელოდნენ იმისი დედა და და იმ საათს, როცა იმის მშვენიერს ცოლს თავიანთ ოჯახში მიიღებდნენ და ამ საბუთს თვით ვარიზანიძეც წინ ვერ აღუდგა. მალე ყველაფერი მომზადდა და საღამო გაშს, როცა სიციხე უკლო, ზურნამ წასვლის ხმა დაუკრა. ნინოს თან უნდა წაჰყოლოდნენ ქალაშვილის ცოლი და რუსუდანი, სხვა ქალები კი ბებიასთან რჩებოდნენ, რომ ენუგეშათ და გაერთოთ როგორმე.

მეცხე — თუ, შვილო, რომ იცოდეთ, ესეა რამდენი უნდა ვიწველო და ვიტანჯო! — ამბობდა იგი და თან ცხელის ცრემლით იმდუღებოდა. — მზის შუქი თან მივაქვს და მე უბედური ბნელაში ვრჩები. მაგრამ წადი, შვილო, მე ის მეყოფა ჩემს მარტობაში ნუგეშად, რომ შენ კარგად და ბედნიერად მეყოლები. მოდი ხშირად, ნახე შენი ბებერი ბებია, შენის ნახვით მრაცოცხლე ხოლო!

ქალებს ყველას ცრემლები მოურია და როცა ახლად ჯვარდაწერილნი ეტლში ჩასხდნენ, მოხუცმა დედა-კაცმა პირჯვარზე გადასწერა და მალა ხელ-აპყრობით ღმერთს შეავედრა. ნიწნომაც თვალ-ცრემლიანმა ჟუკანასკნელად აკოცა ბებიას, ზურნამ კვლავ წასვლიც დაუტრა და მექორწინენი გზას გაემარტენენ.

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! — მიადევნა სწოცვა თვალ-ცრემლიანმა ბებიამ.

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! — განიმეორეს სხვებმა ქალებმაც რამდენჯერმე; ვიდრე ეტლი აღაყადეს კარებს არ მოეფარა.

... (შემდეგი იქნება)

... (შემდეგი იქნება)

... ამასვე შეინჯვალთ, ანუ კომპოზიციის (სიკვანძო) ...  
... ამასვე შეინჯვალთ, ანუ კომპოზიციის (სიკვანძო) ...  
... ამასვე შეინჯვალთ, ანუ კომპოზიციის (სიკვანძო) ...

### ხმის სივრცის სიმართლები

(შეკრებილი დავით როსტომიშვილის მიერ)

სურათში შევხვდებით დასაშვანი კრისთვიშვილმა კვანძო  
 შემოუყვანა არაგვსა; არ გადასწვდება თვალთ.  
 სასმელათ წყალი არ ეყო აღაზანი და მტკვარიო,  
 სამკვარათა ბაღსა, თრიალეთისა მთანიო.  
 დულში<sup>1)</sup> დასყენ(ა) ქვეითი, ნყარობს<sup>2)</sup> — ცხენანიო;  
 აქეს მივიდა სოფლის კარს: ესუბხათავ, შინა ხარიოა?<sup>3)</sup>  
 — შინა კარ ბიძა-ძმის წულნი, ორნი(ო) კარგნი გვტანავ<sup>4)</sup> სხენიო,  
 ტყეა-წამლი ბუერი გვაქეს, თოფის გვიკიდევი კვანძო<sup>5)</sup>;  
 ისარნიც ბუერი დაკვეტეთ<sup>6)</sup>, ჯორის გამოკვი(ა) ცხადო<sup>7)</sup>;  
 ცხენ გვაქეს ხუროთ ნაკები, კუთხეს არ გვიწადთ<sup>8)</sup> ქვანიო;  
 ქვას<sup>9)</sup> გვიდავს ყოხნი და ვაწნი, არ შეგვიფთხენიო<sup>10)</sup> თხანიო;  
 დარბაზს ჩავტყუენეთ ქალები: თამარ, შუქია დანიო,  
 კარი არ დაურახუნოთ, არ შეგვიშინოთ ქაღნაო,  
 თვარ<sup>11)</sup> გატყუეთ მწანე სადილსა, მალ<sup>12)</sup> მოკლენ სვესურთ ყმანიო.  
 ბობივილო<sup>13)</sup> ქედსეკად გადმოდგენენ ტიბანს ძენი ცხრანიო,  
 მკვარეთ<sup>14)</sup> ჩუარეს ისარნი, როგორც ნაკვალბ ცამ ცვარნიო;

1) სოფელია ხევსურეთში.  
 2) ადგილია ხევსურეთში.  
 3) თანა გვყავს.  
 4) ბუერი თოფები გვაქვსო.  
 5) დაუფხიკეთ.  
 6) ჯორის საბაღის ნახევიარი.  
 7) არ გამოგვიპროთ.  
 8) დერეფანი.  
 9) არ დგვიფთხოთ.  
 10) თორემ.  
 11) მალე.  
 12) სოფელია ხევსურეთში.  
 13) მარა, ძლიან.

ინტელექტუალური ...  
 ...  
 ...  
 ...

ტიბგის<sup>14)</sup> ჩაჭურჩეს<sup>15)</sup> ლაშქარნი, გაწითლებიან წყალნიო.  
 ვინ ზისარ ლორღუნასა<sup>16)</sup>, მამამც წაგინწყდეს მკვდარიო;  
 რად შასწყაღე ლაშქარსა სასხვანნი<sup>17)</sup> გზანიო,  
 თორმ კიდეე ჩაწითლებოდნენ ჭკეკით წამდინარ წყალნიო.

ივანიშვილი იოსებოვიძე



დაბძანდი, ბატონ, გიამბობ ჩემსა და ეილნადისასო<sup>18)</sup>.  
 მედ<sup>19)</sup> ეილნად შეეიყარნით სამძღვარსა მუხრანისასო;  
 ზური მთხოვა და კაჭამე; რხეულობს სიმიანდისასო,  
 ღვინო მთხოვა, დავაღვიე, რხეულობს ბადაგიასო,  
 სორცი მთხოვა და კაჭამე, რხეულობს სოსებისასო,  
 მემრე ცოლს გადაემკვიდა, ქალსა გაზარდულს სსვისასო;  
 შამასუდა და ატირდა (ცოლი), ვაიმე ჩემის ქმრისასო,  
 შავსედე — სელი ჩაკლო, შავთა ნაწნავთა თმისასო,  
 დამტრსკებდა, სელი გავიკარ გადასა ფრანგულისასო;  
 ვერ იმან შემომიქნივა, ელვასა ჭკვანდა ცისასო,  
 მერმე მეც შემოუქნიე, რისხვას გამსკავსე ღვთისასო,  
 ცხენი გასტარი მსუდარით, წერი უწიე მიწასო,  
 ჩვენ შინ მიკუდით ცოცხლები, ის იქვე ჭკამდა ქვიშასო.

ლომძე ბიჭნი ზამთარსა ლაშქარსა მამამც  
 ლომძე თამბახვიანი და ლომძე მამამც  
 ლომძე თამბახვიანი მამამც (18) ლომძე მამამც  
 ლომძე თამბახვიანი მამამც (19) ლომძე მამამც

ინოვაციები იოსებოვიძე (1)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (2)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (3)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (4)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (5)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (6)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (7)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (8)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (9)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (10)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (11)  
 ინოვაციები იოსებოვიძე (12)

14) ადგილია ხევსურეთში.  
 15) მიიმწყვდიეს.  
 16) ადგილია.  
 17) ახლ — სოფელია.  
 18) ქისტის სახელი.  
 19) მე და.

...მეტი იქნებოდა, თუ მან იცნებდა, ან უფრო მეტი იქნებოდა, თუ მან იცნებდა...  
...მეტი იქნებოდა, თუ მან იცნებდა, ან უფრო მეტი იქნებოდა, თუ მან იცნებდა...

...მეტი იქნებოდა, თუ მან იცნებდა, ან უფრო მეტი იქნებოდა, თუ მან იცნებდა...

გ მ გ ი ა

...მეტი იქნებოდა, თუ მან იცნებდა, ან უფრო მეტი იქნებოდა, თუ მან იცნებდა...

— არა, ნეტავი ეს მანაც კაცადე, როდემდე გინდა ბატონის კარად უთვინა? კუნდალა იმ სულმწიფის კალთას, რაკი მოწყალეა მობილა და ბატონის მონობისაგან გაგათავისუფლას! კიდევ მისს სახლში რომ იწვი და იდაგვი, რა გინდა? შე კურთხეულის შვილო, თუ მე აღარ გეტრადები, ამ შენს შვილს მანაც მოჰსედე: ცალი სსკასაც მოკვდიან, მაგრამ მეორე შეუერთავს და რასს მოჰსატრახებია; ბატონის შემხერად კი არ დასწიხილან და მასთან კი არ ჩაუკვლიათ სიტყვასა!

— არა, დედა-ჩემო, თუ ღმერთს ჩემთვის სდამებოდა, მყავდა ერთი და რადგან არ იცოცხლას, მეორეს ვერ შევირთავ. ან თქვენთვის რა სანატრელია ჩემი მეორე ცალი, არ ვინი! მადლობა ღმერთს, უშვილო არ ვარ: რაკი ეს ერთი ბიჭი დამჩხა იმ ცხანებულისაგან, ვმანა, ჩემს ქანებს ესეც მოურკვას.

— მე რე ამ ბიჭს მოკვას არ უნდა?

— აჭამეთ და ასვით! — განიშორა ბებრმა: — ეს საჭმელი და სასმელი, მხაც რომ ეწეოს კალათში, მოტანას არ უნდა? მე აღარ შემიძლია, შვილო, ორიოდე ჯადს რომ დაუკრავ, თითო სასათი უნდა ვიკვინოს, ასე მეგონება წელში გადასწვდი-მეთქი. სადაღას უწინდელი ძალ-ღონე, შენი გული მარწამა, ყოველ ჭარ დღეზედ მე წამიყვანდა ქალბატონი სასტუმრო სასწავლებლის გადასვლად, მაგრამ ასე დაგებრდი, შვილო, დაგებრდი და ამ ბიჭს მოსედე, სახლს მოკვანტონ, თორემ არ ივარგებს, დედაშვილობამ. ეს შენი მძებნი

ყველა თავთავისთვის წაჯა და შენ კი ისე დარჩები, ყველას თავისი ცოლ-შვილი ეყოლება მოსაკლელად, თორემ შენ და შენს შვილს კინდა მოგსენდეს...

— რა კქნა, დედა-ჩემო, მე სასლში გაძლება სწორედ არ შემიძლია. ან რა უნდა გავაკეთო სასლში: თონხა იე არ შემიძლია და ბარჯა და ისე რომ მოვიდე, რა მოსელე ვიქნები?

— როგორ თუ რა მოსელე იქნები, შვილო, აბა, კის ამგუნებ ამ შენს ოჯახს? ეს ბებური დედ-მამა, დღეს იქმნება თუ სვად, მოგიკვდება და კინ უნდა მისედოს ამ ობოლ ბოჯშს?

— არ მოკვდებით, ფიქრი ნუ გაქვთ, კადეკ დიდ ხანს იცოცხლებთ!— სიცილით მიუგო გოგიამ.

— მეტი შენი მტერი ნუა, ჩვენ დიდი დედალარ გვქონდეს. — წმობსკრით სთქვა გოგიას დედა.

გოგიას უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და წამდინიე კაცი შემოვიდა.

— ოჰ, გამარჯობა გოგიას! ბიჭო, რადის მოდი, ა? — მიკარდნენ ტოლ-ამხანაგები გოგიას და ასალ-წელიწადის მილოცვით გადაკოცნეს ნახევარის წლის უნახავა ამხანაგო.

— წუხელის მოკედი, ამ საშინელ თოვლის დროს, ძმებო, ეჭვ, რას იზამ კაცი, როცა იცი, მოხუცო დედ-მამა აღდგომის გათენებასკით მოკელის შენს მოსვლას, თორემ ამ თოვლ-ტყეაში საიარული რა სასიამოვნოა, — მიუგო გოგიამ ასლად მოსულ სტუმრებს.

— კაი გიქნა, ძმობამ, ძალთან კაი, — ერთხმად შესძახეს ამხანაგებმა გოგიას: — კაცო, წელიწადში ერთი დღე მოგკავა და ჩვენ კეთილებთან უნდა ვიყოთ, აბა სსვას სახლში რა საიამოვნებს ნახავს კაცი.

— რას ამბობთ, ძმებო, სსვისი კო არა, ჩემი სახლია: ჰურბ ჩემს სელე არის და ღვინო; ამასთან ჩემი ბატონები იმისთან გურჯის არიან, რომ იმით მოშორებს გული როგორ მიზამს.

— ეჭვ ყველაფერი ბედსე ყოფილა დამოკიდებული, — წამოილაზნარჯა აქამდინ ჩემად მკდომმა გოგიას მამამ და სიბუსი აბოლა. — დედ-მამას, შვილსა და ნათესავ-ნატამალებს კი მოგვმოკვდება ჩემი კაჟიშვილი, დე ბატონს კი კერა, ა? არა, შვილო, არ გიყვარვართ და

ის არის, თორემ ბატონი სსკებსაც ჰყოლებია და მოშორებია, და თუ არ მოშორებია, ჟამაგირი აუღია, შესწავით მუქთად გი არ ჩაუკლავს თავი.

— რას ამბობ, მამა-ჩემო, კაცი იმათ სელში გავიზარდე, გებრდები და დღეს ვთხოვრა ჟამაგირი? ან ესეც რომ არ იყო, ეს ერთი შვილი თითონ ბატონის ნათლული მყავს და რა სინდიისი მომცემს ნებას, რომ ჩემს მწყალობელ ბატონსა და ნათლიას ჟამაგირი ვთხოვრა! არა, მე ეგ არ შემიძლია სწორედ.

— შენი ნებაა, შვილო, მაგრამ საბოლოოდ უნდა იბეჭტო რამე.—ნაღვლიანად მიუგო მამამ.

— მამა-ჩემო, რა დროს მაგაზე ლაპარაკია, დღეს ბედნიერი დღეა, ჩვენ გისამოყნოთ და ეს მეზობლებიც გასამოყნოთ; სრამ იცი, სხალ საღამოს ისეკ უნდა წავიდე!

— მართლაც ამბობ, რა დროს მაგაზე ლაპარაკია ამ ბედნიერ დღეს,—სთქვა ერთმა მოსულთაგანმა და მარად წამოხტა, რომ გარებთან მიტეპებოდა გოგონას დედას, რომელიც ბედიდან მოდიოდა და ხონისაზე დაღებულ სსკა-და-სსკა საქმელი მოტეპუნდა.

— აკა შენოსთ ღმერთმა, ბარჯა არ მოგაკლოსო!—დაძისეს უკვლამ ერთხმად და მსიარულად შემოუსდნენ ოთხ-ფეხს დაბალ სუფრას.

II

ჭაიხოსრო უძე კარგად შეძლებული თავიდაშვილი იყო სოფ. ს—ს. მამას თუმიც დიდი შეძლება არ დაეტოვებინა ჭაიხოსროსათვის, მაგრამ სამაგეროდ საშუალო სწავლა მიეღებინებია და მესამოცე წლებში ამგვარად ნასწავლი კაცი, შედარებით, ესწანდელს იურისტზე უფრო გაკლერანი იყო, და ამიტომ კარგი შემოსავალიც ტეპუნდა ჭაიხოსროს. ცოლად ერთის გადაშენებული თავადის ქალი შეირთო ჭაიხოსრომ და ცოლის ნამზითვი ადგილ-მამულიც კარგს შემოსავალს აძლევდა.

თ-დი ჭაიხოსრო ერთს კერძო დაწესებულებაში მსახურება და ღირსეულადც ასრულებდა თავის მოვალეობას. არასოდეს უფ-

როსაინკან სევედერი არ მიუღია და არც ცუდ საქმეში ყოფილა შენიშნულა. ყველა ზატონის გარდა სთელიდა, როგორც ქაინოს-როს, ისე მასს მეუღლეს, კნენა ელისაბედს.

ქაინოსრო სოფლად სცხარებდა, რადგან იმისი ზოფელი მხოლოდ ოთხის კერის მანძლით იყო ქალაქსედ დაშორებული; დიღას გადაკედებდა ცხენსე, წავიდოდა სამსახურში და ჰადილად ისევე სასლში დაბრუნებოდა.

აი, ამ ქაინოსროს საბაზი გასლდათ გოგია მართლამე, რომელმაც ბატონის მოშორება არ ისურვა და თავისი კაჟ-კაცობის ძალ-ღონე ბატონის ოჯახის მოვლა-სამსახურს შეაღია. გოგია იმ დროს ასალ-გახდა ბიჭი იყო, როდესაც გლენკანთა გწთავის-ი-ფულების საათმა დაჭკრა და ყველანი დიდის სასარულით მაეკებენ ამ ბედნიერ საათს, მაგრამ გოგიას, არამც თუ უსარბდა ეს ცვლილება, პირიქით, თავის თან-მომძეებს ეტყოდა სოლმე: მოიცადეთ, ძმებო, ეგრე სე აქარებულიხართ; ვინ იცის, რა მოყვება ამ ცვლილებასაო. მე ღმერთმა ნუ მომიშლას ჩემი მწყალბული ბატონი. სახამდის ცოცხალი ვარ, როგორ მოეშორდება! რას ამბობ, ძმაო, ნეფე სოლომონი ვარ, ნეფე! აბა, იმას რა სუკობია, როცა შეა ჭამასედ ჩემ ბატონს ცხელ ღვასს მივართმევ მოსამატთან და ისიც მამა-შვილურის ალესით მეტყვის: ოჰ, ჩემო გოგია, რა ყოხალი ხარ! აბა, ბიჭო მერიქიფე, ჩემს გოგიას გაუესე დიდი თასი და გადააკურეჩე ჩემს სადღეგრძელოდო. მერიქიფეც რომ ქალბატონის ნამზითვ დიდ თასსე «ქერქეტს» დასასამს სველი დოქიდან, სწორედ შესედა გაძლებს; ადამიანს, თორემ დალკვას სომ სამოთსეა და სამოთსეა!..

— აბა, როგორ მოცილდება ჩემ ბატონს და ჩემ კანსეღელ ოჯახს! თავის-იფალი არ ვარ!!. არა, ერთს კვირასაც არ შემიძლია გაძლება, რომ ჩემი ბატონის შვილები არ განასო, — იტყოდა გოგია და ჩაიკრავდა გულში სელს.

მართლაც არ მოსცილებია და მიქთანდაც კმსახურებოდა მამასავით გამომზრდელ ბატონს გულ-კუთილი საბაზი. როგორც ზემოთ მკუიისენიეთ, გოგიას დედ-მამა მუდამ ესევებოდა, სასლში მოდო, შორე ცოლი შეირთეო, მაგრამ ჰერას გზით ვერ აყურებ-

ნეს გული ბატონის სამსახურზედ. «ის ზარეკელიც იმიტომ შევირთე, რომ უმაწილი ვიყავი, ჩემთან შეზრდილი გოგო იყო და შემიყვარდა, თორემ მეორე ცოლს რა მათეიქრებინებს, ან ბატონს როგორ მოესცილდები: სიემაწილე ამ ოჯახში გამიტარებია და ასლა, როცა ოცდაათს წელიწადს გადაესცდი, საღლა წაგიდგო, — ატყოდა სოღმე ვოგია.

საბაზობას გარდა ოჯახისა და მარნის გასაღებებც მას ებარა. რადგან ბატონები ძლიან ენდობოდნენ და კაი თვალითაც უყურებდნენ, ისე დღესასწაული არ მოეიდოდა, რომ სამე არ ეუწყებინათ გოგასათვის, ერთსელ საუღდგომოდ კერცხლით მოწყვილი სატყეარიც კი ანუქა ბატონმა გოგიას.

გოგიას ბატონს ძლიან უყვარდა თავი-ღვინის სარჯვა. მამული საკმაოდ ჭკუნდა და კაიძალი ღვინოც მოსდიოდა; ამისთანავე ზოგიერთი კენასა ღვინო მართლაც შესანიშნავი რამ იყო. დიწუებად თუ არა ბატონი თავი-ღვინის სარჯვას, გოგია სსკა სკესს იმბარდა: ჩუმად გამოსაღებად ოც-ოც დასუთ ვოგიას ქვევრებს და სამდენსამე თავ-ღვინოს ცაღვე გადაანსავდა, დანარჩენს კა ბატონებს ასარჯვებდა.

— გოგია, აღარა გვაქვს «კრასუნის» ღვინო? — ჭკითსავდა რამდენსამე ხნის შემდეგ ბატონი.

— მჩაუღად გასლავს \*), შენი ჭირბიე! ამდენი ხანი ბკეუო, ბატონო, და ასლა სსკა ღვინო მოგსადოთ.

— კარგი, ჩემო გოგია, შენი ნება იეოს: რამეღელიც გინდა, მოჭსადე, — ეტყოდა გოგიას: ნდობით აღვსილი ბატონი.

უნდა გენასათ ბატონის სისარული, როცა ამ გადახანულ ღვინოს უფრო საჭირო დროს გამოაჩენდა საბაზი.

— სწორედ ჩემს ოჯახად მიღირს ეს გოგია, მავ რომ მოკვრილდეს, ჩვენი თან უნდა წავეუეთ, — ეტყოდა ქაბოსოსო.

გულ-კეთილობასა და ერთგულებასთან იეცხდრ იეო ჩვენი გოგია. უკვლავად უფრო ის განჯავრებდა, როცა უმაწილები ზურის ცხობის დროს მივადოდნენ მსითან.

ინგლისური მემორი

\*) ძველიად ჭკეულობად იქმ, რომ მწიგმსანსურე არასოდეს არ იტყოდა «არ არისო», იმის ნაცვლად მბრეულია არისო — იტყოდნენ.

— რას უტრიალებთ ამ თორჩეს, თქვე კშმაკებო! იცოდეთ, თუ ერთი ღაგაში ჩაუარდა, ყველას გაგწყველებათ. მომცილდით აქედან, თქვე ჭინკებო, თორემ მუგუზაღს გასკრით, ღმერთმანი,— ეტყოდა ბავშვებს გოგია.

— არა, ჩემო გოგია, ჩვენ არაფერს წაგასდნით, ჭკვიანად ვიქნებით, დედამ გვითხრა, გოგია გიძისისთა და იმიტომ წამოგედით. სომ მოგვცემ, რაც ვუტები იქნება, ჩემო გოგია?— გისკისით მისცვივდებოდნენ შატარები ფქვილში ამოგანგლეულ საბაზს.

— მომეცა სიცოცხლე!.. მე კარგად ვიცი, ქალბატონმა გითხრათ, თუ არა აქ მოსკლას!.. სათქვენო კბილი დიდი ხანია მოვიცვალე. არა, ეს ვირთხებიც რომ მე მატყუებდნენ, სეირი არ არის!— სიცილით იტყოდა გოგია, მაგრამ თუ ბავშვები შეტის-შეტად იქმნებოდნენ, მამის კი მართლა წინ იფრენდა ყველას.

— ქალბატონს გეტყვი, ღმერთმანი, თუ ვიდეკ შემოქმედებინათ. ახა გზებუდეთ, მოდით და სასაგო ეს ცომიანი სელი რამდენი მოგაყოლოთ მც ზურგზე!— მიამასებდა გოგია.

— ვერ მოგართვეს! დიალაც მოკალთ და სულ ჩაყრით ღაგაშებს. გასკვი გულზე, გასკვი!— შემოსძახებდნენ გასაწყველებად ემსწვილები და სასლესაკენ მოჭკურცლავდნენ.

— მაცალეთ მე თქვენ, მაცალეთ! კარგი! ეს გოგია არ ვიქნებ, თუ ბატონს თქვენი თავი არ შეუაურავებინე!.. სომ ასე?.. მოიცადეთ!— ეტყოდა სოლმე გოგია და გამობრუნდებოდა სათორჩესაკენ.

მამის სამოსასურდიან მოსკლის დროს, ბავშვები სულ-განახულებდნენ იყენენ, ეშინოდნენ, გოგია მართლა არ დაგვაბეზღოს მამასთანაო და ერთმანეთს შეჭკურებდნენ, როცა საბაზი სადილის ჭადსა და ზურს შემოტანდა.

— ბატონო?..— წამოამასებდა გოგია და გადაჭსედავად ბავშვებს.— ჭოქვა?..— შეეკითხებოდა შატარებს.

— არა, ჩემო გოგია, არა, შეტს აღარ შეგაწყვეტს!— შეეხვეწებოდნენ ემსწვილები.

— რა იყო, გოგია, იქმნაკეს განა?— ჭკითხავდა სოლმე ბატონი.

— არა, ბატონო, ისე... სსკა სსქმეა, — უმასუხებდა გოგია,

ჩემად კი ანიშნებდა ბავშვებს და თავს უჭნევდა, კითხვით თუ მკობრულ განხედვით, მაშინ მუ ვიციოა.

თუმცა უოკულ დღე ასე აწვალბდნენ, მაგრამ უოკულთვის მშვიდობიანად თავდებოდა გოგონას განჯარება.

— არა, ძალიან კი მასკლებენ ეს ბოგუბი, მაგრამ «ძელას თავის საღრზობელა უუვარდა» რომ იტყვიან, სწორედ ისეა ჩემი საქმე: უმჯობედ გაძლება ერთ დღესაც არ შემოიძლია. იციან ამ ეშმაკებმა, რომ მიუვარან და ამიტომაც ასე შემჯდნენ კისერზედ, — გათფიჭრება გოგონა და ჩაიციინება თავისთვის.

მართლაც, მეტად უუვარდათ ბავშვებს გოგონა: რასაც კარგს იშოკინდნენ, სულ იმასთან მიარბენინებდნენ. საშობოდ და საადგომოდ მამასთან პირველი იმათი სათხოვარი ის იყო, რომ გოგონას ასალი ჩოსა უეიდყო.

რამდენადაც საბაზი ოჯახის უფროსებს უუვარდათ, იმდენად მონამოსანურებებსა სძულდათ. ერთსულ საშინელი ოინი უუვარდ შურიო აღესიღმა ამსანაკებმა გოგონას: ბატონმა საადგომოდ თავისი საცვამი, ბუხმენტებით მართული, შავი მუდის ჩოსა აჩუქა და უთხრა: — ამ ჩოსით წადი ადგომას ეკელიაზედ და წირვა ისე მოისმინეო.

მართლაც, ადგომის ღამეს წამოდგა გოგონა, დაიბანა სულ-პირი, გაადო თავისი სკივრი და ამოაღვა: ჩოსა-ასადგუნი, წითელ-ჭობიანი წულები, ბატონისაგანვე ნახუქარი ბოსონი და ქამარ-სანჯალი. დაიწყო ჩაცმა გოგონამ. წითელ მუ-გადაკრულ პატარა საკკისთან მიიტანა ქონის სანთელი და გულ-მოდგინედ ათვლიერება, დეგებები ხომ მირუდედ არ შემოიბნეოაო. მაგრამ იმისთანა თქმის მტერს, როგორც ელდა გოგონას ენა, როდესაც ჩოსაში სელი განჯე და გრძელის ჩოსის მაგიერად მარტო ზეკით-ტანი, სასელო-ბი და უგანა კაღთა შერსა სელში, თურმე ამსანაკებს ეშმაკობით წინა-კაღთები მოეჭრათ ჩოსისათვის და მხოლოდ უგანა კაღთა დე-ტრეებინათ გულ-გასასკეთქად.

— ეს რა ამბავია, ვინ დამღუპა, ვინ დამკლა თავის სულთ? რას შერსოდა ის ოჯახ-დასაქნევი?! — იმსოდა საშინლად გაბრაზებული გოგონა დეკ ოთქო თავისს თკლებს არ უუვარისო, ხსენდა-

მსაჩუქრს დაიხედავდა, ხან მეორეზედ, მაგრამ ჩონის ვაღთები მანის  
არ იყო და არა. — სიკვდილი მიწვევნი ანისთან სიცოცხლეს! ჩონ  
მეჩინდა ის წყეული, რომ შავად გამოიქნა ეს ადგომა? კაცი არ  
ვიქნები, თუ სამაგიერო არ გადავუხადე. ამ სიტუაციათს ერთად წა-  
მოაკლო ქაიბ-ხანსა სულს და გემოვარდა კარში. მაგრამ არ  
იცოდა, სად მიდიოდა ან ვისთან.

გოგისა შემოესმა ბატონის ფენის-ხმა. ქაიბ-ხანს აივანზედ  
დასვირნობდა. უტუბობდა, ისიც ეკლესიასზედ წასვლას ავირნობდა, რად-  
გან ჩანდიული იყო. მხოლოდ იმის უცდიდა, როდის შემოტყუდუნენ  
ადგომის ხანს.

— რა მიგჩქარებთ, გოგია, კერ არ დეურეკიათ, მოიტადე და  
ერთად წავიდეთ. რა შორს არის ჩვენი ეკლესია, რომ კერ მივას-  
წოთ, — გადმოსძას ქაიბ-ხანსა სისვრისაგან გაქანებულს გოგისა.

გოგია მობრუნდა და, თითქო გული ეელში ჰმჩნისთა, ისე-  
თის ხმით შესჩივლა ბატონს:

— რა მეწირებთ, ბატონო, თაყი უნდა მოვიკლავ, ვინც ეს საქ-  
მე შეიკ. შემომხედეთ, რა მიყვეს, როგორ დამღუპეს კაცი, ჩანაი-  
რად დამეგლანაკეს ამ ადგომა ღეს!

— რა დავებართა, გოგია, რა ამბავია? — შემოფოთებით ვკითხს  
ქაიბ-ხანს.

— რაღა რა ამბავია, შენი ტირილე, მე აქ მოცდა არ შემოძლია,  
სწორედ აღარ შემოძლია: წავალ, ციმბირში წავალ და აქ ვი არ და-  
ვებო, — იძახდა გოგია და ამ დაპირებით კიდევ ამოტანა კიბეზე.

წინს ოთასის ფანჯარაზე სანთელი იდგა და აივანი განათებუ-  
ლი იყო, რისკამერ გოგისა: მართულობა და ადულტების მიზეზი  
ქაიბ-ხანსათვის ცხადად გამოჩნდა. მართლაც სსსსსსსს სსსსსსსს  
იყო გოგია: წითელ მიწინოჩის სხაღუსე, თითქო ფრავი ატვარა  
ისე ჭქონდა ჩონის უკანა-კაღთა ჩაკოწინაღებულა ვკერდებოვნდა წიფ-  
ვი არს ეფარა-რა.

— აჰა, ბატონო, სომე ვხედავთ, რა მიყვეს, რას დამიმეწავს  
თქვენი ნაბობები ჩონს? რას ვკეკავ, შემომხედეთ: მამალს რომ ვუღს  
მოაკლევინ, იმას ვკეკავ, შენი რისხვა სე მომეცემა. შემოტყუენის-  
მაგრამ ბიჭი არ ვიქნები, თუ ეს ადგომა არ დაგამწარე ამ საქმის.

ჩამდენისა—გაიძისადაც გოგია და წაღმარეულმა ტრიალებდა ტლის-  
კიან ჟორივით.

ქაისოსრო ძალიან ცდილობდა მონაწილეობა მიეღო და თან-  
გრძობით ენუგეშებინა გოგია, მაგრამ მისმა სასასაობამ განზრახვა  
გაუძრუვს და გულისანად სარსარი მორთო.

მოელს სასლობას ეღვიძა. აღდგომის მოლოდინით გასარებუ-  
ლი ბავშვები პრანჯის-ამარა წამომკვდარეუგენს ლოგისში. თუმცა ე-  
და ბუგის ესეუბნებდა დაიძინეთ და თავის დროზედ მე თვითონ  
გაგაღვიძებთო, მაგრამ ბავშვები თავისას მანც არ იშლიდნენ; სან-  
და-სან ვიდრე წამოსტებოდნენ ლოგინდან.

— დაიძინეთ, თქვე ეშმაკებო! აგრე რომ უნტრულებთ მაგ ლო-  
გისში, რა გინდათ? — შეუტატანა ელისაბედას შვილებს. — სომ იცით,  
სანამ მღვდელი სუფრას არ აკურთხებს, მანამდე სული რომ ამოგო-  
ვიდეთ, მანც კბილს არაფერზედ დაგადგმეკანებო. ჟერ მღვდლის  
მოხუცა შორს არას, წირვისაც არ დაურეკანათ. დაიძინეთ, ქქარა,  
სანამში გაეკეიეთ, თორემ, ცხონდა მამა-ჩემი, მე თქვენ ისე გაგ-  
წკებლათ, რომ აღდგომს გი არა, ამალლებაც დაგავიწყათ!

— არ გვეძინება, ბატონო, და ძალად როგორ დავიძინებთ, —  
შემოსძისეს პატარებმა დედას.

— მე კიცი რისი უძალობა გჭირთ თქვენა, მაგრამ იცოდეთ,  
თუ არ დაიძინებთ, შუა-დღე რომ წამოვიდეს, ლუკმის არაფერს  
გაღვიძებთ.

— სისიი არ კიცი და მე კი, რაც დაწვექი, მას აქეთ სულ  
მძინავს, ჩემო დედა, — წამოიძისა პატარა გოწიამ და თვალბ-დასუ-  
ტული ხერხივას მოჭკვა, თითქო მართლს სძინავსო, მაგრამ ცალფ  
თვალთ ოდნავ გაუღო და დედას მისხერებოდა. ელისაბედი ხელში  
სანთლით გოგოს დასდგომოდა და სვიკრიდან სუფრას-სელსასო-  
ცებს ალაგებინებდა.

— ისე ღმერთი შენ გიშველის, რაც შენ ახლა გეძინოს, — მი-  
უგბა დედამ შვილსა და სიცილით მეორე ოთახში გავიდა.

სასტუმრო დარბაზში თავით-ბოლომდე სუფრას იყო გაშლილი,  
რომელზედაც კურცლის აზარეულს და თასები ჩამწკრივებულნი იყო. მი-  
სამსახურები დიდს ფარც-ფერში იყვნენ. მღვდელი პირველად ყოველ-

თვის ქაინოსროს უკურთხებდა სუფიანს და თავისის კრებულთ აქვე გაისწილებდა. ამიტომ მოსამსახურებდნენ ყოველთავის უჩქაროდნენ, რომ დროსად მოეღიათ თავინთი საქმე, სუფიან მხად დაეტოვებინათ, და წირვანე წასუფიანენ. ელისაბედი ხან ერთს ოთახში გადიოდა, ხან მეორეში და ყოველი სარკხანო საქმე რიგზე მოჰყავდა. სასტუმრო დაბანა სწორედ აივანის ნაპირას იყო და, როცა ელისაბედი აქ შევიდა, უეცრად ქაინოსროს ხანხარი მოესმა. გაკვირვებული ელისაბედი საჩქაროდ აივანსად გავიდა, რომ ქმრის სიცილის მიზეზი შეეტყუა..

— რას იცინი, ბატონო, — თავანხანად ჰკითხა ელისაბედმა ქმარს და მოულოდნელად მოჰქარა თავლი გოგონს, რომელიც კიბიდან ამოსვალ სვეტთან იდგა თავლებ-გადმოკაქლეული, ბრწინან ძაღლივით ჰქოლავდა და ქაინოსროს შეჭყურებდა, თითქო განახენს მოელის იმისგანაო.

— უი, ღმერთო მომკალი, ეს რა დაგმართინა, გოგია, — მამას ელისაბედმა საბანს და სანთელი უფრო ახლოს მიანათა, თითქო თავისს თავს არ უყურებსო. მაგრამ, როცა მიუახლოვდა, თავი კვლავ შეიკავა და თვითონაც გულისანად გადასახანა.

— რაღა რა დამართვია, შე დალოცვილო, ვერ მიუწერებთ თუ? რა გაცინებსო, თქვე რურთხეულებო, მე კვადები ცარი და კიდევ გულზედ მსეთქავთ ნუგეშის მაგიერად?... თუ ჩემი შეწუხება ესე გაიმებოდათ, სწორედ არ მეგონა, — სთქვა გოგონამ და ცრემლები მოკრია.

გოგონას სიტყვამ ისე შეაწუხა ელისაბედი, რომ მართლად უსამართლობად მკაცრად თავისი სიცილი და სინანულითა და დაჟვანებით უთხრა გოგონას:

— როგორ გამიხარდება შენი ასეთი შეწუხება, ჩემო გოგია, მაგრამ ერთი ჩოხა რა დიდ რამეა. მაგის მომცემი კიდევ ბევრს მაგისთანას გიწყალბებს, ნუ გეშინია.

ეს სიტყვა თითქმის არ დაესრულებინა ელისაბედს, რომ ქაინოსრომ თუშინანი ქალაღდი ამოიღო და გოგონას მისცა. ამას განა და ჩოხის ყიდავასაც შეჰმირდა.

გოგონა ასე ტკბილად და შეუძლოთებლად ატარებდა თავის სიცილს და ბატონის რკინის მიხანავები თუ რასმეს აწყენებდნენ.

სამაგიეროდ გულ-კეთილი ბატონი მოეყურებოდა, სსჩუქარს უწყალობებდა და მით დაამშვიდებდა თვისს ოჯახს ერთგულსა და დაუღალავად მოღვაწე საბაზს.

საღამოს ბინდა იყო მოტანებული, რაღა გოგია, საშინლად სასუ-გაფითრებული, ცხენს მიათმასრებდა ორდობეშა. ის ისე მიიჩქაროდა, რომ საღამიც არ მიუტანა თავის სოფელელ გლეხებისათვის.

— საით მიიჩქარებო, გოგია, რა ამბავი, ერთ ხმად ჰკითხეს მისობელმა გლეხებმა.

— ლეკრზე მივდივარ, ლეკრზე: ვატარებ კაწია გაგებისა ავად და იმასთვის გვიანდა.

— რა დამართა, კაცო, სალევრო, მოივლე, გკითხარნი.

— არა მცალას, მქიჩარება, — შემოსძასა გოგიამ ისე ჩქარა, რომ ამ სატყვის დასრულებამდის ორდობის მოსასპეკში მიატანა კიდეც და უკან არ მოუხედნია, ისე გაუდგა გზას.

— ნეტავი რა დამართა იმ ბოკში! ახლს ვინ იცის, ლეკრი რას იხამს. ის დალოცვილები რეგორც კი ისწავლიან და გაინიონიკდებიან, სკენსას აღსას ჰკადრულობენ. თვეითონ მაც უბედურ გოგიას რა საქმე დაჰმართა ლეკრმა: სატყე ფიცი შემძლია, საწყალი ტურთვა ახლაც ცოცხალი იქმნებოდა, რომ ლეკრის წამალი არ დაეღია. ძეობასკედ მშვიდობით გადაჩხა, ხანატყით ბიჭი ეყოლა და რაღა ერთი კვირის მერე მოუვიდა ის რაღაც კშმაკი ანთებას, თუ წაინდაბას, — უთხრა ერთმა უფრო ახალ-გაზდა გლეხმა მეორეს, ჯალარა თანა-მგზავრს.

— ანთება კი არა, საკირე არ გინდა! რის ანთება, რის ხეწეება, ის კი არა, კერ მოუვარეს და იმან მოჰკლას!

— არა, მაგას ნუ იტყვი, ძლიან მოუვარეს თურმე- ის კი არა, სოფრომს გაკვირებული იყო: სუფთაგვარ დღეს ჩაის ასმევდნენ და თეთრ ვურს ატყვედნენ თურმე.

— ეგ ვი მართალია, მაგრამ მელოგინეს მარტო თუთონი უნდა და ჩაბ ვა არ უყოფა, ჩემო ოქრუა, სულ სსწყანა სსწყინო, სსწყანა.

— რა ვიცო, ჩემ დედა-კაცს ციკო ლომობის ქეტი არაფერია ჭლირსებია, მაგრამ კანჭიკით ადგა ლოგინიდან და იმ საწყელ გოგონას ცოლს ნახუქებმა აწეინა?— სიცილით სთქვა ოქრუამ.

— სახუქებმა ვი არ მოკვლა, ჩემო ბიძია, — დაწყინარებულის კილოთხ წამოიწყო მოხუცმა გიგოლამ, — მარტო რომ მიატოვებენ მელოგინეს, მოკლანდება ის შესვენებული ალი და მტოვი ჩრ უნდა: სიცხე-თავკარბას მისცემს და სულს ამოახდენს. აბა, როგორ გგონიათ: უწინ ჩვენს დროში მელოგინე ქალს თითო დამიანი ვერ მოსცილდებოდა; ამას გარდა, სასტრუქადს ედო სასროლი ბადე, წაღდი ან სხვა რამ რკინეული. ესლა ეს აღარ იციან, გავნათლდით, აღარ გვინდათაი ჩვენს ბრალი! არა, ეს მიგვირს: იმ დიდ კატრას, თუ გინდა, ვეკლავფერი შეჭმევის, მაგრამ ჩვენ ვინ ვართ, ვის დაგვამგვიკართ, რომ დიდ-კაცებს წაგბამოთ. ახლა კიდე: ივანეკა მელაქემ რომ თვითონ ამ გოგონას ბატონს შეილი მოახათელა და მისი გბბენმილი ცოლი ხარინჯის ადუბს აღარა ჭკადრ-ულაბს, რაო, რა მჭკიანო?

— აბა, ღმერთმა ვეკლავფერი კარგი მოგატონოს, ახლა გამსსენდა მაგ შენს სიტყვებზე: კაცო, გუშინაწინ მოსულიყო ჩემ დედა-კაცთან ივანეკას ცოლი და რა არ ეტრახაშებია, ვინ იცის: ჩემი ქმრის ტოლი ვან არის, ან შეძლებით და ან ცოლ-შვილის პატივის-ცემითაო. საღამოს დაღალული ვატი უსიდან დაგბრუნდი და მეგონა ჩემი დედა-კაცი მისულისათანავე ვანშამს მსტეკის-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკადე: ჩემი ვანშმის უკური ვისა აქვს! თურმე სუ იტყვი, იმ შესვენებულ დედა-კაცს არ გადაურეკია! შე სელს არაფერზე მავადებინებს ჩემი ქმარი და თქვენ ვი ზურგზეა ტყავი გაჭვთ გადნელილი შეშისა და წყალის მხიდვით და მე როგორ მეტოლებითო. ეკითხე: ქალა, რათ ვანშამი არ მოგატეს-მეთქი? შენ გეგანშებ და შე ვი გულსედ ცუცხლა მედებო, მიპასუხა: ყოველს ქალს პატივს სცემს თავისი ქმარი და მე მიუდამ გაუნარელან ვარო. ივანეკას ცოლია ბედნიერთ, ქუდ-ბედი სწორედ იმას დაჭყოლია-რომ ივანეკას ცოლობის ღირსა შექნებო, მათონა და ცრემლები მოუწია. მე გავეკირდი, არ ვიცოდი, რა დაემართა ჩემს დედა-კაცს, მაგ

გრამ მერე გამოვიკითხე და გავიგე, რა შიშისაღწევა იყო, ვიქცა, ბიძა ჩემო. ასლან ჩვენი ქალებიც გასუქდებიან იმ დედა-კაცივით და დაივიწყებენ, ახა რა სიკეთე დაგვიტოვებს.

— ჩემი დედა-კაცი დადაბურია და ვიცი ღღარ ასერსებებს, მაგრამ ნეტავი არ მინდა, ჩემმა რძალმა მავისთანა დაძვედოს! წავიწუდე, თუ წელი არ მოვწევიტო ტემით, — ძველად წარმოსთქვა კიკოლამ.

— ეჭვად დედა-კაცი თუ დემოტი გავწეო, გინდ სრულ და გინდ არა, არც ერთს არ შეეპოვება, — ამოცხრით სთქვა ოქრუამ და ისე ივანოვას ამბავი დაწყო.

— არა, ეს ივანივა რას აფეთებს, რომ ყოველ დღე ქანოს-როსას დაძვება? რა მასი საქმეა ყოველ დღე იქ სიარულა? რომ ივანოვას და შეილი მოუწათლა, ამიტომ მისი ტოლი სომ არ არის, ყოველ დღე მიდის და გვერდში ატოვებს იმ დიდ ყვანის შვილს? გამოტყვევებს თავ-საფარში რა ცალ ქლიავს, ან თხილს და ქანოსროსას მიანბენებებს, ვითომ ასე უნდა ასლანთიასო.

— ეჭვად შენი მამა ცხონდა, ჩემო ოქრუამ, ვერ შენ ვიდექ ასლან-გაყვას ხარ და ქვეყნის ამბავი ჩემსავით არ იცი. იმ ერთ თავ-საფარ ხილს რომ მიუტანს, სამაგიეროდ რა იმდენს წამოიღებს. მე ჩემის თვალთ მინახავს, რომ გოგონას გამოცხვარი ღვაჭები, როგორც უნდოდათ, ისე ბეჭობს ქანდათ ივანივას შეილება. სიდავს? რასაკვირველია იქიდან, რომ წასუფრავს კარგ ღამასად გამოსრეს და წამოიღებს. ისეთი არ გასლავს ჩვენი ივანივა, რომ სიდავსად რა იმდენს არ გამოუღოს, იქ რამე მიიტანოს. გოგონაც არ გაივლინ უსარგებლო ადამანთან, თორემ ძველს მიუტანს?!

— ეგ სწორად მართალია, — მიუგო ოქრუამ: მას წინადა გოგონა ძალიან სწულდა, შემომივლდა, ივანივა ისე შემოვივია ჩემი ბატონის ოჯახს, რომ, თუ რატომღაც არ მოკვდებოდა, მთელს ოჯახს გაგვიანებებდა, ისე ურცხვად ჩაილაგებს თურმე ყველაფერს და მიაქვს, თითქმის მისის შრომით მხაწეული აქოს. მის გარდა, ბატონს ესვერებს, შენა ყმების საქმე მე მომხდებოდა, ნადელს მე ავერებოდა. ძალიან სწულდა სწულდა გოგონა: თუ ივანივამ ჩემი ბატონის გულსები სამოურავოდ სეჭოთ იგდო, მერე იმათი საშველი ღარ იქ

ნებაო. ეგ ღვთისგან წვეული დაუნდობელია და სულს ამოასდენს. საწყალ გლეხებსაო, მაგრამ იმედი მაქვს ჩემი ბატონი თავის ერთგულ გლეხებს ივანივას ხელთ არ ჩააგდებს.

— ჭოო! ესლხ კი მივხვდი, რისთვის დაძუნძულდობს ივანივა ბატონისას ასე ჩქარაჩქარა!... სეირი არ იქნება, ეგ ცრუ მატრახანია მართლაც თავზე დაგაკაფდეს! აბა, მაშინ უუურუ იმის ფოცხეკრა ცოლს, აი! — ყუენის თავის მსემ, მე ვარ თორემ სსკა ვინააო! — დაიძახებს.

— ღმერთმა ნუ ინებოს, ბიძა-ჩემო, თორემ წელში გაგაწვეოტავს ეგ ოჯახ-დასაქტევი, გაგვანადგურებს. არა, იმ დალოცვილ ჩვენს ბატონს რა მაგისი მოურაობა ეჭირება! ღმერთმა სომ იცის, მარცხალი რაა, მარცხელსაც არ წავილებ მეტს. რად მინდა ბატონის ნაწილიდან მოპარული, ჩემი ალალი მომასმაროს ღმერთმა და სხვი-სიყ — უფაღმა სომ იცის, — არა მინდა-რა.

— ბიჭო, რომ ჭფიცავე, განა არ ვიცი, შვილო, სისვისი არა ვინდა-რა? მაგრამ, იმას სომ არ ეტყვის ივანივა, შენი არა უნდათ-რაო? გვარკენ შენი ყმები და ჩემს ხელში კვლავ გაჭბუდავენო. თავის საჩქეს კი გაინარსავს და შენ მართალი ხარ, თუ მტყუანი, რას დაგეძებს.

— არ დამეძებს რომელია?.. სიმართლე თავისას არ დაჭკარ-გავს. ბატონს რომ იმდენი ბეგარა მიუვა, რამდენსაც წინად კუხრ-დაკლით, მაშინ სომ გამოჩნდება ჩვენი სიმართლე?

— არ დაიუბნე ეს სიმართლე და სიმართლე!.. ივანივას ძელიან გაუჭირდება, რაც უნდა მართალი იყვე, მტყუანად გამოგვიყვანოს! ყველაფერს მოასერსებს მაგისთანა ადამიანი, — გაჯავრებით უპასუხსა კიგოლამ და განზე გადუსვია.

— მე რე რისთვის ენდობება, რომ ყველა მტყუანი ვიქნეთ?

— იმისთვის, რომ ბატონის ნდობა მე რე უფრო ექნება და რაკი ჭაისროსო ივანივას სიმართლეზე დარწმუნდება, მე რე ცხად-დაც რომ დანახოს, სსკა მართალია და მისი მოურავი მტყუანი, მაინც არ დაიუბნებს. ამით ივანივა მთელს სოფელს ტყავს გაძირვის, რასაც მოასურებს იმას ივანის და მგონია ეს კარგად მოუხდება მის ღარბ ოჯახს. ასე გახლავთ ეს საჩქე.

— მართლაც, მაგრამ ბატონი ქაიხოსრო ძალის კეთილი ვა-  
ცია, და არა მგონია, მართლაც მაგ მეღვინე სულში ჩაგვეყაროს. რა  
ვიცი... ამოახვიოთ სთქვა რქრუამ.

— კეთილი ვატი ვა, მაგრამ ესღა გამოუჩინდება კარგი კარ-  
ბა, თუ ჩვენს სიკეთესაც დაინახავს და მაგ ბოროტს არ გაგვიბა-  
ტონებს. ივანეკამ მთელი სოფელი აწეწ-დაწეწა, ქურდობის  
მაგას არ რისხვენია. ვატი რომ ეგლეხისაში სატის-წინ შეწი-  
რულ ფულს მოიპარავს, ის რა ვატი და რა ჰირით უნდა დღეო-  
დეს საღვინეში! მაგრამ არაფრისა არ რისხვენია და არც ეშინია, რა  
ვი ერთსეულე გაწეწვდა შუბლის აპკი! ათას ადგილს გაესვია ცუდს  
საქმეში, მაგრამ ეგლეხს გაგლეხა ბაღე და თავი გამოიძვინა. ას-  
ღა ამით წათამებულა, რასაკვირველია, არაფერს დაერიდება და დი-  
დი ვატის მოურავას სინარულით წაეპოტინება, თუ სული მიუ-  
წვდა.

— მეტი არაა შენი მტერი, გოგამ იმის დიდი სხის ბოროტი  
არ მასტეს იქ! თუ იმ წუნკალმა ჩემი ბატონისა იარა, — გოგამ  
თქვა — არ ვიცი, რას ვუწამო. იმის ვაი ვაგლობას კრიანოსანივით  
ჩაუთვლი სულში ჩემს ბატონს და მერე მობრძანდეს თავისის წი-  
თელ თავ-საფართ და მოუტანოს სასუქრები. მაგის ამბავი რომ ჩემს  
გაუ-ბატონს დაწერილებით გაგებო, ჩვენსა ფესს ვერ დაადგამს:  
ჩემ ბატონებს მაგისთანა საქმის მომჭმედი ვაგები არ უყვარსთა, ასე  
ბლაპარაკა გოგამ, — იმედიანად სთქვა რქრუამ.

— ღმერთმა იხუბოს, მაგრამ ვაი თუ თვითონ გოგისაც კრ-  
ფერი სიკეთე დაჭმართოს ივანეკამ. ის რომ შეუტყუოს, გოგისა სე  
კრულვარო, თავს გადადებს და მაინც მოუსეკებს რასმე.

— ჭაი დედას! შენ ვიდეკ არ იცი ივანეკას ამბავი: ის ვატი  
ვი არა, წყეუღა, შეჩვენებული, სატანა...

— გოგისა რას დააკლებს, ბიძა-ჩემო: მთელად ქაიხოსროს  
რუასი გოგისა და მთავრებული და ბატონები ისე ენდობნენ თურ-  
მე, როგორც შეიღეს; ან როგორ არ უნდა ენდონ, ვატი რატი წელი-  
წაღია მაგათთან არის.

— მაგას ნუ იტყვი, შეიღო: რატი ვი არა, ორმოცი წელიწად  
რომ ემსახურა ვისმე, თუ უშმაკი შეუწდა, შენს ნამსახურს წაღაში

საგიჟრის. მართლ-მსაჯულთ მხალად ერთი ღმერთია, სსკა აზ-  
ვის. სომ გაგაგონის «ასალი ცოცხი კარგად ჰტევისო», ასუა ჩვენი  
ჩი და არა სხვა ვინმეო. მაგრამ ხორტიცა სულ დაცარიელე-  
ბული იყო, რამაც ძალიან გააკვირვა დესპანი; გროძიკისაგა-  
ნა ჰქონდა გაგონილი, რომ აქ მუდამ ყახახთა რაზმი სდგას  
ხოლმეო. მან სქმეტუსკი წავაღა კიდევ რამდენისამე კაცით  
იქპურობის დასახვედრიჭრებლად, მაგრამ მთელის კუნძულის მი-  
მოვლა ძნელი იყო და ამიტომ უკანვე დაბრუნდა, საცა ნა-  
ვები ნაპირას გამოეთრიათ; მით უმეტეს ჭრამ დამტვობდა და  
ღამე ბნელი და ცივი სჩანდა, იმავე ამხოდ — ეი იტომ —

ღამის უმეტესმა ნაწილმა მშვიდობით წაიარა. იჯარის-კა-  
ცებმა და მენავებმა ცეცხლა-პირას დაიძინეს; არ ეძინათ მხო-  
ლოდ დარაჯებსა და თვით დესპანს, ტომეოსაც უძილობა კა-  
შინლოდ აწუხებდა, ჯერ ისევ კულაკგდანვე დაწყებული. საზო-  
გადოდ ძალიან აეს გუნებაზედ იყო და ცუდადა ჰგრძნობდა თავს  
ხან და ხან მოეჩვენებოდა ხოლმე, რომ ვითომ ვილაკას ფეხის  
ხმა მესმისო, ან ვილაკ კაცების ხმაურობაო, მაგრამ ყოველ-  
სავე ამას ყურთა სმენის ცდუნებას აწერდა.

უცებ, ზედ ვანთიადის წინად, მის წინაშე აიყუდა ვილაკ  
კაცის ლაქტი. ეს კაცი ერთი დარაჯშაგანი იყო.

— ბატონო დესპანო, მოდიანტე — სჩქაროდ წარმოუსთქვა  
მან.

— ვინა?  
— ალბად, შევერძინი არიან, რომოცმდე კაცი იქნება.

— კარგი. ბევრნი არა ყოფილან. დაადვიქეთ ხალხი!  
ცეცხლს შეშა მიუმატებ. ჯარის-კაცნი უცბად წამოიშალენ.  
ცეცხლი სწრაზად აინთო და განსათა ნავებიცა და დესპანის

ერთი მუქა ხალხიცა. დანარჩენნი ღარაჯნიც ჰგროვდებოდნენ თავ-მესაფარებელ ადგილსა.

— ამ დროს მომავალ ხალხის ფეხის ხმა უფრო და უფრო ცხადად ისმოდა. აი გაჩერდნენ ისინი პატარა მოშორებით და ვიღამაც იკითხა, ცოტა არ იყოს, მუქარის კილოთი:

— ვინ არის აქ, წყლის ნაპირად?

— თქვენ ვინ-ღა ხართ?— შეუბრუნა სიტყვა ვაზმისტრმა.

— მიპასუხე, მტრის ნასხლეტო, თორემ თოფითა გკითხვავ, ვინცა ხარ!

— ელჩი, გამოგზავნილი თავად ერემია ვისნევეცკისაგან. კაშევიო ატამანთან, — ხმა-მალლა და მკაფიოდ წარმოხატვა ვაზმისტრმა.

ის ხალხი ჩაჩუმდა; სჩანდა, თათბირობდნენ.

— მოდი აქ! — დაიძახა ვაზმისტრმა. ნუ გეშინიან. ელჩებს ხელს არავინ ახლებს და არც ელჩნი ახლებენ ხელს.

სიბნელიდან გამომართოვდა და მოახლოვდა რამდენიმე კაცი. შავგვრემანს სახეზედ, დაბალ ტანადობასა და ელამ თვლებზედ დესპანმა მაშინვე იცნო, რომ თათრები იყვნენ; ყაზახნი სულ ორიოდ-სამიოდე კაცი იყო.

პან სქემეტუსკის ელვასაჲთ გაურბინა თავში იმ აზრმა, რომ თუ თათრები უკვე ხორტიცში არიან, მაშ სჩანს ხმელნიცკი დაბრუნებულა ყირიმიდანაო.

ბრბოს ჰმეთაურობდა უზარ-მაზარის ტანის იმიერ ქორომელი, რომელსაც საშინელი და სისხლის-მსმელის კაცის სახე ჰქონდა. პირველი ის მივიდა ცეცხლთან:

— აბა რომელია აქ ელჩი?

იმიერ-ქორომელს არაყის სუნი ამოსდოდა პირიდან, ცხადად სჩანდა, რომ მთერალი იყო.

— ვინ არის აქ ელჩი? — გაიმეორა მან.

— მე ვარ, უამაყადა სიტყვა პან სქემეტუსკიმ.

— შენა?

— პატარა თავაზიანად ილაპარაკე, სუღლო, — გაუსწორა სიტყვა ვახმისტრმა. — სიტყვი: წარჩინებული ბატონი ელჩიტქო!

— დაიკარგენით თქვენცა და თქვენი წარჩინებულობაცა! რაში გინდათ ატამანი?

— ეგ შენა სიტყვე არ არის! იცოდე მხოლოდ, რომ თავი აღარ შეგრჩება მხრებზედ, თუ საჩქაროდ ეტამანთან არ მიგვაცილებ.

ამ დროს ბრბოდან გამომართოვდა მეორე იმიერ-ქორაზო მელი.

— ჩვენ ატამანის ნებითა ვართ აქა, — სიტყვა მან, — თვალყური გვიჭირავს, რომ ლიხთავანი არაფერ მოუახლოვდეს აქა-ურობას და, თუ მოუახლოვდა ვინმე, უნდა შევეკრათ და წარვუდგინათ. ჩვენც ასე ვიზამთ.

— ვინც ნება-ყოფილობით შიდის, იმას რაღა შეეკრა უნდა?

— შეეკრავ; ასეც ბრძანება.

— იცი, მერე, შაჰ-ვორა არის ელჩი იცო, ვისი წარმომადგენელია?

— წავათრევთ ელჩსა და მერე როგორ, სულ წვერის გლეჯით — ასე აი! — შეჭრილა ხნიერმა ახმახმა.

სიტყვა ესა და ხელი გაიწოდა ღესპანის წვერისაკენ, მაგრამ იმ წუთსავე დაიკვნესა და, როგორც მებ-დაცემულს, ისე გახდა მიწაზედ ბრახვანი.

ღესპანმა თავი ზედ შუაზედ გაუპოა.

— დაჰკათ, დაჰკათ! — დაიგრილა მთელმა ბრბომ.

თავადის ჯარის კაცნი მიეშველნენ თვისს წინამძღვანს; ყვირილი: „დაჰკა, დაჰკაო“ შეუერთდა რკინის ჯახა-ჯუხს; გაცხარდა ბრძოლა. ცუცხლმ ფეხით გასთელეს და გააქრეს; სიბნელემ მოიკცა მელამანი. მალე ამბრძოლნი ესე მიეტყვნენ:

ერთმანეთს, რომ დაუნა-ხმლების მაგიერ ფეხითა, ხელებითა და კბილებით ჰმორქმებოდნენ.

უცბად კუნძულის სიღრმიდან მოისმა სხვა ყვირილი და ყვირნი; ეს იმისი ნიშანი იყო, რომ იმიერ-ქორუმელთა საშველად ახლა სხვანი მოდიოდნენ.

ერთი წუთიცა და შველა დაგვიანებული-ლა იქნებოდა, ისე ყოჩაღად იბრძოდნენ თავადის ჯარის კაცნი.

— ჩასხედია ნავეებში! — გრგვინვასავით დაიჭექა დესპანებმა.

მაგრამ ვაი რომ ნავეები ღრმად ჩაჭედილიყო ქვიშაში და ძნელი-ლა გახდა მათი ჩაშვება წყალში: მტერი კი სულ ახლო და ახლო მოდიოდა.

— დასცალეთ თოფები! — უბრძანა პან სქუმეტუსკიმ.

დაიგრიალეს ჯაზიერებმა და უცბად გააოგნეს ზედ-მო-სეულნი. თოფების გრიალზედ აირივნენ და უწყეს-ურიგოდ დაიჭრეს უკან. რამდენიმე კაცი იქვფდაცეა გაგულდული.

ამ დროს მენავენი ყოველის ღუნისძიებმა სცდილობდნენ თავისას, მაგრამ ნავეებს პირჯვარი ვერ დააწერინეს და წყალმდე ვერ მიიტანეს.

მტერმა კვლავ მოიტანა იერიში, თუმცა კი შორიდან. თოფის სროლის ხმა შეერია ნსართა ზუზუნსა და დაჭრილ დაკოდილთა კენესასა.

თათრები ჰყვიროდნენ „ალოაჰ!“-ო და საომრად იფიცებოდნენ გულს, ხოლო იმათ ბანს აძლევდნენ დამშვიდებულნი ხმა პან სქუმეტუსკისა, რომელიც უფრო და უფრო ხშირ-ხშირად აძლევდა ბრძანებას.

— აგ თოფი მგაბაო! — თოფები „ოცნათ“ აღწდა იურიბიგის განჯიადის პირველმა სხივმა გაანათა ადგილი ბრძოლისა მშველეთა მხრივ სჩანდა ბრბო თათრებისა და ყაზახებისა, მდებ

ნარის მხრივ—ორი ნავი, საიდანაც ხან-დახმით იგრილებდა ხოლმე თოფები. შუაგულას ეყარნენ გემნი დახოცილთა.

ერთ-ერთს ნავში იდგა პან სქშეტუსკი ამოწვდილნის და მნით ხელში და უქუდღა: თაფრის ისარს მოეგლიჯნა. მისის თავიდან ქუდი.

— ბატონო დესპანო, ვერ გავუმაგრდებით; ისინი ჩვენზედ ბევრნი არიან! უჩუჩუღა ვახმისტრმა.

ხოლო დესპანი მხოლოდ ერთის აზრით იყო ახლა ჩან-თქმული: არ გამიწყრეს ღმერთი და არ შეველახო ჩემი ღირსებაო და, თუ სიკვდილი მიწერია, მოვკვდე არა-ნაძრახის სიკვდილითაო. ჯარის-კაცებმა ააყუდეს ტომრები, რომელშიც სასმელ-საქმელი იყო, და საფრებივით გაიკეთეს; იქიდან აძლევდნენ ზარალს მტერსა; მარტო ის იდგა გამოქიმული და არაფერი არა მფარავდა ტყვიისაგან.

— კარგი! დავიხოცნეთ ყველანი უქანასკნელ კაცამღწე

— დავიხოცნეთ, ბატონო!— შესძახეს ჯარის კაცებმა.

— დასცალგეთ თოფები!

ნავებს კვლავ ბოლი შემოეხვია. კუნძულის შუა-გულ ადგილებიდან ნელ-ნელა მოდიოდნენ ახლა კიდევ სხვანი, შეიარაღებულნი შუბლებით და ცელებით. ზედ-მოსეულნი ორ დახად განიყენენ: ერთი თოფებს ისროდა, ხოლო მეორე, ესე ორასამდე ყაზახობა და თათრობა, ელოდა მარჯვე დროს, რომ ხელ-ჩართული ბრძოლა დაეწყო. ამ დროსვე, კუნძულის ყუ-რეებიდან წამოვიდა ოთხი ნავი, რომელიც აქედ-იქიდან უნდა შემორტყმოდა დესპანს.

ძალზედ გათენდა. მხოლოდ თოფი-წაშლის ბოლი ტრიალებდა დამწვდილულს პანოში და ამიტომ კარგად არა სჩანდა ადგილი ბრძოლისა.

დესპანმა უბრძანა ოცს ჯარის-კაცს, მიჰმართეთ გერიშით მფსულს ნავებსაო. თათრებისკენ თოფების სროლამ ეკლო.

ისინიც ამას ელოდნენ.

ვახმისტრი კვლავ მიუახლოვდა დესპანს.

— ბატონო დესპანო, თათრები ხანჯლებს პირში იღებენ; ახლავე დაგვეცემიან ფავს.

სამასი კაცი, ხმალ-ამოღებული, ხანჯლებით პირში, ემზადებოდნენ ხელ-ჩართულ იერიშისათვის. იმათვე ეშველებოდნენ რამდენიმე ცელით-შეიარაღებულნი იომიერ-ქორაუმეონი.

იერიში უნდა მიეტანათ ყოველ შრივ. ნავები უკვე ერთის თოფის სროლის მანძილზედ მიუახლოვდნენ. უცბად აქედ იქიდან ზოლმა მოიცვა დესპანის ნავები და ტყვია სეტყვასავით დაუშინეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ნახევარ-ხალხი გაწყდა, ხოლო მეორე ნახევარი იბრძოდა განწირულებით. პირისახე სულ გაჰმუროდათ ბოლითა, მკლავნი დაჰლოდათ, თვალთ უბნელდებოდათ, შიგ სისხლი მოსწოლოდათ, ჯაზეირების ლულები გაცხელებულიყო. თითქმის ყველანი დაჭრილნი იყვნენ. აქ საზარელმა ყიყინამ მოიცვა არე-მარე. თათრები გადაერივნენ იერიშით.

თოფი-წამლის კვამლმა გადაიღო. როგორც სვანნი დაახლებიან ხოლმე ცხენის ლეშს, ისე თათრები შემორტყმოდნენ გარშემო დესპანის ორს ნავს. გამხეცებული ბრბო სცემდა ყიყინას, ეტანებოდა, ეჯარებოდა და ესეოდა ჭიანჭველასავით ნავებს, აურ-ზაურობდა ერთმანეთ-შორის და იღუპებოდა. ერთი მუჟა ჯარის-კაცთა კიდევ ეწინააღმდეგებოდა, ხოლო ანძასთან იდგა პან სქშეტუსკი დასისხლიანებულფს სახითა; მარცხენა მხარში ისარი ჩარჭობოდა, მაგრამ მაინც ჰხოცავდა მარჯენივ და მარცხნივ ყველას, ვინც კი მიეკარებოდა. კაცს ეგონებოდა, ზღაპართა მღვდია, ბუმბერაზია ამ გარშემოხვეულთა შორისაო; მისი ხმალი ისე ისროდა ნაპერწკლებს, თითქო ელვააო. ვახმისტრი და მეორე-ჯარის კაცი აქედ-იქიდან უდგნენ, იწარგვდნენ უფროსს და ყველა შიშითა და ძრწოლით იხევბან უკან ამ სამს კაცს რომ უყურებდა.

— ცოცხალი უნდა წარეუდგინოთ ატამანსა! — ისმოდა ხმები აქედ-იქიდან. — დაგენებლით!



-თავად აწინასწარმეტყველებს ოტომან იმპერატორს შინ ოთხოდ  
 .ძობის იტყუეთ აუ თემინტოლოტეთ ადრს  
 -ძვე კძახიეთ ოხიბ მითუღრბიწმენე—!ომოტებ ,ოთნოთიღენწ —  
 .ინბტკინ  
 -ფოსლი ადგასანი .იტყუთ ტიაი გგენენ მათე მათე ნათე  
**ს ი ი მ ვ ე ნ ე მ** პონბნ ბნოღენ

ნ—წ .ბგ

**თავი ოკმოცდაერთი\*)**

მე მაშინ მივედი, როდესაც იგინი მარცვლოს გვა-  
 მის წინაშე იდგნენ, იღვროდა ცრემლი და გაისმოდა  
 სამგლოვიარო გალობა, ხნიერი ქალები თან მიცვალე-  
 პულს ჰყარაულობდნენ და თან დიდებულს მგლოვიას  
 ჰგალობდნენ.  
 ძველებური პიესა.

მეფე რიჩარდი და აივენგო კონინსბერგის ციხე-დარბაზის  
 ერთს რგვალს ოთახში შეიყვანეს, რომელიც მესამე სართულ-  
 ში იყო. კიბეზედ ასვლის დროს ვილფრედმა პირისახეზედ მან-  
 ტია მოიფარა, მას ნაბრძანები ჰქონდა—არ სჩვენებოდა თავის  
 მამას, ვიღრე მეფე არ ანიშნებდა.

ამ ოთახში მუხის ერთი დიდი სტოლის გარშემო თორმე-  
 ტამდინ დიდი გვარის საქსონელმა კაცმა მოიყარა თავი, რომელ-  
 ნიც ახლო-მახლო საგრაფოებიდან მოსულიყვნენ. ყველაიგინი  
 მოხუცებულნი და ხანში შესულნი იყვნენ, ყველა ამ დარბაისელ  
 კაცებს სახეზედ მწუხარება ეტყობოდა.

ცედრიკი, რომელიც ჩამომავლობით მათი თანასწორი იყო,  
 ამ კრების ზოთავედ ითვლებოდა; მან დაინახა თუ არა რიჩარ-  
 დი (რომელსაც ისე იცნობდა, როგორც გულადს რაინდს), მა-  
 შინვე წინ მიეგება, ჰკითხა როგორა ბრძანდებითო და, ჩვეუ-  
 ლებისამებრ, ღვინით სავსე ჭიქა თავთან მიიტანა.

მეფემ იცოდა თავის ინგლისელი ქვეშევრდომების ჩვეუ-  
 ლება:—თქვენს სადღეგრძელოს ვსვამო,—უთხრა მათ და ცოტა  
 ღვინო მოსვა.

ასევე ზრდილობიანად მიიღეს აივენგოც, რომელმაც მხო-  
 ლოდ თავი დაუკრა და ხმა კი არ ამოუღია, რომ მამას არ ეცნო.

\*) იხ. №№ VII—XII (1884 წ.) და I (1895 წ.).

ყოველივე ამის შემდეგ ცედრიკი ზეზედ წამოდგა, რიჩარდს ხელი დაუჭირა და პატარა სამლოცველოში წაიყვანა, რომელშიაც სინათლე ერთი პატარა სარკმლიდან შედიოდა. გარდამოხსნის წინ ორი სანთელი ენთო და მოწითალო შუქს აყენებდა ყველაფერს.

აქ, საკურთხევის წინ, იდგა კუბო, რომლის აქეთ-იქით მხრიდან სამ-სამი ბერი იყო დაჩოქილი; იგინი თან კრიალოსნებს ათამაშებდნენ და თან ლმობიერად ლოცულობდნენ. წმინდა ედმუნდის მონასტრის ბერები თითქმის სუყველანი მოსულიყვნენ და ცდილობდნენ ატელსტენი დიდის დიდებითა და პატივით დაემარხათ, რადგანაც მიცვალებულის დედამ ასი ოქრო შესწირა ამ მონასტერს და მამულის ჩუქებაც აღუთქვა იმ პირობით, რომ მისი შვილი და ქმარი წირვა ლოცვაზედ ყოველთვის მოეხსენიებინათ.

ცედრიკმა უჩვენა რიჩარდს და აივენგოს უდროვოდ მიცვალებულის ატელსტენის კუბო; მათ დაიწერეს პირჯვარი და ხმა დაბლა წარმოსთქვეს ლოცვა მიცვალებულის სულისათვის.

ამ მოვალეობის შესრულების შემდეგ, ცედრიკი კიბისაკენ წავიდა და სტუმრებსაც ანიშნა უკან გაჰყოლოდნენ; იგი მივიდა ერთ პატარა ოთახთან, რომლის კარებიც დიდის სიფრთხილით შეაღო. ამ ოთახსაც მარტო ერთი სარკმელი ჰქონდა დასაველეთის მხრისაკენ და აქედან შემოსული შუქი მისდგომოდა ერთს დარბაისერს მანდილოსანს, რომელსაც ეხლაც კი ეტყობოდა, რომ ერთს დროს ძრიელ ლამაზი იქნებოდა. მას მძიმე თაღბები ეცვა და მისი გაშლილი სქელი თმა დროს ჯერ კიდევ სულ არ გაეჟღარავებინა. სახეზედ დიდი მწუხარება ეტყობოდა. მის წინ სტოლზედ სპილოს ძვლის ჯვარცმა და ლოცვანი იდო.

— კეთილშობილო ედიფა, — უთხრა მას ცედრიკმა რამდენიმე წამის სიჩუმის შემდეგ, — ეს პატივცემულნი უცნობნი მოსულან აქ, რომ თავისი მწუხარება გამოგიცხადონ, — აი ეს ის მამაცი რაინდია, რომელიც იბრძოდა მიცვალებულის გასანთავისუფლებლად.

— ვმადლობ გმირობისათვის, — მიუგო მანდილოსან-  
მა, — თუმცა ზეცამ მისი მეცადინეობა სულ ამოდ ჩაატარა.  
ვმადლობ მასაც და მის ამხანაგსაც, რომელნიც მოსულან მწუ-  
ხარების დროს ნუგეში-სცენ სდელინგის ქვრივს, ატელსტენის  
დედას. ამ სტუმრებს მე თქვენ გაბარებთ, ჩემო ნათესაო ცედ-  
რიკ, და იმედი მაქვს ისეთს მასპინძლობას გაუწევ, როგორც  
კი შეიძლება ამ უბედურების დროს.

სტუმრებმა მწუხარე დედას თავი დაუკრეს და ცედრიკ-  
თან ერთად ოთახიდან გამოვიდნენ. აქედან ერთი სხვა ოთა-  
ხისკენ წავიდნენ; ჯერ ისევ გარედ იყვნენ, რომ ამ ოთახიდან  
წყნარი გალობის ხმა მოესმათ. როდესაც ოთახში შევიდნენ,  
იქ ოცამდინ დიდი ოჯახის ქალები ნახეს შეკრებილი. ოთხი  
გასათხოვარი ქალი, როენას ლოტბარობით, საგალობელს გა-  
ლობდნენ მიცვალებულის სულისათვის; დანარჩენნი ზოგნი ყვა-  
ვილების კონებსა ჰკრავდნენ კუბოს შესამკობად, ზოგნი თალ-  
ხებსა ჰკერავდნენ, ზოგი კი უფრო თალხების მოხდენაზედ  
ფიქრობდა, ვიდრე მიცვალებულზედ. ორი უცნობი რაინდის  
უეცარმა შესვლამ ქალებში ჩოჩქოლი ჩამოაგდო, ზოგს მათგანს  
ღიმილი უქროდა სახეზედ, ზოგი კი იდუმალად უყურებდა რა-  
ინდებს. მათ შორის მხოლოდ ერთმა როენამ მისცა სალაში  
თავის გამომხსნელს რაინდს. როენას სახეზედ უფრო ჩაფიქრება  
ეტყობოდა, ვიდრე მწუხარება. ვინ იცის, იქნება იგი აივანგო-  
სა და მის ბედზედ ფიქრობდა.

როდესაც ყველა ოთახეში ჩვენა, რომლებშიაც მზადება  
იყო ატელსტენის დასამარხვად, ცედრიკმა წაიყვანა იგინი საპა-  
ტიო სტუმრებისათვის მომზადებულს ოთახში. მან დააბინავა იგინი  
და ის-აყო გასვლას აპირობდა, რომ შავმა რაინდმა ხელი-დაუ-  
ჭირა.

— მე მინდა მოგავიხარო, პატივცემულო ცედრიკ, — უთხრა  
მან, — რომ როდესაც ერთმანეთს ვეთხოვებოდით, თქვენ მე  
ღმბირლით სამაგიეროს გადახდას იმ ამგისათვის, რომელიც შე-  
თქვენ დაგვით.

— ვიდრე მეტყოდე, მე წინ-და-წინვე თანახმა ვარ, კეთილ-  
შობილო რაინდო, თქვენი სურვილი შეეასრულოს, — მიუგო ცე-  
დრიკმა, — მაგრამ ამ მწუხარების დროს...

— მეც ვფიქრობდი მაგახედ, — შეაწყვეტინა სიტყვა მე-  
ფემ, — მაგრამ მე ცოტა დრო მაქვს, ამასთანავე აქ შეუსაბამო  
აჩაფერია, რომ ატელსტენთან ერთად ზოგიერთი ჩვენი ცრუ  
მარწმუნებანი დავმარხოთ.

— ბატონო რაინდო, — შესძახა ცედრიკმა გაჯავრებით —  
იმედი მაქვს თქვენი თხოვნა მხოლოდ თქვენვე შეგეხებათ და  
არა სხვას ვისმე, ხოლო რაც შეეხება ჩემი ოჯახის ვითარებას,  
დიდი უზრდელობა იქნება ვინმე უცხო კაცი გაერიოს მასში.

— თქვენს ოჯახურს საქმეში არ მინდა გარევა, — მიუგო  
ამპარტაენად რაინდმა, — თუ რომ თქვენ დეიფონ არ მომცემთ  
ამის ნებას. აქამდინ მე ისე მიცნობდით, როგორც შავს რაინდს,  
ახლა გთხოვფე ისე მიცნობდეთ, როგორც რიჩარდ პლანტა-  
გენეტს!

— რიჩარდ ანუელს! — შესძახა ცედრიკმა და გაოცებულ-  
მა უკან დაიწია.

— არა, კეთილშობილონ ცედრიკ, თორიჩარდ ინგლისელს!  
ჩემი გულითადი ნატერა, ჩემი ღუდადესი სურვილი ის არის, რომ  
მთლად ინგლისელები ერთად შეკავშირებული ვნახო. ნუთუ  
გებლა მაინც არ მოიდრეკ მუხლს შენი მეფის წინაშე?

— წორმანულ გვირგვინის წინაშე, — უთხრა ცედრიკმა, — ჩემი  
მუხლი არასოდეს არ შადრეკილა, თუმცა მარად პატივისმცემ-  
ელი კი ვიყავ თქვენის გმირობისა და ღირსებისა. მაგრამ შენ  
მაინც მეფე ხარ და მეფედაც ღარჩები, თუმცა ცოტა ურჩობას  
კი გიწევ.

— ეწლა დავუბრუნდეთ ჩემსსათხოვარს, — განაგრძო მეფემ. —  
მე ვთხოვლობ შენგან მოცემული სიტყვის შესრულებას, მე ვთხო-  
ვლობ, რომ აპატიო გმირს რაინდს ვილფრედ აივენგოს დანაშაუ-  
ლი და დაუბრუნო მამობრიული სიყვარული. დამერწმუნე, თქვენი  
შერიგება ჩემთვისაც კარგი იქნება, რადგანაც ბედნიერება მიე-

ნთქება იმ ჩემს მეგობარს, რომელზედაც დამოკიდებულია ჩემ ქვეშევრდომთა შორის ამბოხების მოსპობა.

— მაშ ეს ვილფრედი? — ჰკითხრა ცედრიკმა და თავის შვილზედ უჩვენა.

— მამა! მამა! — ლალაღ-ჰყო აივენგომ და ცედრიკს ფეხებში ჩაუვარდა: — მამატივე დანაშაული.

— მიპატიებია, შვილო, — უთხრა ცედრიკმა და ზეზედ წამოაყენა. — გერვარდის შვილი თავის სიტყვას შეასრულებს, თუმცა ეს სიტყვა ნორმანისთვის კი აქვს მიცემული. გთხოვ მამაპაპური ტანისამოსი ჩაიცვა და მათი ჩვეულებანი მიიღო, რომ შენს სახლში ადგილი არა ჰქონდეს არც მოკლე მანტიას, არც მდიდრულს ქუდს და არც ფანტასტიურს ფრთებს. ცედრიკის შვილი ღირსი უნდა იყოს თავის ინგლისურის ჩამომავლობისა. შენ ლაპარაკი გინდა და ვიცი რაზედაც. ლედი რენამ ორი წლის განმავლობაში შავები უნდა ატაროს თავის საქმრო ატელსტენისათვის; მთელი ჩგენი საქსონელი ნათესავები დაგმკრახავენ და პირს მოგვარიდებენ, თუ იმისთვის ახალი საქმროს ძებნას დაიწყებთ, ვიდრე ჯერ არ გაცივებულა საფლავი იმ კაცისა, ვისაც იგი ქორწინებით უნდა დაკავშირებოდა. თვით ატელსტენის სულიც წამოდგება საფლავიდან და ნებას არ მოგვცემს, რომ მისს სახელს ასეთი შეურაცხყოფა მივაყენოთ.

ცედრიკის სიტყვებმა თითქოს მოჩვენება გამოიწვიეს: წარმოსთქვა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე გაიღო კარები და ატელსტენი შემოვიდა თეთრის სუდარით, დადგა მათ წინაშე გაყვითლებული, ფვალები მიმქრალეობდა და საფლავიდან ამდგარს ჰგავდა.

ამ ამბავმა ყველანი შეაძრწუნა. ცედრიკმა უკან დაიწია და კედელს მიეყრდნო, გაოცებული შესტკეროდა თავის მეგობარს და ხმის ამოღებას კი ვერა ბედავდა. — აივენგო პირჯვარს იწერდა და რაც ლოცვები იცოდა, სულ ერთიან სთქვა. რიჩარდიც მეტის-მეტად გაკვირვებული იყო.

ამ დროს კიბას ქვეშიდან საშინელი ხმაურობა მოისმა: „დაიჭირეთ ეგ გაქნილი ბერები! ციხეში ჩაყარეთ! გადაყარეთ მაღალი სართულიდან!“

— ღვთის გულისათვის! — უთხრა ცედრიკმა თავის მეგობრის აჩრდილს, — თუ მომაკვდავი ხარ, თქვი! თუ სული ხარ მიცვალეზულისა, მითხარ რაღად მოხვედი ჩვენთან. მკვდარი ხარ თუ ცოცხალი, კეთილშობილო ატელსტენ, მიხხარ შენს მეგობარს ცედრიკს.

— ყველაფერს გეტყვი, — დაიწყო მოჩვენებამ მედიდურად, — როდესაც სულს მოვებრუნებ და ღონეს მოვიკრებ. მეკიფხები, ცოცხალი ვარ, თუ არა? მე ცოცხალი ვარ იმდენად, რამდენადაც შეიძლება ცოცხალი იყოს ისა, რომელსაც სამი დღის განმავლობაში ცარიელი პურისა და წყალის მეტი საზრდო არა ჰქონია. დიად, მამაო ცედრიკ, ცარიელ პურს მაქმევდნენ და მარტო წყალს მასმევდნენ. ვიმოწმებ ცასა და წმინდანებს, რომ სამი დღის განმავლობაში ამაზედ კარგი საქმელი ჩემს პირში არ ჩასულა და ეხლა ღვთის განვებით მოვედი აქ, რომ ყოველისფერი გიამზოთ.

— როგორ, კეთილშობილო ატელსტენ, — უთხრა შავმა რაინდმა, — მე თვითონ ვნახე, როდესაც ძირს დაგცა ბოავილბერმა, მეცა და ვამბასაც ისე გვეგონა, რომ თავი კბილებამდინ შუაზედ გქონდა გახეოქილი.

— ტყუილად გგონებიათ, ბატონო რაინდო, — მიუტო ატელსტენმა, — ჩემი კბილები სულ მთლადა მაქვს და ამას ამაღამ ვახზამზედ დაგიმტკიცებთ. რასაკვირველია, კბილები ბოავილბერის წყალობით არ შემრჩა: მას ხმალი გადაუტრიალდა ხელში და თავში პრტყლად მომხვდა; მე რომ ზუჩი მხურებოდა, ხმალი ვერაფერს დამაკლებდა და ბრიანს მე თვითონ ვაჯექვედი. მაგრამ მე მაშინ აღარაფერი გამეგებოდა. ჩემს გარშემო სხვებს ჰკლავდნენ და სჭრიდნენ და იქამდინ ვერაფერს მიხვდი, ვიდრე ჩემი თავი კუბოში არა ვნახე, კიდევ კარგი, რომ კუბო თავ ახდილი იყო. რამდენჯერმე ცხვირს დავაცემინე, ამოვიოხრე, გამომეღვიძა და წამოვდგებოდი კიდევ, შემინებული ზარის მრეკავი და მოძღვარი რომ არ ყოფილიყვენ; იმათ, რასაკვირველია, არ უამებოდათ, როდესაც დაინახავდნენ იმ კაცს, რომლისგანაც მემკვიდრეობას მოელოდნენ. ღვინო

მოვითხოვე და რამდენიმე ყლაპი დამალევიწეს, მაგრამ ეტყო-  
ბოდა, ღვინოში რაღაც იყო არეული, რადგანაც წინან-  
დებულად უფრო ძრეულ დამეძინა და დიდ ხანს აღარ მეღვიძე-  
ბოდა. ბოლოს ვნახე, ხელებიც და ფეხებიც ისე მაგრად მქონ-  
და შეკრული, რომ ეხლაც კი მტკიცე; ის ადგილი, სადაც მე  
ვიყავ დასვენებული, ძრეულ ნესტიანი და ბნელი იყო. საშინე-  
ლი ფიქრები მომდიოდა ყოველივე იმის შესახებ, რაც მოხდა:  
ამ დროს გაიღო ჩემი საპატიმროს კარი და ორი საძაგელი  
ბერი შემოვიდა. მათ უნდოდათ დავერწმუნებინეთ, რომ მე  
სულის განსაწმენდელს ადგილას ვიყოფებოდი, მაგრამ მე  
ძრეულ კარგად ვიცნობდი მოძღვრის ხრინწიანს ხმას, რომე-  
ლიც შობიდან დაწყებული ნათლის-ღებამდინ სულ ჩემთან  
სქამდა ხოლმე პურს.

— მოიცადეთ, კეთილშობილო ატელსტენ, — უთხრა მე-  
ფემ, — სული მოიბრუნეთ და ყველაფერი გულდამშვიდებული  
გვიამბეთ; გეფიცები, შენი ისტორია ყველა რომანსა სჯობიან.

— წმინდა ჯვარსა ვფიცავ, რომ აქ მოგანილი არაფე-  
რი! — მიუგო ატელსტენმა. — ცარიელი ქერის პურის და წყალის  
მეტს არაფერს მძღვედნენ ეს კრიჟანგი და იუდის კერძი ბე-  
რები, რომელნიც მე და მამა ჩემმა გავამდიდრეთ. დახე ერთი ამ  
საძაგლებს! ცარიელს პურს და წყალს აძღვედნენ ისეთს კაცს,  
როგორიც მე ვარ! მე მათ ბოლით ამოვახიობ თავეთ სოროში,  
თუ გინდა რომ ამისთვის კიდევ შემაჩვენონ.

— ღვთის გულისათვის, კეთილშობილო ატელსტენ, — შეს-  
ძახა ცედრიკმა და თავის მეგობარს ხელები დაუჭირა, — შეგვა-  
ტყობინე, როგორ დაახწიე თავი ამ საშინელ განსაცდელს? ნუ  
თუ გული მოუღობათ იმათა?

— გული მოუღობათ? — გაიმეორა ატელსტენმა. — განა შეი-  
ძლება მზემ ქვეები დააღწოს? მე ეხლაც იქ ვიქნებოდი, თუ რომ  
ეს კრაზანები თავიანთ სკიდან არ წამოეშალა რაღაც ხმაუ-  
რობას, რომელიც იყო მიზეზი მათის აქეთკენ გამომგზავრები-  
სა ჩემი ქელეხის შესაქმელად. მე მესმოდა, როცა იგინი ფსალ-  
მუნებს გალობდნენ და ის კი ფიქრად არავის მოსდიოდა, რაღ

ჩემი სულის განსასვენებლად ისინი ლოცულობდნენ, რომელნიც ჩემს ხორცს შიმშილითა სტანჯავდნენ. ბოლოს იგინი გამ-  
შორდნენ და დიდ ხანს მოველოდი საქმელს. არც გასაკვირვე-  
ლია, ზარის მრეკავი ისე გართული იყო სმა და ქამით, რომ  
ჩემთვის აღარ ეცადა. ბოლოს იგი მოვიდა ბარბაცით და ღვი-  
ნისა და საქმელების სუნი შემოიტანა. ეტყობოდა კარგს სუფ-  
რას კარგს გუნებაზედ დაეყენებინა, რომ მეც ერთი ბოთლი  
ღვინო და კუბატის ნაჭერი დამიტოვა. ერთიც და მეორეც მა-  
შინვე გიახელით. ჩემდა საბედნიეროდ ზარის მრეკავი ისე დამ-  
თვრალიყო, რომ საპურობილის ბოქაულის როლი ევლარ შეა-  
სრულა და გარედ გასვლის დროს კარები ღია დარჩა. სინათ-  
ლემ, საქმელმა და ღვინომ ძალ-ღონე მომიმატა... მე ერთს  
რგოლზედ ვიყავ ჩიბმული, რომელიც სინესტისავან სრულიად  
დაქანგებულიყო.

— სული მოიბრუნეთ, კეთილშობილო ატელსტენ, — უთხ-  
რა რიჩარდმა, — ვიდრე შენს საშინელს ამბავს განაგრძობდე  
ჯერ შექამე რამე და ღონეზედ მოდი.

— ღონეზედ მოვიდე! — შესძახა ატელსტენმა: — დღეს გინ-  
და ხუთჯერ მიქამია; მაინცა და მაინც ერთი ნაჭერი ღორის  
ხორცი ჩემთვის მეტი არ იქნება და გთხოვთ, ბატონო, ჩემთან  
ერთი თასი ღვინო მიირთვათ.

სტუმრებიც საშინლად იყვნენ გაკვირვებულნი. ესლა უფ-  
როზ ბევრი მსმენელი ჰყავდა ატელსტენს, ვიდრე წინად, რად-  
განაც ამ დროს ედიფაც შევიდა გაცოცხლებულ მკვდართან  
და დანარჩენი სტუმრებიც თან შეჰყვნენ, ზოგნი კიდევ კიბე-  
ზედ იდგნენ და გაგონილს ამბავს ერთი-ორად აზვიადებდნენ  
და ხალხში ავრცელებდნენ. ატელსტენმა თავის ამბავი ამ წაი-  
რად განაგრძო:

— როდესაც ავეშვი რგოლიდან, რომელზედაც მიბმული  
ვიყავ, მაშინვე დავეშვი კიბეზედ. მე იმ ოთახში შევედი, საი-  
დანაც გალობის ხმა მომესმა. აქ წირვა იდგა; მღვდელი და ზა-  
რის მრეკავი ჩემს დანახვაზედ საშინლად შეკრთნენ; მაგრამ

როდესაც ზარის მრეკავი ერთი შემოკვრით წავაქციე, იმის ამბი ხანაგმა ერთი დიდი ჯოხი მომიღერა დასარტყმელად.

— ალბად ბერი ტუკი თუ იყო, — შენიშნა რიჩარდმა და ახვენგოს შეხედა.

— თუ გინდა ეშმაკიც ყოფილიყო, — ღალად-ჰყო ატელსტენმა: — საბედნიეროდ, მას ჩემზედ მოღერებული ჯოხი აუცდა და როდესაც მივიწიე მაზედ, მაშინვე მოჰკურცხლა. მე ფეხებიც გავინთავისუფლე ბორკილებიდან და მინდოდა ზარის მრეკავისათვის თავი გამეხეთქა, მაგრამ მომაგონდა, რომ კუბატი და ღვინო იმის წყალბოთით მერგო და ხელი აღარ ვახელ. მერე შევედი თავლაში და ჩემი ცხენი იქ დამხვა, მაშინვე შევეჯექე და საჩქაროდ წამოვედი აქეთკენ. სადაც კი გამოვიარე, დიდი და პატარა მე მიყურებდა და ყველას რაღაც მოჩვენება ვეგონე, ამის გამო ქუდი ჩამოვიფხატე სახეზედ, რომ აღარავის ვეცანი. ჩემს ციხე-დარბაზშიაც კი არ შემამიშვებდნენ, თუ რომ ხუმარა არა ვგონებოდით, რომელიც ხალხს ამხიარულებს ხოლმე. აქ რომ შემოვედი ჯერ ერთი კარგად გაეძეხი და მერე ისე გეჩვენეთ.

— მაშ ისევ ჩვენს განზრახვას დავუბრუნდეთ, — უთხრა ცედრიკმა. — ხვალინდელს დღეზედ უკეთეს დღეს ვერ ვიპოვით ჩვენი ხალხის გასანთავისუფლებლად:

— ნურავის განთავისუფლებაზედ ნულარაფერს ნუ მეტყვი, — მიუგო ატელსტენმა: — კარგი რომ მე თვითონ გავნთავისუფლდი. მე უფრო ამ საძაგელი მოძღვრის დასჯაზედ ვფიქრობ. მე მას შემოსილს ჩამოვკიდებ კონინსბურგის ციხე-დარბაზის კოშკზედ.

— შეილო ჩემო, — ჩაერია ელიფა ლაპარაკში, — ნუ დაღვიწყებ, რომ იგი მოძღვარია.

— შენც ნუ დაივიწყებ, რომ სამი დღე მამარხულეს, — მიუგო ატელსტენმა: — მე ყველა იმათი სისხდი მწყურია. ფრონდე ბეფი ცოცხალი დასწევს ცეცხლში, თუმცა ტყვეებს იმათსავით ცუდად არ ექცეოდა: იგი კარგად მიანც აქმევდა თავის ტყვეებს, მხოლოდ ეს კი იყო წვეწვანს ცოტა ბევრს ნიორს უშ-

ვრებოდა. ეს საძაგელი, უპატივცემულო ბერები კი არც წვენი მაქმევდნენ და არც ნიორს, ჩემთან სადალად კა დაუპატივებლად მობრძანდებოდნენ ხოლმე. რაც უნდა ჩუას მე მათ დაუხოცავს არ გავუშვებ.

— მერე პაპი, ჩემო კეთილშობილო მეგობარო?—წარმო-სთქვა ცედრიკმა.

— რის პაპი, რის ეშმაკი,—შეჰყვირა ატელსტენმა.—მე იმათ ყველას დავხოცავ, არც ერთს ცოცხალს არ გავუშვებ. ქვეყანა უიმათოდაც იოლად წავა, თუ გინდა რომ ძლიერ კარგი ბერებიც იყვნენ.

— არ გეკადრება, კეთილშობილო ატელსტენ,—უთხრა ცედრიკმა:—თავი დაანებე ამ საცოდავ ბერებს მაშინ მაინც, როდესაც დიდებას ასპარეზი გიძევს წინა. შეატყობინე ამ ნორმანელს პრინცს რიჩარდ ანჟუელს, რომ თუშკა ღომის გული აქვს, მაგრამ უამრად კი ალფრედის სამეფო ტახტს ვერ დაიჭერს.

— როგორ!—შესძახა ატელსტენმა,—ეს კეთილშობილი მეფე რიჩარდია?

— დიად, რიჩარდ პლანტაგენეტია,—მიუგო ცედრიკმა,—მაგრამ საჭიროდ ვრაცხ შეგატყობინო, რომ იგი თავის ნებით ნოვიდა აქა, როგორც სტუმარი და მის დატყვევების ან შეურაცხყოფის ნებას არავის არ მივცემ. მის შესახებ შენ შენი მოვალეობა შეასრულე, როგორც მასპინძელმა.

— ნამდვილად!—წარმოსთქვა ატელსტენმა:—ამასთანავე ქვეშევრდომის მოვალეობაც კარგად ვიცა, ჩემს მორჩილებას ვუცხადებ.

— შეილო ჩემო,—უთხრა ედიფამ:—შენი მეფეთრი ჩამო-მავლობა ნუ გავიწყდება,

— ინგლისის განთავისუფლებაზედ იფიქრე, უღირსო პაპი-ნცო!—დასძინა ცედრიკმა.

— დედა და მეგობარო,—მიუგო მათ ატელსტენმა,—საყვე-დურს თავი დაანებეთ; პური, წყალი და საპყრობილე საკვირვლოდ სთრგუნავენ დიდების მოყვარეობის გრძნობას, კუბოდან უფრო

ქვიანი წამოვდექი, ვიდრე ჩავედი. მას აქეთ, რაც ამბოხების საქმის შევუდეგით, მე წილად მერგო ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლა, კუქის მოშლა, თავის გატეხა, პატიმრობა და შიმშილ-წყურვილი. ამასთანავე ყოველივე ეს ისე არ გათავდებია, რომ რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მცხოვრებელი მსხვერპლი არ შეიქმნას ამ ამბოხებისა. გიცხადებთ, რომ მე ჩემს სამფლობელოში მინდა ვიყო მეფედ და სხვაგან არსად და ჩემს უფლებას პირველად იმაში გამოვიჩინე, რომ მოძღვარს ჩამოვადრჩობ.

— ჩემს გაზრდილს როენას იმედი მაქვს თავს არ დაანებებო? — ჰკითხა ცედრიკმა.

— მამაო ცედრიკ, მიუგო ატელსტენმა, — გონივრულად მოიქეც. ქალბატონი როენა ჩემზედ არაფერსა ფიქრობს, იმას ჩემი ნათესავი ვილფრედის ერთი თითი უფრო ძრიელ უყვარს, ვიდრე მთლად მე. აი თვითონ როენაც, იგი დამატყიცებს ჩემს ნათქვამს. ნუ წითლდები, ჩემო მშვენიერო ნათესავო; სირცხვილი როდია სასახლის რაინდი უფრო გიყვარდეს, ვიდრე სოფლად მცხოვრებელი ბარონი. რად გეცინება, როენა? ღმერთმა ხომ იცის, რომ სუდარა და გამხდარი სახე სასაცილო არ არის. თუ სიცილი გინდა, სხვა გასაცინებელს საგანს გიშოვნი. მომეცი ერთს წამს შენი ხელი... მოდი აქა; ძმაო ვილფრედ აივენგო! ამ ქალისგან ხელს ვიღებ იმისთვის, რომ შენ დაგზარჩეს... როგორც ვხედავ, ვილფრედი აქ აღარ არის. ამ ცოტახნის წინად კი აქ დავინახე.

ყველაპი მიიხედ-მოიხედეს და აივენგო მოიკითხეს, მაგრამ იგი არსადა სჩანდა. ბოლოს გაიგეს, რომ აივენგოსთან ებრაელი მოსულყო და მცირე ხნის ლაპარაკის შემდეგ იარაღი აესხა და წასულიყო, თავის გურტიც თან წაეყვანა.

— მშვენიერო ქალო, მიუბრუნდა ატელსტენი როენას, — მე რომ ვიცოდე, რომ აივენგო უმიზეზოდ წასულა აქედგან ასე უეცრად, მაშინ ისევ განვახლებდი...

როდესაც ატელსტენმა გაიგო, რომ აივენგო იქ აღარ იყო, როენას მაშინვე გაუშვა ხელი, ქალმაც ისარგებლა ამით და ოთახიდან ატეხა.

— ეჭვი არ არის, — განაგრძო ატელსტენმა, — ცხოველებში ყველაზედ ნაკლები სანდო ქალია. მე როენასგან მადლობის გადახდას მოველოდი, თითქმის კოცნასაც კი და ის კი ჩუმიად გავიდა გარედ. ალბად ამ დაწყველილმა სუდარამ მამაჯადოვანა ყველანი გარბიან ჩემგან. ახლა, მეფეო რიჩარდ, ერთგულება მინდა შემოგფიცოთ...

მაგრამ რიჩარდიც წასულიყო და არავინ კი იცოდა სადა. ბოლოს გაიგეს, რომ იგი დალაპარაკებოდა აივენგოსთან მოსულს ებრაელს, მერე ცხენი მოეთხოვა, შემჯდარიყო და საჩქაროდ წასულიყო ებრელთან ერთად.

— წმინდაო ძალნო ცათანო! — ღალად-ჰყო ატელსტენმა. — ალბად ეშმაკი დაეპატრონა ჩემს ციხე-დარბაზს. ისე არავის დაველაპარაკები, რომ მაშინვე არ მიმეფაროს თვალიდან. მაგრამ ამაზედ ლაპარაკი არა ღირს. წავიდეთ, ჩემო მეგობრებო, ვინც აქა ხართ, უკან გამომყეთ სანადიმო დარბაზში. იმედი მაქვს, იქ ყოველივე საჭმელი უხვად იქნება; თუ კიდევ დავიგვიანებთ, ვინ იცის ვახშამიც ეშმაკმა დამალოს..

**შავი ოკნოსდამოტრა**

დაე, დანაშაულებანი მორღეისა ისე მიმედ ჩაუვარდეს მას გულში, რომ ცხენმა მისი ზიღვა ვეღარ შეიძლოს და წაიქცეს და თვით საზიზღარი მოღალატე მხედარიც თავდაყირა გადავარდეს ცხენიდან.

შექსპირი. — რიჩარდ I

დავუბრუნდეთ ისევ ტემპოსტოს პრეცენტორიას, სადაც უბედური რებეკა უნდა დაესაჯათ. ხალხი ყოველის მხრიდან მოდიოდა ამ ამბის საცქერლად. რებეკა უნდა დაესაჯათ ერთს მადლობს ადგილზედ, რომელზედაც გრძელი სკამები ეწყო ხალხის დასაჯდომად. დიდი მალისტრისა, პროცენტორების და რაინდებისათვის ცალკე ადგილები იყო მომზადებული აქ. ტაძრის რაინთა ბაიარღს გაჰქონდა ფრიალი.

მეიდნის ერთს გვერდზედ კოცონი იყო მომზადებული, რომლის ახლოც ბოძი ჩაესვათ რბეკას მისაბმელად. კოცონის გვერდით ოთხი მონა იდგა, რომელნიც აფრიკიდან იყვნენ მოყვანილინი და მათი შავი სახე ყველას შიშსა ჰგვრიდა. იგინი უძრავად იდგნენ; მხოლოდ ხან-და-ხან შეშას ასწორებდნენ ხოლმე. ხალხს არა სჯეროდა, რომ მათ კავშირი არა ჰქონდათ მავნე სულებთან. უბრალო ხალხი ერთი-ერთმანეთში ლაპარაკობდნენ და ყოველ ამ უბედურებას ეშმაკს აბრალებდნენ.

— შეიტყე, მამაო ღენეც, — ეუბნებოდა ერთი სოფლელი მეორე ხნიერს სოფელს, — რომ ეშმაკს საქსონელი ბარონის ატელსტენის სულთან ერთად მისი გვამიც თან წაუღია?

— დიად, მაგრამ შეწევნითა ღვთისათა და წმინდა ღუნსტანისა, მას ატელსტენი ისევ უკან მოუყვანია.

— როგორ მერე? — ჰკითხბა ყმაწვილმა კაცმა; რომელსაც მწვანე ტანისამოსი ეცვა და მხარზე ქნარ-გადაკიდებული სხვა კაცი მოსდევდა უკან. ამას ეტყობოდა, რომ ჩვეულებრივი მგოსანი არ იყო: მას მდიდრული ტანისამოსი ეცვა და ყელზედ ქნარის მოსამართი გასაღები ეკიდა ძეწკვითა. — მაგით რა გინდა სთქვა? — გაიმეორა ყმაწვილმა მგოსანმა და ხალხის ლაპარაკში მონაწილეობა შიიღო. მე მოვსულვარ ლექსებისათვის საგანი რამ ვიპოვო და ძრიელაც გამეხარდება, თუ ერთი საგნის მაგივრად ორს საგანს ვიპოვი.

— ყველამ იცის, მიუგო უფროსმა მოსაუბრემ, — რომ მას აქეთ, რაც ატელსტენი მოკვდა ამ ოთხი კვირის წინად...

— ეგ არ შეიძლება, — გააწყვეტინა სიტყვა მგოსანმა: — მე ის ასპარეზობაში ცოცხალი ვნახე აშბში.

— იქნება, მაგრამ მოკვდა კი, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, გადასახლდა იმ სოფელში, — უთხრა პატარა სოფლელმა: — მე თვითონ ვნახე, როდესაც წმინდა ედმუნდის ბერები პანაშვიდს უხდიდნენ; ამასთანავე კენინსბურგში მსუქანი ქელეხიც გაუმართეს; მე მიწოდდა წავსულიყავ, მაგრამ მამლ პარკინსი, რომელიც...

— ღიად! ატელსტენი მოკვდა, გააწყვეტინა სიტყვა მობუცმა, და ეს ძრიელ სამწუხაროა საქსონელებისათვის.

— ისტორია, თქვენი ისტორია განაგრძეთ, ბატონებო! — დაიყვირა მგოსანმა მოუთმენლად.

— ღიად, ღიად... გამოგვირკვიეთ თქვენი ისტორია, უთხრა მსუქანმა ბერმა, რომელიც ყავარჯენზედ იყო დაყრდნობილი. — თქვენც ისტორია გაუგებარია და დროს ტყუილად ეკარკავთ!

— თუ თქვენს მაღალ ღირსებას სურს, — უთხრა დენეტმა: — დამთვრალი ბერი ზარის მრეკავთან მისულა სტუმრად...

— ჩემს მაღალ ღირსებას სრულიად არა სურს, რომ იქ ისეთი მხეცები ყოფილან, როგორც დამთვრალი ბერი, მანცა და მანცა ერის კაცმა ცუდად არ უნდა მოიხსენიოს. სასულიერო კაცი ზრდილობიანი იყავ, ჩემო კარგო, რე ისე წარმოიდგინე, რომ წმინდა კაცი მიეცა ღმერთზედ ოცნებას, ბევრის ფიქრით თვალთ დაუბნელდა და ისე დაიწყო ბარბაცი, თითქოს კუჭი მაჭრით აუფსიაო. მე ეს თვითონ ჩემს თავზედ გამომიცდია.

— დაე აგრე იყოს, — განაგრძო მამა დენეტმა. — ასეთი წმინდა მამა ეწვია სენტემედის ზარის მრეკავს... ამ სტუმარს ბერს, რომელიც ტყეში აკრძალულს ნადირს უდიერად ხოცავს თურმე, აზარფეშას წკრიალი უფრო უყვარს, ვიდრე ეკლესიის ზარის რეკვა და ღორის ხორცს უფრო ეტანება, ვიდრე ლოცვანს, — მაგრამ გულკეთილი და მხიარული კი არის, კარგად ესვრის ისარს და კარგადაც თამაშობს.

— შენის უკანასკნელი სიტყვების მაღლობელი იყავ, დენეტ, — უთხრა მგოსანმა, — რომ ორი სამი წიბო ჩაუმტვრეველი დაგრჩა.

— მე მაგისი არ მეშინიან; მართალია, მე ახალგაზდა და მარდი არა ვარ, მაგრამ როდესაც დუნკასტერზე ზარისთეიკა და ცხვრისთვის ვიბრძოდი...

— ისტორია, ისტორია თქვი, ჩემო კარგო! — შესძახა მგოსანმა.

— ისტორია ის არის, რომ კონინსბურგელი ატელსტენი წმინდა ედმუნდის მონასტერში დამარხეს.

— ეგ სიცრუევა, მტკნარი სიცრუევე, — მიუგო ბერმა; — მე თვითონ ვნახე, როდესაც იგი კონინსბურგის ცახე-დარბაზში გადაიტანეს.

— რახან აგრეა, მაშ თქვენ თვითონ გვიამბეთ ბატონებო! — მიუგო დენეტმა და გაჩუმდა, ასე რომ შემდეგ მხოლოდ თავის ამხანაგის და მგოსნის თხოვნით განაგრძო ამბავი. — ეს ორი ბერი მთელი დღის განმავლობაში სულ ლუდსა, ღვინოსა და რალაც სხვა სასმელს შეექცეოდნენ, ამ დროს ატელსტენი თავის სულდართ შევიდა ოთახში და დაუძახა: — თქვე ბოროტო მწყემსნო!...

— ტყუილია! შესძახა გაჯავრებით ბერმა: — მას კრინტიც არ დაუძრავს.

— ოჰო ბერო ტუკო! — უთხრა მგოსანმა და გვერდზედ უკალკე გაიხმო: — როგორც ეტყობა, კურდღელი წამოვაგდეთ.

— გეუბნები შენ, ალღან-ე-დელ, — მიუგო მეუღაბნოემ, — მე თვითონ ვნახე ატელსტენი ისე კარგად, როგორც ეხლა შენა გხედავ. მას სულდარა ესხა და სამარის სუნს უდიოდა. ერთი ბოქვა ღვინოც ვერ ამოშლის ამ ამბავს ჩემის მეხსიერებიდან.

— შენ მე დამცინი!

— სულ ნულარას დამიჯერებ, თუ დაგცინოდე; მე ჩემი ყავარჯენი ისე დავკარი იმას, რომ ხარიც კი წაიქცეოდა, მაგრამ ყავარჯენმა მის სხეულში ისე გაიარა, როგორც ბოლში.

— წმინდაო გუბერტ! ეს ისეთი საუცხოვო ამბავია, რომ შეიძლება პოემა დაიწეროს ლექსად ამ სათაურით: „უბედურება მივიღო და სწორედ ამისთვისაც მოვსულვარ აქა“.

— გაიცინე, თუ გინდა; უთხრა ტუკმა; — მაგრამ დაე ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, თუ ეგ სიმღერა ვიმღერო! არა, არა, მე წინაღვე გადავწყვიტე ჯანოქარი ქალის დასჯაში მტკ მონაწილეობა მივიღო და სწორედ ამისთვისაც მოვსულვარ აქა.

ამ დროს გაისმა ტემპლსტოს პრეცენტორიის დიდარ ხარის ხმა და მოსაუბრეთ ლაზარაკი შესწყვიტეს. ხარი ნელ-ნელა იკროდა და მისი ხმა მჭველს არე-მარეში გაისმოდა, რომელიც მომასწავებელი იყო საბერალლო რებეკას სიკვდილისა. ხალხმა

პრეცენტორიისკენ დაიწყო ცქერა, საიდანაც უნდა გამოსულიყვნენ დიდი მალისტრი, რაინდნი და დასასჯული რებეკა.

ბოლოს გაიღო პრეცენტორიის კარი და წინ-და-წინ გაშოხნდა რაინდი, რომელსაც ხელში ორდენის ბაირალი ეჭირა და წინ საუვირის ექვსი დამკვრელი მოუძღვოდა; მათ მოსდევდნენ პრეცენტორიის რაინდნი და ყველაზედ უკან მოდიოდა დიდი მალისტრი კარგის ცხენით. ამის შემდეგ ბრიან დეზოა გილბერი მოდიოდა, თავით ფეხამდინ ჩაჩქანში ჩამჯდარი, მისი იარაღი საჭურველის მტვირთველებს მოჰქონდათ. ბრიანს სახეზედ შეშფოთება და მღელვარება ეტყობოდა. საშინლად იყო გაუვიწყლებული, თითქოს რამდენსამე ღამეს არა სძინებიაო, მაგრამ ცხენს კი მაინც კარგად ხმარობდა. მთლად მის არსებას დიდებული და ამპარტავნულა შეხედულობა ჰქონდა.

ბრიანს გვერდით მოსდევდნენ კონრად მონ-ფიტიშეტი და ალბერტ დე მალგოაზენი. იგინი უიარაღონი იყვნენ და თეთრი ტანისამოსი ეცვათ. მათ მოსდევდნენ დანარჩენი ძმანი ტაძრისანი მრავალის საჭურველის მტვირთველებით და პაეებით, რომელთაც შავი ტანისამოსი ეცვათ და მოუთმენლად ელოდნენ იმ დროს, როდესაც იგინიც ორდენის რაინდნი შეიქმნებოდნენ. შემდეგ გუშაგების რაზმი მოდიოდა, შავისავე ტანისამოსით ჩაცმული და მათ შორის მოჩანდა გაფითრებული რებეკაც, რომელიც წყნარად მიდიოდა იმ ადგილისკენ, სადაც მისი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ებრაელის ქალს აწყარეს ძვირფასი სამკაული, რადგანაც ეკონათ, რომ ამ სამკაულებში თილფსმა იქნებოდა დამალული და დატანჯვითაც ვერ გამოათქმევინებდნენ დანაშაულს. აღმოსავლეთური ტანისამოსის მაგივრად უბრალო თეთრი ტილოს ტანისამოსი ჩააცვეს; მაგრამ მის თვალებში ესეთი მამაცობა იხატებოდა და თემები ისე გრძნეულად ჰქონდა გაშლილი, რომ ეს ტილოს უბრალო ტანისამოსიც კი უხდებოდა. მის დანახვებზედ კრემლები მოსდიოდათ თავით გულგაქვავებულ კაცებსაც კი და ნანობდნენ, რომ ამ მშვენიერს ქმნილებას ეშპაკ დაჰპატრონებოდა.

უბედური რებეკა შავს სავარძელზედ ჩამოსცვეს, რომელც კოცონის გვერდით იდგა. რებეკამ რომ თავის დასასჯელი აღ-

გილი დაინახა, საშინლად შეკრთა, თვალეზედ ხელო დაიფარა და ეტყობოდა, რომ გულში ლოცულობდა. ერთი წამის შემდეგ მან გაახილა თვალეზი და კოკონს დააშტერდა, თითქოს იმისთვის, რომ თვალი შეეჩვია და შემდეგ აღარ შეშინებოდა.

დიდმა მალისტრმა თავის ადგილი დაიჭირა და როდესაც მისი ორდენის რაინდი თავ-თავის ადგილას დასხდნენ, საყვირის ხმამ აუწყა ყველას, რომ სასჯელი იწყებოდა. მალგოაზენმა მალისტრის წინაშე დასდო ბრძოლის წინდი რებეკას ხელთამანი.

— გმირო და მალალ ღირსო მამაო! — წარმოსთქვა მან. — აქ სდგას რაინდი პრეცენტორი ბრიან დე ბოა გილბერი, რომელმაც მიიღო წინდი ბრძოლისა; მან უნდა ბრძოლით დაამტკიცოს, რომ ებრაელი ქალი რებეკა სამართლიანად ისჯება ჯადოქრობისათვის. თუ თქვენი მალალ-ღირსების ნება იქნება, ბრიანი მზად არის შეებრძოლოს რებეკას მოსარჩლე რაინდს.

— ფიცი ხომ მიიღო, რომ თავის მოვალეობას პატიოსნურად შეასრულებს? — ჰკითხა დიდმა მალისტრმა. — მომიტანეთ აქ ჯვარცმის ხატი.

— მალალ-ღირსო მამაო! — მიუგო მალგოაზენმა. — ბრიანი აქ არის და უკვე დაიფიცა კონრად მონ-ფიტშეტის თანადასწრებით, რომ თავის მოვალეობას სვინიდისიერად შეასრულებს.

მალგოაზენის სასიხარულოდ დიდი მალისტრი დაკმაყოფილდა ამ პასუხით. ცბიერმა რაინდმა ეს საშუალება იმისთვის მოიგონა, რომ იცოდა ბრიან დე ბოა გილბერი ასეთს-ფიცს არ მიიღებდა.

დიდმა მალისტრმა რომ მალგოაზენის მოხსენება მოისმინა, გეროლდებს თავის მოვალეობის შესრულება უბრძანა. გაისმა საყვირის ხმა და გეროლდმა გემოაცხადა: — გაიგონეთ, გაიგონეთ, გაიგონეთ! აქ სდგას რაინდი ბრიან დე ბოა გილბერი, რომელიც მზად არის შეებრძოლოს რებეკას მოსარჩლე რაინდს. — კვალად გაისმა საყვირის ხმა და შემდეგ რამდენსაწე წამს სიჩუმე ჩამოვარდა.

— გაიგონეთ, გაიგონეთ! აქ სდგას რაინდი ბრიან დე ბოა გილბერი, რომელიც მზად არის შეებრძოლოს რებეკას მოსარჩლე რაინდს.

— დამნაშავეს მოსარჩლედ არავინ გამოდის, — სთქვა დიდი მალისტრმა. — გეროლდო, წადი და ჰკითხე ქალს, ხომ არაფის მოვლის ისეთს რაინდს, რომელიც მის დასაცველად ჩმლითა და შუბით იბრძოლებს. — გეროლდი წავიდა იქით, სადაც რებეკა იჯდა, ბოა გილბერმაც მოატრიალა ცხენი და გეროლდს უკან გაჰყვა, ასე რომ ორივენი ერთად მივიდნენ რებეკასთან, მალეოაზენი და მოწ-ფიტ-შეტი უჩრევედნენ გილბერს წრებეკასთან არ მისულიყო.

— კანონიერია ასეთი საქციელი ბოა გილბერისა? — ჰკითხა მალეოაზენმა დიდ მალისტრს.

— დიად, ალბერტ მალეოაზენ; თქვენ კარ მხეგითლიანთ დაუშალოთ მოწინააღმდეგეთ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა, რადგანაც ამით შეიძლება სიმაძრულე გამოირკვეს.

გეროლდი კი რებეკას ეუბნებოდა: — ქალო! ჰატივცემული და მალალ-ღირსი მალისტრის ჰკითხავს შენ: გყავს თუ არა რაინდი, რომელიც დღეს შენს დაცვას იკისრებს, თუ კანონიერად სთვლი შენს შესახებ დადგენილს გადაწყვეტილებას?

— მრახსენე დიდ მალისტრს, რომ ჩემს თავს კუდრე ამოუშლოდ ვთვლი და განაჩენს უსამართლოდ, მოახსენე, რომ ჩემ კიდევ ვთხოულობ ვადას და იქნება ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა, რომელიც დიდს გაჭირვებებში უფრო მეტეველება ქაცს, მეც გამომიგზავნოს მფარველი; ამ ვადის უასვლის შემდეგ კი იყოს ნება უფლისა.

— ღმერთმა დაგვისხნას, — სთქვა ლუკა ბომნოარმა; — რომ ურთამ, ან წარმადთმა უსამართლომ დაგეწამოს! ვიდრე ჩრდილი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არ ვადიზრება, ჩენი ამ უბედური ქალის დამცველს მოვუცდიოთ ამდეს შემდეგ კი დავიფი სასიკვდილოდ მოგეზადოს.

გეროლდმა დიდი მალისტრის სიტყვები შეატყობინა რებეკას, რომელმაც შიდაბლად თავი დაიხარა, შემდეგ ხელები გააბჰყო და ცას დაუწყა ცქერა; იგი თითქოს მალლიდან მოე-

ლოდა შველას, რადგანაც იმედი დაჰკარგა, რომ კაცთა შორის ვინმე გამოსჩენოდა დამცველი. ამ დროს მას მოესმა ბოა გილბერის ხმა; ფუმცა ეს ხმა მხოლოდ ჩურჩულსა ჰგავდა, მაგრამ რებეკა ამან უფრო შეაძრწუნა, ვიდრე გეროლდის ნაწყვეთმა სიტყვებმა.

— რებეკა, — უჩურჩულებდა ბრიანი, — ყურს მიგდებ თუ არა?

— მე შენთან სჯემე არა მაქვს, სასტიკო, ჭგრძნობელო კაცო! — წარმოსთქვა უბედურმა რებეკამ.

— ჩემბ სიტყვები ხომ გესმის? ჩემი ხმა თვითონ მეც მაძრწუნებს. ძლივს მივხვედრილვარ, სადა ვარ და რად მოუყვანივართ ვეხა. ამ მგერდნის, ამ საეარძლის და ამ კოცონის მნიშვნელობა მე კარგად ვიცი, მაგრამ ჩემთვის იგინი თითქოს არც კი სუფევენ. ყოველივე რაღაც საშინელ მოჩვენებად მეღანდება თვალეში, რომელიც ჩემს გრძნობას აოცებს და გონებას კი არ არწმუნებს.

— ჩემი სული და გრძნობანი, — მიუგო რებეკამ, — მეუბნებიან, რომ ეს კოცონი ჩემი სხეულის დასაწველად არის მომზადებული და თუმცა დიდი სატანჯველი მომელის, მაგრამ ამ სატანჯველს მალე მოედება ბოლო და მეც გადავსახლდები სხვა უფრო კარგ ქვეყანაში.

— რცნება რებეკა, რცნება! ეგ რცნებანი უარყოფილი თვით თქვენი ბრძენი სადუკეველებისაგან! გამიგონე რებეკა, — განაგრძო ბოა გილბერმა დიდის მღელვარებით, — შენ ჯერ ახალგაზდა ხარ და ნება გაქვს დასტკებ სიცოცხლითა და თავისუფლებითა. შემომიჯექ ცხენზედ, ჩემს საყვარელს ცხენზედ, რომელსაც არას დროს არ უღალატნია თავის მხედარი-სათვის, მე ეს ცხენი ასპარეზობაში მოვიგე ტრაპიზონის სულთანისაგან, — შემომიჯექ, გეუბნები და რამდენიმე წამის შემდეგ ჩვენ ველარაგენ გვაოვის; შენთვის გამოჩნდება ახალი ქვეყანა განცხრომისა, ჩემთვის კი ახალი ასპარეზი დიდების შესაძენად. დაე მათ გამასამართლონ, დაე მათ ამომშალონ თავიანთი მონასტრის მონათა სიიდან! მე სისხლით ჩამივრცხე ყოველნი საეე ლაქას, რომელსაც იგინი მთსცხობენ ჩემს გერბზე

— განვედი ჩემგან, მაცდურო! — დაუყვირა რებეკამ, — თუთხა ამ სიკვდილის წამშიაც ვერ შეარყევ ჩემს მტკიცე გადაწყვეტ ტრეობას. მე შენ ჩემ დაუძინებელ მტრად გთვლი. გამშორდი, თუ დემრთი გრწამს.

მათი დიდი ხნის ლაპარაკით შემფოთებული ალბერტმა მალეა ჩუნი მიუახლოვდა მოსაუბრეთ და ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— ალიარა ქალმა თავისი დანაშაული? — ჰკითხა მან ბრინჯა — თუ ისევ ისე მტკიცედ სდგას თავის სიტყვაზედ?

— დიალ, მტკიცედა სდგას, — მიუგო ბოა გილბერტმა.

— მაშ ჩემო კეთილშობილო ამხანაგო, — განაგრძო მალ-ვოაზენმა, — შენ შენს ბინაზედ უნდა დასდგე და საქმის გათუქ ვებას მოუყადაო. საცაა მზე გადიწვერება? წამოდი, მამაცო ბოა გილბერტო, წამოდი, იმედო ჩვენის წმინდა ორდენისა, ცნო მოლის უფროსადაც მალე შეიქმნები.

ალბერტმა რაინდის ცხენს სადავე დაუჭირა და ზუნდრდა წაყვანა.

— ცბიერო, რაპირო მალეოაზენ! — და გაიძულეებს ჩემო ცხენის სადავის დაქერას? — დაუყვირა მრისხანედ ბრინჯა, სა-დავეს ხელი გააშვებინა და ასარეზზედ გავიდა.

ეს კაცი მეტისმეტი გულადია, — უთხრა მალეოაზენმა მონ-ფიტშეტს ჩუმად. — ოხ, მას რომ ქარგინ მიმართულედაც ჰქონდეს! მაგრამ იგი ბერძნების ცეცხლისაგანა ყველაფერს სწავს, რასაც კი მიეკარება.

მოსამართლენო ორს საახსისხდენ ასარეზზედ და მალე ელოდნენ რებეკას დამცველს რაინდს.

— ჩემს ორდენს ვფიცავს, — ბერძნებო, — რომ ასეხი ახალგაზდა მშვენიერი ქმნილება უეჭველად უნდა დაი-ღუბოს და მის დასაცველად ხმალოს არავინ ამოტრეხს მით უმეტეს, რომ იგი ურჩის ქალია.

საზოგადოდა ყველანი ფიქრობდნენ, რომ არავინ არ იკი-სრებდა და ღრც გაბედავდა ურჩის ქალისთვის ხმლის ამოღებას, რადგანაც მას ჯადოქრობას აბრალბდნენ! მალეოაზენისაგან შე-გულიანებული რაინდები კი ჩუჩულებდნენ ერთმანეთს და ღრო

არის რებეკას წინდო ბრძოლისა უკან დაუბრუნდესო. ამ დროს გამოჩნდა შორს რაინდი, რომელიც ცხენს ძალზედ მოაქენებლახანაღბმა ყვირილი შექნა: „დამცველი მოდის, დამცველი!“ თუმცა ხალხს ცრუ-მორწმუნება ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარად მაგრამ როდესაც მოსული რაინდი ასპარეზზედ გამოვიდა, დიდის აღტაცებით მიიღო. ხოლო როცა რაინდის ცხენი დაჩნდა, ცოტა არ არის იმედი დაეკარგა. ცხენს დიდი-მანძილი გამოველო და დაღლილობისაგან ტარტმანობდა, თვით რაინდიც დაღლილობისგან უნაგირიდან გადმოვარდნას ლამოდა.

— უფრო აღესაყვაროლდმა ჰკითხა მას, რა წოდებისა ხარ, სახელად რა გქვიათ და რა განზრახვით მოსულხარო, უცნობმა რაინდმა მიუგო საჩქაროდ და გაბედვით:

ძილი — მე პატიოსანი და კეთილშობილი რაინდ-ვარ, მოვედრე აქ იმისთვის, რომ ხმლითა და შუბით დავამტკიცო უდანაშაულობა ამ იორკელის ისაკის ქალის რებეკასი და ამით გავანთავისუფლო იგი იმ უსინდისო და უსამართლო სასჯელისაგან, რამელიც მისთვის გადაუწყვეტიათ. ამისათვის მზად ვარ შევებრძოლო ბრძან ტყუილსა გილბერს, როგორც მოლაღატეს, განმყიდველს და მატყუარს; ყოველივე ეს შემძლიან დავამტკიცო ამ შეიდანზედ მადლოთა ღვთისათა და შეწვევითა ღვთისმშობლისა და განთქმულის რაინდის წმინდა გიორგისა.

— უცნობმა რაინდმა ჯერ უნდა დაამტკიცოს, რაჟამ იგი პატიოსანი და კეთილშობილი რაინდია, — უთხრა მალგოაზენმა. — წვენი ტაძარი თავის რაინდებს არ აბრძოლებს ისეთს რაინდებთან, რომელთაც ჯერ სახელი არ მოუხვეჭიათ.

სიბი — ჩემი სახელი, მალგოაზენ, — მიუგო რაინდმა და პირი გამოიჩინა, — შენს სახელზედ უფრო გამოჩენილია და ჩემი სისხრი შენს სისხლზედ უფრო წმინდაა! მე ვიღებდე აივენგო ვარ.

— იგი — მე უხვლია შენთან ზარ ვიბრძოლებ, — უთხრა ბოძ გილბერმა, — განიკურნე ჭრილობანი, იშოვე უკეთესი ცხენი და მას შენ იქნება სასრახისად აღარ ჩავთვალო შენთან ბრძოლა, რაჟამ თავხელურე გამხედლობა შეგანანო.

— სპო! ზვიადო! ტაძრის წინააღმდეგ, — შესძახა აივენგომ, — განა დაგავიწყდა ორჯელ რომ ცხენიდან გადამოგვადგე შუბითა? მოიგონე აშბის ასპარეზობა, მოიგონე შენი ამჟამი სიტყვები როტერფუდის ციხე-დარბაზში და სანაძლოად დადებულ ორგანიზაციას ოქროს ძეწკვი და ჩემი სანაწილე, რომ უსათუოდ იბრძოლებოდი ჩემთან და აღადგენდი შენს დაკარგულს დიდებას. ამ სანაწილეს ვფიცავ, რომ შენს სიმბდალეს მთელს ქვეყანაში ვფიცავ ფენ, თუ ეხლავე არ იბრძოლებ ჩემთან.

ბოა გილბერტი ჯერ რებეკას გადახედა და მერე აივენგომ შესძახა ამაყად: საქონელია ძალლო! აიღე შენი შუბი და სასიკვდილოდ მოემზადე, რომლის მიზეზიც თვითონ შენ იქნები!

— ნებას მაძლევს დიდი მალისტრი შებრძოლებისას? — ეკითხება აივენგომ.

— არ შემიძლიან ნება არ მოგცე, — მიუგო ბრძანდარმა, — თუ კი ქალი ფავის დამცველად გირჩევს. მაგრამ კარგი უკმ იქნებოდა ჯერ კარგად გასაღებულ ყავა ჭრილობისაგან და შეუბრე გებრძოლა. თუმცა შენ ყოველთვის ჩვენი ორდენის მტერი რი ხარ, მაგრამ ბრძოლა მაინც წესისამებრ მოხდება.

— ავადა ვარ, თუ კარგად, ბრძოლა ეხლავე უნდა მოხდეს, — შესძახა აივენგომ: — მე ღვთისთვის მიმინდვია ჩემთათვის რებეკა, — უთხრა მან და მიუახლოვდა, — მალიარებ შენსა დამცველად, თუ არა?

— გალიარებ, გალიარებ! — უთხრა მან მღელვარებით, — გალიარებ ჩემს დამცველად, ჩემს ნუგეშად. მაგრამ, არა, არა, არა, კრილობანი ჯერ არ მოგჩენია. ნუ შეებრძოლები ამთავებელ კაცს!.. ნუთუ შენ ასე უნდა დაიღუპო?

მაგრამ აივენგო უკვე ბრძოლის მერდანაშენდ გავდახდნა შუბი აშრთა; ბოა გილბერტი ასევე მოიქცა: საქურვლის მტერი რთველმა შენიშნა, რომ გილბერი, რომელსაც მთელი დღის მღელვარებისაგან მომაკვდავის ფერი ედო, ეხლა უეცრად გაწითლდა.

გეროლდმა რომ ორივე რაინდი თავ-თავის ადგილას დამდგარი დაინახა, ხმა-მალა სამჯერ დაიძახა: „შეასრულეთ თქვე-

ნო. მოვაფრთხილეთ ცნობა რაინდსო! — სამჯერ დაძახების შემდეგ რგი გვერდზედ გადა და გამოაცხადა, რომ ვინც რაინდებს ბრძოლის დროს ან სიტყვით და ან საქმით ხელს შეუშლის, სიკვდილით დაისჯებაო. დიდმა მალისტრმა რებეკას წინდი ხელთაყმანი გადაადლო და დაუძახა: დაიწყეთ!

— სამა საყვირები დაუკრეს. რაინდები ერთმანეთისკენ გაექანენ. როჯორც ყველა მოელოდა, დალილიმა აივენგოს ცხენმა და არა ნაკლებ დალილიმა მისმა მხედარმა ვერ გაუძღეს. ბოა გილშერის შუბსა და ცხენსა. ყველამ იცოდა რითაც გათავდებოდა ეს ბრძოლა; თუმც აივენგოს შუბი ოდნავ მოხვდა გელობრის ფარს, მაგრამ უეცრად დაბარბაცდა იგი და ცხენიდან გადმოვარდა, რამაც ყველანი გააკვირვა.

აივენგომ განითავისუფლა ფეხი წაქცეული ცხენის უზანგოდან და ხმლით გაექანა გილბერისაკენ, მაგრამ გადმოვარდნილი რაინდი ვეღარ წამოადგა. ვილფრედმა ფეხი დააჭირა გულზედ ხმლის წვერი გულში დააჭირა და ეუბნებოდა დამმორჩილდით, მაგრამ ბოა გილბერი პასუხს არ აძლევდა.

— ნუ მოჰკლავ, ბატონო რაინდო! დაუყვირა დიდმა მალისტრმა, — უაღსარებოდ მის სულსა და ხორცს ნუ დაღუპავ. ჩვენ მას დამარცხებულად ვთვლით.

— ამის შემდეგ ბომანოარი ჩამოვიდა თავის ადგილიდან და უბრძანა დამარცხებული რაინდისთვის ზუჩი მოეხადათ. ბრიანს თვალები დაჰხუჭოდა, სისხლი ჯერ ისევ სახეში ჰქონდა მოწოლილი.

როდესაც ყველანი გაკვირვებით უცქეროდნენ ბოა გილშერს, ამ დროს მან უეცრად გაახილა თვალები, მაგრამ ვერ ამოძრავებდა კი; მოწოლილმა სისხლმაც გადაუარა და სამაგიეროდ სამარის ფერს დაედო, იგი მოკვდა თავის გულის თქმათა დელოვისაგან.

— სწორედ, ღმერთმა დასაჯა! — წარმოხსთქვა დიდმა მალისტრმა, თვალნი ზეცისადმი ალახენა და სთქვა: — იყავნ ნება უფლისათვის და იმედი იქონიე იმისა, რომელიც იმისთვის

— ცნო იტოლორისცნა: ახეხათ, რეჯნამ ათუენ-ანბ, აძაბიდე იბეფე

ტოტო და იფიცილი იბრუნებოდა მთელი სიფრთხილით  
და სწრაფად მიჰქროდა თანდათან იქამდე, სადაც  
თავი მოსდებოდა. მისი ხმა იყო მშვენიერი.

— იცნობენ თუ არა იმდენს, რამდენსაც მე ვიცი? —  
თქვა მან, როდესაც მისი ხმა დაიწყო.

— მცირე ხნის გაოცების შემდეგ, ვილფრედ აივენგომ ჰკით-  
ხა დიდს მალისტრს, როგორც ბრძოლის მსაჯულს: სამართლი-  
ანად და ვაჟკაცობად სთვლი ჩემს საქციელს თუ, არაო?

— შენი საქციელი ვაჟკაცურიც იყო და სამართლიანიც, —  
წაწმინდავს ბოძანა მან: — ვაცხადებ, რომ ქალბატონი თავისუფალი  
და უდანაშაულოა, ხოლო მიცვალებული და მისი თარაღი — შენ  
ნი სურვილისთვის მოგინდვია.

— მე მას იარაღს არ წაეღებ, — მიუგო აივენგომ, — და  
მის გვაშაც შეურაცხებას არ დავაყენებ: იგი ქრისტიანობის  
თვის იბრძოდა; ღვთის ხელმა და არა კაცის ხელმა მოუღწია  
მას ბოლო, მაგრამ დაე მისი დამაჯინებელი მოხდეს,  
რადგანაც უსამართლო საქმისთვის მოკვდა. რაც შეეხება ქალს...

აივენგომს ლაპარაკი ცხენების თქარა-თქურმა შეაწყვეტინა:  
მეტიდან ზედ გამოვიდა შავი რაინდი მას უკან მოსდებდა მხედარს  
თა რაზმი და რამდენიმე შეიარაღებული რაინდი.

— დავიგვიანე, — სთქვა მან, როდესაც მიიხედა-მოიხედდა  
ბოა გილბერს მე თვითონ მინდოდა შევბრძოლებოდი. ეს რა კარ-  
გია შენგან, აივენგომ, რომ ავადმყოფი კაცი ამისთანა საქმეს  
კისრულობ?

— თვით ღმერთმა დასაჯა ეს გულზვიადი კაცი, ჩემო  
ხელმწიფე, — მიუგო აივენგომ. — იგი ღირსი არ ყოფილა თქვენს  
ხელით მამკვდარიყო.

— ღმერთმა განუსვენოს, თუ კი ამის ღირსი იქნება, — მიუგო  
რიჩარდმა და დააცქერდა გაშხლართულს გვამს გილბერისას, — იგი  
მამაცი მეომარი იყო და ისეც მოკვდა, როგორც ნამდვილი რა-  
ინდი. მაგრამ დროს ნულარ დავკარგავთ, ბოგუნო, შენი მოვლ-  
ეობა შეასრულე.

რიჩარდის ამალიდან გამოვიდა წინ ერთი რაინდი, ალბერტ მალვოაზენს მხარზედ ხელი დაადო და უთხრა: მე შენ გატყვევებ, როგორც მსხველმწიფოს მოლაპარაკეს.

დიდი მალისტრი აქამდინ გაკვირვებული იყო მრავალ მემართა დანახვით; ზუსლა კვალად დაიწყო ლაპარაკი.

— ვინ ბედავს ტაძრის რაინდის დატყვევებას იმის საკუთარ პრეცედენტორიის კედლებ შორის, მეტადრე მაშინ, როდესაც მე ვარ? ვისი ნებით გვაყენებთ ამ შეურაცხყოფას?

— მე ვატყვევებ, — მიუგო რაინდმა, — მე გენობს ბოგუნდ ვარ, ვაჟი აესკესელტ, დიდი ლორდი ინგლისისა.

— იგი ატყვევებს, — დასძინა მეფემ და პირისახე გამოიჩინა, — ბრძანებთა რიჩარდ პლანტაგენეტისათა, რომელსაც ეხლთ ქვენს წინაშე ხედავთ. — ბედნიერობა, კონრად მონ-ფიტუეტომ დომჩემს ქვეშევრდომად არ დაბადებულხარ. მაგრამ შენ კი, მალვოაზენ, ერთი ტვირაც არ გაივლის, რომ წუთი-სოფელს გამოვასკომებ.

— მე ვაგ. განაჩენს წინასტყულები, — უთხრა დიდმა მალისტრმა.

— ვაწინდლო ტაძრის რაინდო, — უთხრა მეფემ, — ეგ შენ ხელთ დარჩის. შეხუდე შენს კოშკებზედ მუშის ბაირალი ღრიკალებს და არა შენს ტაძრის დროშა! გონიერება იქონიე, ბო მანათრე შენ ხელს ლომის ყბაში გიძევს.

— მე რომის წინაშე ვიჩივლებ, — შეჰყვირა დიდმა მალისტრმა.

— დაე აგრე იყოს; მაგრამ სჯობს კი შენის ამალით სხვა რომელსამე პრეცედენტორიაში წახვიდე, რომელიც არ იყოს ბუნატი ინგლისის მოლაპარაკეთა და შეთქმულთა, ხოლო თუ გინდა დარჩი აქა და მოწამე იყავ ჩვენის მართლმსაჯულებისა.

— სტუმრად დავრჩე იმ სახლში, სადაც მბრძანებელი უნდა ვიყო? — უთხრა დიდმა მალისტრმა. — არასდროს! რაინდნო, საკურჯლის მტერთველნო და მოსამსახურენო წმინდის ტაძრისა, მოგზადენით და დროშას გაჰყევით უკან.

დიდი მალისტრი დიდის ღირსებით დაპარაკობდა და ამით ამხნევებდა თავის გაოცებულს და შემკრთალს რაინდებს. იგინი ისე ჯგუფდებოდნენ ბომანოარის გარშემო, როგორც ცხვრები მწყემსის ახლო, როდესაც მგლის ხმას გაიგონებენ ხლომე.

როდესაც გრაფმა ესეკსმა დანახა, რომ ტაძრის რაინდებმა ერთად მოიყარეს თავი, მაშინ შემოჰკრა დეზები თავის ცხენს და თავის რაზმი საბრძოლველად მოამზადა. რიჩარდმა ჩაუარა წინ ტაძრის რაინდებს, და უთხრა: რას შვრებით ბატონებო? ნუ თუ მაგდენ რაინდთა შტორის ჩემთან ბრძოლას ვერავენ გაბედავთ?

— ტაძრის რაინდნი, — უთხრა დიდმა მალისტრმა და წიწწ წამოდგა, — ამისთანა უბრალო საქმისათვის არ იბრძვიან და გუნსაკუთრებით უფრო თქვენთან, რიჩარდ ინგლექსლო. პაპი და ევროპის მეფენი იქნებიან ჩვენ შორის მსაჯულნი: იგინი გადასწყვეტავენ, შეჰფერის თუ არა ქრისტიანს მეფეს ისეთი საქმის გამოსარჩლევა, როგორსაც ეხლა შენ ესარჩლები. თუ ჩვენ ხელს არავინ გვახლებს, არც ჩვენ დავესხმით არავის თავს და ისე წავალთ ჩვენს გზაზედ. თქვენს პატიოსნებას ჩავაბარებთ აქ დატოვებულს ჩვენს იარაღს და ქონებას და შენი სინილისი იქნება პასუხის მგებელი იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც საქრისტიანოს მიაცენე.

ამის შემდეგ დიდმა მალისტრმა თავის ხალხს ანიშნა წასასვლელად მომზადებულიყვნენ. საყვირებმა აღმოსავლეთის მარში დაუკრეს და ყველანი წყნარის ნაბიჯით გზას გაუდგნენ. იგინი ისე მწყობრად და ღინჯად მიდიოდნენ, თითქოს მტერს ეუბნებოდნენ — ჩვენ შენი არ გვეშინიანო.

— ღვთის-მშობელს ვფიცავ! — სთქვა შეფე რიჩარდმა, — ძლიერ ვწყუხარ, რომ ამ რაინდთა ერთგულობა მათს სიმამაცეს და გაწვრთნილობას არ შეეფერება.

როგორც მშიშარა ძალი, რომელიც მგელს მხოლოდ მაშინ უწყებს ყფას, როდესაც ეს კუკანასკნელი ზურგს შეეკრეპვს ხლომე, ხალხიც ისე მოიქცა ეხლა: ჯერ ჩუმად იყო, მა-

გრამ როდესაც დაინახა, რომ ტაძრის რაინდები სულ ერთიანად წავიდნენ, ერთი სიხარული და აღიაქოთი შეუდგა.

ხალხის ჩოჩქოლის გამო რებეკას არ დაუნახავს რაინდების წასვლა. იგი გულ-წასული ჩაჰკროდა თავის მამას და აღარ შორდებოდა. მაგრამ ისაკის ერთმა სიტყვამ იგი გონზედ მოიყვანა.

— წავიდეთ, — უთხრა მან, — ჩემო საყვარელო ასულო, ჩემო ახლად ნაპოვნო საუნჯევ, წავიდეთ და გულ-კეთილი ქაბუკის წინაშე მუხლი მოვიდრიკოთ!

— არა, ვგრე არა, — მიუგო რებეკამ; — ოხ, არა... არა... არა... მე ეხლა არ მინდა ველაპარაკო იმას... მე უსათუოდ უფრო ბევრს ვეტყოდი, ვიდრე... არა, მამა-ჩემო, ეს ბოროტების ადგილი დაუტყვეოთ!

— როგორ წავიდეთ ისე, რომ მადლობა არ გადავუშნოდოთ იმას, რომელმაც თავის თავი არ დაზოგა და შენს გამოსახსნელად მოვიდა შუბითა და ხმლითა და დაგისნა კიდევ არა, ჩვენგან იგი დიდი პატივისცემის ღირსია.

ამ ორივე თეორიის ერთად მოთაქსება მოინდობა ერთმა გერმანელმა სწავლულმა რაუბერმა (Ranber), რომლის აზრითაც რძე მზადდება არა ბუტკების გადაგვარებით, არამედ სისხლას თეთრ მარცვლებადან (როგორც ვაცით, სისხლში ორგვარი მარცვლებია ანუ სხეულები — თეთრი და წითელი), ანუ ეგრედ წოდებულ ლიმფატიურ სხეულებიდან ამათის გადაგვარებით. რაუბერმა გამოიკვლია და დარწმუნდა, რომ მწველელი ძროხის ცურში სისხლის მიღები პირდაპირ არ არიან მიკრულვ

ნი ბუშტუკების გარსზე, არამედ მათ შორის დაგებულია ლიმფის მილები, რომლებიც წველის დროს სავსენი არიან თეთრ მარცვლებით; ეს უკანასკნელები გადადიან ბუტკების შინაგანში და მათი ზედ-მოქმედებით ანუ მათი შემწეობით რძის შემადგენელ ნივთიერებად გადიქცევიან. რაუბერის აზრით, ვიდრე ხბო დედის მუცელშია, იმის საკვებავად სისხლიდან მიდის თეთრი მარცვლები (ხბოს ჭიპის შემწეობით) და რადგანაც ხბოს დაბადების შემდეგ ეს მასალა საჭირო აღარ არის, ამიტომ ეს თეთრი მარცვლები საშვილოსნოში აღარ მიდის, არამედ პირდაპირ ძროხის ძუძუში გადადის და ამ სახით გრძელდება შეწყვეტილი კვება ახლად დაბადებულ ხბოსი. თუ რაუბერის აზრი მართალი გამოდგა, დამტკიცდება, რომ რძის მასალა პირდაპირ სისხლიდან მოდის ძუძუში და მაშ ერბოსი, შაქრისა და ხაჭოს მასალა ბუტკები კი არ იქნებიან, არამედ სისხლის თეთრი სხეულები. ახლა კი მხოლოდ ერთის თქმა შეგვიძლიან, იმისა, რომ რძის შემადგენელი წყალი პირდაპირ სისხლიდან მოდის და ექსტრაქტული ნივთიერება კი თვითონ ძროხის ძუძუში ასე თუ ისე მზადდება რომლისამე ნივთიერების გადაგვარებით. იქნება რაუბერის აზრი უფრო მართალი იყოს, ამაზე გადაწყვეტილ რამეს თქმა არ შეგვიძლიან, მაგრამ ეს კი საგულისხმოა, რომ იმის აზრს ფიზიოლოგიის მხრით ბევრი საფუძველი აქვს.

ხსენა, მისი შედგენილება და მნიშვნელობა. ხსენი ანუ ის რძე, რომელსაც ძროხა პირველ დღეებში იწველის, ხბოს მოგების შემდეგ, ნორმალური რძიდან მით განირჩევა, რომ შიგ ბევრი ეგრედ-წოდებული „ხსენის სხეულები“ ურევია და ამასთან შედგენილება და თვისებაც სულ სხვა აქვს. ხსენის სხეულები ან რძის ჯირკვლის ბუშტუკების კანის შინაგანი ბუტკებია და ან სისხლის თეთრი მარცვლები. რამდენადაც ბევრი დრო გადის ხბოს მოგების შემდეგ, იმდენად მცირდება რძეში ეს ხსენის სხეულები და ბოლოს სრულებით აღარ მოიპოვება; ამისთვის საჭიროა 3—14 დღემდინ (ძროხის პიროვნული თვისების დავარად). ხსენი ყვითელი ფერისა არის, სუნი სასიამოვნო არა აქვს და გემოთიც მლაშეა; ცოტად ტუტის რეაქცია

აქვს და დიდი სიმჭირხნე, თითქმის 1,080 და არა ნაკლებ 1,040; რადგანაც ხსენში ბევრია აზოტიური ნივთიერება, ამისათვის ამის წაღება არ შეიძლება, მაშინვე ახაჰოვდება, ესე იგი გასკელდება და შედგდება. ღვრიტის მიმატებით ან არ შედგდება და თუ შედგდა, მაინც მთლად არ იქნება შედგებული. ამ ხსენის შედგენილების და ზედ შეცვლის გამოსაკვლევად ეგზერინმა და სხვებმაც ბევრი გამოცდილება მოახდინეს და აღმოჩნდა, რომ საშუალო შედგენილება და ურთიერთი რაოდენობა მის შემადგენელ ნივთიერებათა ასე იცვლებიან (გამოსაკვლევად აღიყვანეს 8 წლის ძროხა, მეექვსე ხბოს დროს):

	სიმჭირხნე.	ექსტრაქტი.	ერბო.	ხაჰო.	ალბუმინი.	შაქარი.	ნაკლები.
ხბოს მოგების უმაღლესი	1,068	26,68	3,54	2,65	16,56	3,50	1,18
10 საათის შემდეგ	1,046	21,23	4,64	4,28	9,89	1,42	1,55
24 — — —	1,043	19,87	4,75	4,50	6,25	2,85	1,03
48 — — —	1,042	14,19	4,21	3,25	2,31	3,46	0,26
72 — — —	1,035	13,86	4,03	3,88	1,03	4,10	0,82

ორი წლის ძროხა, პირველი ხბო.

ხბოს მოგების უმაღლესი	1,071	27,70	3,11	3,20	15,85	1,35	1,04
ხუთი დღის შემდეგ	1,033	13,15	3,94	2,86	1,42	4,55	0,88

აქედან ცხადია, რომ პირველ დღეების რძე, ხსენი ბევრად განირჩევა ჩვეულებრივის რძისაგან და განსაკუთრებით ექსტრაქტის რაოდენობით, რომელიც გამოწვეულია ალბუმინის რაოდენობის გადიდებით; ნორმალურ რძეში ჩვეულებრივ ექსტრაქტის რაოდენობა არის 12—13%, ხსენში კი თითქმის 30% აღის და ამაში ალბუმინის რაოდენობა 16—17%, როდესაც ნორმალურ რძეში 0,6% არ გადასცილდება; ამას გარდა პირველ რძეში მარილების რაოდენობაც გადამეტებულია და ამით მტკიცდება ის წინადადება, რომ რძე ან სისხლის თეთრ მარცვლებიდან მზადდება და ან თითონ ტანის ქსოვილისაგან (ეპიტელიის ბუტყებიდან). ხსენის შედგენილება კოვლოვის ერთგვარი არ არის და თანდათან იცვლება, ვიდრე სრულიად არ მიემსგავსება ნორმალურ რძეს. ზოგიერთ სწავ-

ლულები იმასაც იხსენიებენ, რომ ხსენში მყოფი ერბოც განირჩევა რძის ერბოსგან და აგრედვე შაქარიც, რომელიც რძის შაქარს კი არა ჰგავს, არამედ ყურძნის შაქარს.—ამას გარდა ხსენის ნაცარში ფოსფორის სიმეავის რაოდენობა აღის 41,33%, თითქმის თითონ ნაცრის ნახევარია და ეს სხეული რძის ნაცარში კი მხოლოდ 27,68 შეადგენს.

ხსენი ახალ-მოგებულ ხბოს საკვებად არის დანიშნული და უფრო მიემსგავსება იმ საკვებას, რომლითაც დედის მუცელში იკვებებოდა; მაშ ეს რძე ხბოსთვის უფრო სასარგებლო და შესათვისებელი და კარგად მოსანელბელი საკვებაა, ვიდრე ნორმალური რძე. ამისათვის ხსენი მთლად ხბოს საკვებად უნდა იყოს დატოვებული. ამ გარემოებაში ძროხის მოწველა უსარგებლოც იქნება, რადგანაც ხსენი კაცისთვის ძნელი გამოსაყენებელია: გათბობით მაშინვე ახაჭოვდება და ამასთან ცუდი სუნი და გემო აქვს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ რძეს ბევრი ერბო აქვსო და ამისათვის სდღვებავენ, მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, ხსენში ერბო უფრო ნაკლებია, ვიდრე რძეში და ამასთან ისეთი ცული თვისებაა აქვს, რომ შედღვების დროს ერბოს მოგროვებას აძნელებს და, მაშასადამე, სადღვებლისთვის მავნებელია. აგრედვე არც ყველის მასალად ვარგა; მისგან მომზადებული ყველი კარგად ვერა მწიფდება. მაშ ყველაზე კარგი ის იქნება, რომ ხბოს საკვებად დასტოვონ, და თუ ბევრია, მაშინ ლეკვებსაც აქამონ.

### შ) სხვა-და-სხვა გარემოებანი, რომელნიც ჰომოქმედობენ

#### რძის წარმომავლობასა და თვისებაზე

წინაღ მოვიხსენეთ, რომ რძის რაოდენობასა, შედგენილებასა და აგრედვე მომზადებაზედ ასე თუ ისე ჰომოქმედობენ სხვა-და-სხვა გარემოებანი, რომელთა შორისაც იმყოფება ძროხა; აქ ცული არ იქნება ორიოდე სიტყვით, გაკვრით, გავარჩილთ ეს გარემოებანი და მათი მნიშვნელობა.

1) აგებულების და ჯიშის კავლენა. რძის მომზადებასა და მის შედგენილებაზე უფრო დიდი გავლენა აქვს ძროხის აგებულებას და მის ჯიშს. წინადაცა ვსთქვით და ეხლაც გავიმეორებთ, რომ, თუმცა კარგი საკვებავი და მოვლა საჭიროა ძროხისთვის, მაგრამ მაინც ამით ჩვენ ვერ შევცვლით რძის შედგენილებას; მართალია, როგორც ამბობს ფლეიშმანი, ყოველი ლუკმა საკვებავისა და ყოველგვარი ყურადღება უეჭველად რძედ იქცევაო, მაგრამ რაოდენობა და თვისება რძისა მაინც უპირატესობით დამოკიდებულია ძროხის საკუთარ პერადს აგებულებასა და თვისებაზე: თუ თვითონ ძროხა კარგი და კარგის ჯიშისა არის, რძეც კარგი იქნება და პირიქით ცუდი ძროხის რძეს ველარა გამოაკეთებს-რა. ჯიში, როგორც ვიცით, არის ის თვისება ანუ თვისებანი, რომელიც მოულოვებია დიდი ხნის ვარჯიშობით და დიდი ხნის ბუნების გავლენით რომელსაჲე ჯგუფს, რომლის წევრნიც თითქმის ერთგვარად არიან მოსულნიც ერთგვარი ტანი, შეხედულობა და წონა აქვთ და ერთგვარი თვისებანი, საკვებავის შეთვისება, საწველავი ძუძუს, ცურის განვითარება და სხვანი. რადგანაც პირადნი თვისებანი ჯიშზეა დამოკიდებული, ამისგანო ჯიშის მნიშვნელობაც ცხადია. ჯიშს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ სხვა-და-სხვა ჯიშს სხვა-და-სხვა ფასი აქვს; არიან იმისთანა ჯიშის ძროხები, რომლებიც ბევრ რძეს იწველიან და იმისთანანიც, რომლებიც, თუმცა ბევრს არ იწველიან, მაგრამ მათი რძე ან ძალიან სუქანია და ან ბევრ-ბაჭოიანი. ამასთან, რასაკვირველია, ესეც შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე ჯიშის ძროხების რძის რაოდენობასა და შედგენილებაში დიდი განსხვავება აღმოჩნდეს; ხშირია, რომ განთქმული ჯიშის ძროხა ან ცოტას იწველიდეს სხვა ამავე ჯიშის ძროხებზე და ან მისი რძე ან ისე სუქანი არ იყოს და ბაჭოიანი. ამის გამო რძე, სწორედ რომ ვსთქვათ, ძროხის ჯიშისა და ინდივიდუალ ხარისხის საზოგადო ფუნქცია არის. თუმცა ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული ჯიშის გავლენა რძის რაოდენობასა და შედგენილებაზე, მაგრამ ის კი ცხადია, როგორც ზე

მოდაცა ვსთქვით, რომ ზოგიერთის ჯიშისა ბევრ რძეს იწველის და ზოგისა—ცოტას; ზოგი ჯიშის რძე სუქანია და ზოგისა კი არა. ჰოლლანდიელი ჯიშის ძროხა ბევრ რძეს იწველის, მაგრამ ამასთან მისი რძე ცოტა ერბოს შეიცავს. ჰოლლანდიელ ძროხის რძეში ერბოს რაოდენობა შეადგენს 3% და 3,5% არ გადასცილდება. ზოგიერთი სხვა ჯიში კი, როგორც ბრეტონული და ჯერსეის ძროხა, თუმცა უფრო ცოტას იწველის, მაგრამ მათი რძე ძალიან სუქანია და ერბოს რაოდენობა აღის 5—6% და ხან მეტიც. ქიმიური ანალიზი პრაქტიკითაც არის დამტკიცებული მრეწველობაში? მაშინ როდესაც ჰოლლანდიაში ერბოს გამოსავალი 3% არ გადასცილდება (აქ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ შედღვეების შემდეგ დოში რჩება ცოტაოდენი ერბო), საფრანგეთში ერბოს გამოსავალი შეადგენს 5% და 6%. საზოგადოდ შენიშნულია, რომ რძის რაოდენობა ცხადად ამცირებს ერბოსა და ხაჭოს რაოდენობას; რამდენადაც ძროხა ბევრს იწველის, იმდენად იმისი რძე ღარიბია ექსტრაქტულის ნივთიერებით. დაბალ ადგილების ჯიშისანი უფრო ბევრ რძეს იწველიან, როგორც ჰოლლანდიისა, ოლდენბურგისა, ბრეტენბურგისა, ოსტფრისლანდისა, მაგრამ მათს რძეში ერბო და ხაჭო ბევრი არ არის. ამ მხრით ერთმა ფრანსიელმა სწავლულმა ლეზემ (Lezé) შესანიშნავი აზრი გამოსთქვა: „ევროპაში ერბოს რაოდენობა რძეში კლებულობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ“. ირლანდიელი კერრის ჯიშის ძროხები და საფრანგეთის ლიმუზინისა, ბრეტონისა და ნორმანდიის ჯიშისა მისთანა რძეს იძლევიან, რომელშიაც ერბოს რაოდენობა შეადგენს 4,5—5%; რაც შეეხება დანიის, ჰოლლანდიის და იტალიის ძროხებს, იმათ რძეში ერბოს რაოდენობა 3% და 3,5% მეტი არ არის; შვედკარის ძროხების რძეში ერბოს რაოდენობა 4% არ გადასცილდება და ხშირად უფრო 3,5%. მაგრამ ამის მაგივრად აღმოსავლეთის ძროხების რძეში შაქარი და ხაჭო უფრო ბევრია; ამგვარად დასავლეთის ძროხების რძე მდიდარია ერბოთი და შედარებით შაქარი და ხაჭო ცოტა აქვს; აღმოსავლეთის ძროხების რძეში კი ხაჭო და შაქარი უფრო გადაშე-

ტებულია და ამისგამო დასაველეთის რძე უფრო ერბოს მოსამზადებლად არის კარგი და აღმოსაველეთისა კი უფრო ყველის-მოსამზადებლად სჯობია. ამასთან ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მეტ-ნაკლებობა პროპორციულური არ არის. საზოგადოდ, თუ რძე მდიდარია ერბოთი, მაშინ ხაჭოც ბლომშია აქვს და ამისგამო ექსტრაქტული ნივთიერება ამაში უფრო მომატებულია. სამწუხაროდ, სხვა-და-სხვა ჯიშების რძის ანალიზი ბევრი არ არის, მაგრამ რამდენიმე ანალიზიც ამტკიცებს ამ აზრს: მაგალითად, შვეიცარიის ძროხების რძეში წყალღ შეადგენს 87,5%, ერბო 3,6%, ექსტრაქტი 12,5% და თუ ერბოს ექსტრაქტის რაოდენობას შევეუდარებთ, ვნახავთ შემდეგს:  $\frac{3,6}{12,5} = 0,288$ ; საღერის ძროხების რძეში დიუკლომ შენიშნა ერბო 3,22% და ექსტრაქტი 13,10 და აქედან ასეთი დამოკიდებულება გამოდის  $\frac{3,22}{13,10} = 0,246$ ; ბრეტონულ ძროხას რძეში ერბოს რაოდენობა არის 5,5% და ექსტრაქტი კი მხოლოდ 16 და მათი დამოკიდებულება  $\frac{5,5}{16} = 0,344$  მაშ, როგორც ვხედავთ, სხვა-და-სხვა ჯიშის რძეში უფრო ერბოს რაოდენობა იცვლება. აქედან ცხადია, რომ საფრანგეთის ჯიშის რძე და ინგლისის ჯიშისა უფრო ერბოს მოსამზადებლად არის კარგი და შვეიცარიისა კი უფრო ყველის მოსამზადებლად.

ჩვენ ამ ცნობათა მოყვანა უფრო იმისთვის გავბედეთ, გვინდა მკიობველებს ვუჩვენოთ, რომ ყოველ ქვეყანას თავისი ძროხის ჯიშის დაგვარად უნდა ჰქონდეს გაერცელებული ან ერთი დარგი მრეწველობისა და ან მეორე, თუმცა კი არც იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ორივე მრეწველობის განვითარება ერთსა და იმავე ქვეყანაში აღვირღალ შესაძლებელია.

რაც შეეხება სხვა-და-სხვა ჯიშის ძროხის რძის რაოდენობას, აქ ჩვენ მოვიყვანთ ფლორისშანისგან შეკრებილ ცნობებს, თუმცა კი კიდევ გავიმეორებთ, რომ ჯიშის გარდა რძის რაოდენობა უფრო დამოკიდებულია თვითონ ძროხის აგებულებასა და მის პირადს თვისებაზე:

ქუჩის მესხ ბტოუ მ1—მ1 ბტუგამ ოც ინ

პროდუქტი	წონის ჯიშის	რძის რაოდენობა მთლად წველის პერიოდში.
ჰოლლანდიური		3.000 ლიტრი.
ოლდენბურგისა		2.800 —
შვიცისა (შვეიცარია)		2.600 —
ალგაუს (შვეიცარია)		2.500 —
იწველის ჯიშისა		2.400 —
სიმენტალისა		2.300 —
მისბახისა		2.200 —
აუსბახ-ტრისდორფისა		1.900 —
უნგარულისა		800 —

როგორც ვსთქვით, სხვა-და-სხვა ჯიშის რძე მარტო რაოდენობით არ განირჩევა, არამედ ვითარებითაც; ცნობილია, როგორც წინადაც ვსთქვით, რომ შვიცის, ალგაუს და სიმენტალის ძროხების რძე უფრო სუქანია და უფრო ბევრი ხაჭო აქვს, ვიდრე ჰოლლანდიელ და ოლდენბურგის ძროხების რძეს. აგრედვე ბრეტონის, ჯერსეის და უნგარულ ჯიშის ძროხები თუმცა ცოტას იწველიან, უფრო სუქანია შვეიცარიის ძროხების რძეზე. საზოგადოდ ცნობილია, რომ რძის რაოდენობა კარგი ჯიშის ძროხისა ოთხჯერ ან ხუთჯერ მეტია მის წონაზე, მაგალითად, ჰოლლანდიური ძროხა თავის წონაზე ხუთჯერ მეტს იწველის (თუ ძროხის წონა 30 ფუთია, მთელ წველის პერიოდში მოწველილი რძე 150 ფუთი იქნება); შვიცისა და ალგაუს ჯიშის ძროხა  $4\frac{1}{2}$  მეტს იწველის და სიმენტალისა მხოლოდ 4 ჯერ; თუმცა კი ამასთან ისეთი ძროხებიც არიან, რომლებიც ძალიან ბევრ რძეს იწველიან, რაც, რასაკვირველია, სრულიად დამოკიდებულია მის პირადს თვისებაზე. მაგალითად, გერმანიაში მაგდებურგის ახლო 1845 წელს იყო ერთი ძროხა, რომელიც წელიწადში 8.476 ლიტრს იწველიდა, მაშასადამე, დღეში 23 ლიტრს; 1862 წელს ჰამბურგის მსოფლიო გამოფენაზე იყო ერთი ძროხა, რომელიც წელიწადში 8.015 ლიტრ რძეს იძლეოდა, მაშასადამე, დღეში 22 ლიტრს; ცნობილი არიან აგრედვე სხვა შესანიშნავი ძროხებიც, რომლებიც დღეში არა ნაკლებ 15—16 ლიტრ რძეს იძლეოდნენ.

ყოველ მხარეს და ქვეყანას თავისი საქონლის ჯიშში ჰყავს გაშენებული და თუმცა შესაძლებელია უფრო კარგი ჯიშის გაშენება და ჯიშის გამოცვლა (ეს მოხდა ინგლისში, სადაც ძალიან მცირე ხანში სულ გამოსცვალეს ჯიშში); მაგრამ ამას დიდი დაფიქრება უნდა და აწონ-დაწონვა; ერთი და იგივე ჯიშში ყოველ მხარეში ვერ იხეირებს და თუ იხეირა, ყველგან ისე არ მოიწველის, როგორც თავის სამშობლო ქვეყანაში; ყოველი ჯიშში მხოლოდ მაშინ მოქმედობს ნორმალურად, როცა თავის ბუნების ჰაერში ცხოვრობს და თავის ნორმალურ გარემოებაში, რომელსაც რომელიმე ჯიშში საუკუნოების განმავლობაში შესჩვევია. ამის გამო ყოველ ქვეყნიდან არ შეიძლება ამა თუ იმ სასურველის ჯიშის გაჩენა. მაგალითად, თუ ვისურვებთ ჯერსის ჯიშის გაჩენას, რომელიც თავის სამშობლოში ეს ნაზი და მორჩილის ტანის ძროხა მიჩვეულია მდიდარს საძოვარს, ნაზს და ნოტიო ჰაერს, რასაკვირველია არ იხეირებს, თუ ესე ყოველივე ახალ ქვეყანაშიც არ დახვდა. სხვა ქვეყანაში გადმოიკვლება და მის რძეს მოაკლდება ერბო, ისე დიდი რაოდენობისა აღარ ექნება, როგორც თავის სამშობლოში; ჰატარ ტანის ბრეტონიული ძროხაც აგრედვე იკვლება თავის ქვეყანას დაშორებული, იზრდება, სქელდება და ჯიშის თვისება ეკარგება, თუ ხშირად არ არის გამეორებული მისი გაჩენის ცდა. ერთის სიტყვით, ახლის ჯიშის გაჩენას დიდი სიჭრათხილე უნდა და ამისთვის ყველას ემჯობინება, რომ ადგილობრივი ჯიშის შეირჩეს და შეეკედეს და რომელიც კარგად იხეირებს და კარგს რძეს შოგვცემს, ის გავაშენოთ.

2) წველის დრო ანუ ლაქტაციის პერიოდი. ძროხა შეუწყვეტილვ არ იწველის; ხბოს მოგების რამდენისაზე ხნის წინად ძროხა გასრება ხოლმე. მთელი ის დრო, როცა ძროხა რძეს იძლევა, წოდებულია ლაქტაციის ანუ წველის პერიოდად. ამ პერიოდის ხანი სხვა-და-სხვა არის სხვა-და-სხვა ძროხისათვის; ზოგიერთი ძროხა, თუმცა კი იშვიათად, შეუწყვეტილვ იწველის ერთ ხბოდან მეორე ხბომდინ და ზოგიერთი კი რამდენისაზე კვირით და ან თვით არ იძლევა რძეს. საზოგადო-

დოდ კარგი ძროხა წელიწადში 300 ღღეს იწველის და 65 ღღეს კი არა. ბერწად დარჩენილ ძროხას წველის პერიოდი უფრო დიდი აქვს, ხან რამდენიმე წელიწადი. წველის პერიოდში მოწველილი რძე ყოველთვის ერთგვარი და ერთის რაოდენობისა არ არის; პირველ დროში უფრო ბევრს იწველის და შემდეგ კი თანდითან ცოტას, თუმცა კი აქაც სხვა-და-სხვა განსხვავება არის მოსალოდნელი. მართლა-და, ეს მოვლენა ხშირია, როცა ძროხა ჯერ ბევრ რძეს იძლევა და შემდეგ კი ცოტას, მაგრამ არც ის არის იშვიათი, როცა ძროხა პირველ კვირებში ცოტას იწველის და შემდეგ კი თანდითან მატულობს და, როცა ერთ ხარისხზე დადგება, შემდეგ შეუცვლელად იძლევა ერთსა და იმავე რაოდენობას<sup>1)</sup>. ყოველ შემთხვევაში, საზოგადო ის არის, რომ, როცა ძროხა ბევრ რძეს იძლევა, მაშინ ამ რძის ექსტრაქტულ ნივთიერების რაოდენობა უფრო დაბალია, ვინემ მაშინ, როცა ცოტას იწველის. ამ მხრით საინტერესოა შროდტის გამოკვლევა; ცხრა წლის განმავლობაში ყოველ ღღე შეამოწმა ექსტრაქტისა და ერბოს რაოდენობა ათის ძროხის რძეში. გამოკვლევა დაწყებული იყო ნოემბერში (შლესვიგ-გოლშტინიაში ჩვეულებრივ ძროხები ხბორებს იგებენ შემოდგომას და ზამთარში ნოემბრიდან დაწყებული მარტამდინ; ამის გამო გამოცდილება დაიწყო ნოემბრიდან) გამოკვლევით ცხადად სჩანს წველის პერიოდის გავლენაზე მოწველილი რძესა და მისს შედგენილებაზე.

ი. შროდტის ანალიზების შედეგი თვე-და-თვე:

	ექსტრაქტი %	ერბო %	ექსტრაქტი უერბოვოდ %	ერბო მესტრაქტში %
ნოემბერი . . . . .	12,848	3,501	8,842	28,87
დეკემბერი . . . . .	11,950	3,860	8,590	28,12
იანვარი . . . . .	11,887	3,227	8,610	27,66
თებერ . . . . .	11,867	3,176	8,691	26,78

<sup>1)</sup> რძის შემცირება წველის პერიოდში, როგორც ეს ბევრ გამოცდილებით არის დამტკიცებული, დამოკიდებულია საკვებადის სიმცირეზე, ასე რომ, თუ ძროხა ცუდად არის ხაკვები, რძე უკველად იკლებს და პირიქით, თუ კარგი და სარკმარისი საკველი აქვს, რძემ არა დროს არ უნდა იკლოს; რძის შემცირება პირდაპირ დამოკიდებულია ძროხის წონის შემცირებაზე და წონა ხომ აგრედე პირდაპირ საკვებაზე დამოკიდებული. მაშასადამე, ვისაც სურს, რომ იმისა ძროხამ არ იკლოს წველაში, იმან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მის საკვებას.

მარტი . . . . .	11,722 —	3,139 —	8,583 —	26,78 —
აპრილი . . . . .	11,731 —	3,100 —	8,630 —	26,48 —
მაისი . . . . .	11,720 —	3,042 —	8,678 —	25,96 —
ივნისი . . . . .	11,993 —	3,230 —	8,763 —	26,10 —
ივლისი . . . . .	11,987 —	3,338 —	8,649 —	27,84 —
აგვისტო . . . . .	12,185 —	3,448 —	8,637 —	28,30 —
სექტემბერი . . . . .	12,283 —	3,596 —	8,684 —	29,28 —
ოქტომბერი . . . . .	12,894 —	3,642 —	8,752 —	29,39 —

ნოემბერში, როცა ჩვეულებრივ საწველ ძროხების რიცხვი მცირეა და ამასთან რძესაც ცოტას იძლევიან და არც ახალ-დელა ძროხებია ბევრი, ამიტომ ექსტრაქტის და ერბოს რაოდენობა რძეში ბლომაღ არის, ვიდრე შემდეგს თვეებში, როცა ახალ-მოგებულ ძროხების რიცხვი მრავლდება. ივნისში იწყება გაუმჯობესობა და, მაშასადამე, წველის პერიოდის გავლენაც, განსაკუთრებით ერბოს რაოდენობაზედ, რომელზეც შესამჩნევად მატულობს და ოქტომბერში თითქმის 0,5—0,7% ვადამეტებულაია აპრილის და მაისის რძის ერბოზე. ამგვარივე გამოკვლევები მოახდინა კიუნმატ ერბოს მხრით 11 ახალ-მოგებულ ძროხაზე და მეორეს მხრით დიდრ ხნის მოგებულებზე, და აი ვე გამოკვლევის შედეგიც:

	ახალ-დელა ძროხის რძეში.	დიდი ხნის მოგებულ ძროხის რძეში.	უკანასკნელთა მხრით.
ექსტრაქტი . . . . .	11,30%	11,57%	+0,27%
ერბო . . . . .	3,19 —	3,35 —	+0,16 —
აზოტიური რეზანი . . . . .	2,68 —	2,86 —	+0,18 —
რძის შაქარი . . . . .	4,65 —	4,68 —	+0,03 —
ნაცარი . . . . .	0,77 —	0,75 —	-0,02 —

თქმეცა ამ გამოკვლევიდანაც ცხადად სჩანს წველის პერიოდისგან გამოწვეული განსხვავება მაგრამ, სამწუხაროდ, მოყვანილი რიცხვები ბევრს ვერას დაგვიმტკიცებს, რადგანაც სხვა და-სხვა ძროხის რძე არის გამოკვლეული.

როგორც წველის დროის, ისე თვითონ ძროხის ჯერში და თვისების გავლენა ცხადად სჩანს კერძინის გამოკვლევიდანაც.

გამოკვლევიდანა ვხედავთ, რომ ზოგიერთი ძროხის რძე მართ-  
ლა იცვლება წველის პერიოდში და ზოგიერთისა კი არა; გა-  
მოკვლევა იყო მოხდენილი სამი ჯიშის ძროხაზე, როგორც ახა-  
ლის რძისა, ისე დიდ ხანს მოგებულისა და აი ამ გამოკვლე-  
ვათა შედეგი:

პირველ ოთხ კვირაში. მერვე და მეცხრე თვეში.

სიმენტალის ჯიშის ძროხის რძეში	ექსტრაქტი %.	ერბო %.	ექსტრაქტი %.	ერბო %.
ძროხის რძეში	= 12,60	3,70	13,16	4,16
ოსტფრიზისაში	= 11,14	2,51	11,18	2,89
ჯერსეისაში	= 14,05	4,82	16,86	6,52

წველის პერიოდის გავლენა, როგორც ვხედავთ, იმ ძრო-  
ხის რძეებს უფრო ეტყობა, რომლებშიაც ექსტრაქტის და ერ-  
ბოს რაოდენობა ბევრია; იმ ძროხის რძეში კი, რომელშიაც ეს  
ნივთიერებანი წინაღვე ცოტაა, შემდეგაც ბევრი განსხვავება  
არა ხდება.

აგრეთვე გამოკვლევა მოახდინა კირხნერმა ორ ანგელის  
ჯიშის ძროხაზე, რომლების რძეც იყო გამოკვლეული და აი  
რა აღმოჩნდა:

პირველი ძროხა.

ხბოს მოგებიდან	ექსტრაქტი %.	ერბო %.	ხაქო %.	შაქარი %.	ნატრიუმი %.
12 კვირის შემდეგ	11,861	3,208	3,113	4,878	0,665
23 — — —	11,928	3,015	3,179	5,088	0,646

მეორე ძროხა:

ხბოს მოგებიდან	ექსტრაქტი %.	ერბო %.	ხაქო %.	შაქარი %.	ნატრიუმი %.
5 კვირის შემდეგ	11,151	3,109	2,651	4,770	0,621
16 — — —	11,408	2,845	2,745	5,149	0,686

როგორც სჩანს, გადაწყვეტილი არა იქმნის-რა შესახებ  
წველის პერიოდის გავლენისა რძის შემადგენელთა ნივთიერე-  
ბათა შეცვლაზე.

3) ხნაანობის და მოძრავობის გავლენა რძის რაოდენო-  
ბისა და კაითარებაზე. რამდენადაც დიდია რომელისამე ცხოვე-

ლის ტანში ნივთიერებათა ცვლილება, ანუ რამდენადაც დიდია სიცოცხლის ენერგია, იმდენად რძის რაოდენობაც გააღვირვდება; ამის გამო, როცა ცხოველი, თავის ცხოვრების რომელსაში ხანაში, მიიღწევს ამ უმაღლეს სიცოცხლის ენერგიას და ნივთიერებათა ცვლილების უპირატესობას, მაშინ უფრო ბევრს მოიწველის. საზოგადოდ ძროხის ცხოვრებაში ეს ხანა არის მეოთხე და მესამე ხბოს მოგება; მეექვსე ხბომდინ რძის რაოდენობა თანდათან მატულობს და მეექვსედან დაწყებული წი რამდენადაც ძროხა ხანში შედის და ბერდება, იმდენად კლწბულუბს იმის რძის რაოდენობა. ეს მხოლოდ საზოგადო კანონია, მაგრამ ამის წინააღმდეგ ხანდისხან იშვიათი არ არის. ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია ერთის მხრით ძროხის მოვლასა და მის კვებაზე და მეორედ თითონ ძროხის პირად აგებულებასა და ხასიათზე. რაც შეეხება ძროხის ხანში შესვლის ზედმოქმედებას თვითონ რძის ვითარებასა და შედგენილებაზე, ამაზე სამწუხაროდ არაფრის თქმა არ შეგვიძლიან; ფაქტადაც ამ მხრით საგანი არავის გამოუყვლივია. მხოლოდ ერთი დაკვირვება არის, დაკვირვება მორსულისა, რომელიდანაც სჩანს, რომ რძის რაოდენობის შემცირების დაგვარად რძეში მრავლდება ექსტრაქტული ნივთიერების და ერბოს რაოდენობა.

რაც შეეხება ძროხის ახურების პერიოდის გავლენას რძის რაოდენობაზე, ამ მხრითაც გადაწვეტილი არა არის; ხშირია, რომ ძროხა ახურების დროს ცოტას იწველის და დამაკლებს შემდეგ კი ისევ მატულობს მისი რძე; ამასთან ისიც არის შენიშნული, რომ ახურებულ ძროხის რძე ნალეხს ძნელად იხდის, ძალიან ძნელად იღვებება, ესე იგი ძალიან ცოტა ეზოზოგროვდება და უფრო ხშირად რძე გააბობით ხაჭოვდება. ამასთან ისეთი ძროხებიც არიან, რომლებსაც ახურების ხანაში სრულიად არ აკლდებათ რძე. არც ამ ხანაში თვითონ რძის შედგენილებაზე შეგვიძლია ვთქვათ რამე გადაწყვეტილი; ჯერ გამოკვლეული არ არის, იცვლება როგორმე თუ არა რძის შედგენილება და ან როგორ იცვლება.

მოძრაობას შესამჩნევი მნიშვნელობა აქვს რძის რაოდენობაზე; რადგანაც მოძრაობა მარგებელია ძროხისათვის, ამიტომ რძესაც რეგებს. სადაც და როცა შესაძლებელია, ძროხებს უნდა ნება ჰქონდეთ თავისუფლად მიწოდარში სიარულისა, მუდმივ დამწყვედუღნი არ უნდა იყვნენ. ზოგიერთ ადგილებში და განსაკუთრებით ღარიბ გლეხ-კაცობაში ძროხას ამუშავებენ და თუ ყურადღებითა და გაფთხილებით ამუშავებენ, სრულიად მავნებელი არ იქნება, არამედ მარგებელიც; კირხნერი გვარწმუნებს, რომ თუ ამ გარემოებაში ძროხა კარგად არის ნაკვები, იმისი რძე მატულობს. მაშ ამ გარემოებაში ძროხა კარგად უნდა იკვებებოდეს, რადგანაც ერთი ნაწილი საკვებავისა მუშაობაზე იხარჯება და არა რძის მომზადებაზე. დიდი ჯაფა კი ძროხას, არა მარტო რძეს აკლებს, არამედ ამასთან ძალიანაც შესცვლის მის შედგენილებას, ამცირებს ექსტრაქტის და ეროზს რაოდენობას და ადუღების დროს იჭრება.

სხვათა შორის ჰაერის ტემპერატურასაც საკმაოდ შესამჩნევი გავლენა აქვს; არა მარტო დაბალი ტემპერატურა მოქმედობს ცუდად, რადგანაც ამ გარემოებაში ბევრი ნაწალი საკვებავისა სითბოს გასაჩენად იხარჯება და არა ეროზს გასაყვთებლად, არამედ მაღალი ტემპერატურაც, რომელიც ასუსტებს ძროხას და მის ყოველ ორგანოს მოქმედებას და ამასთან ძუძუს ფუნქციასაც და ამცირებს რძის რაოდენობას. საზოგადოდ საკმარისია 10°—15°; ამ ტემპერატურაში ძროხები კარგად ჰგრძნობენ თავს; ამასთან ისიც საჭიროა, რომ გომის ჰაერი ხშირად გაიწმინდოს ვენტოლაციით.

ზოგიერთნი ამბობენ, რომ რძის რაოდენობაზე ამინდსაც დიდი გავლენა აქვსო, თუმცა კი გადაწყვეტილი არა იქმნისრა; ნამდვილი მხოლოდ ეს არის, რომ ყოველი ეს მოვლენა, რომელიც ძროხებს რითიმე შეაწუხებს და აღაშფოთებს, რძესაც შეუმცირებს.

4) საკვებავის მნიშვნელობა. რძის გაჩენასა და წარმოშობაზე ძროხის პირადის აგებულობის და ჯიშის გარდა საკვებავისაც დიდი გავლენა აქვს. ყოველ ცხოველს მხოლოდ

მაშინ შეუძლიან კარგად იმოქმედოს და თავისი ყოველგვარი ფუნქცია რიგიანად შეასრულოს, როცა იმისი საკვები არა მარტო საკმარისია, არამედ შეთანხმებულ-შეწონილი აქვს მის ორგანოების საჭიროებას მოთხოვნილებას. როგორც საკვებადის კარგი თუ ცუდი შედგენილება, ისე მისი რაოდენობა ძრიელ ჰმოქმედობს ცხოველის ორგანოების ფუნქციაზე და რადგანაც რძეც ერთი ამ ორგანოების ფუნქციათაგანია, ამისათვის იმის რაოდენობაზედაც ექნება გავლენა. ყველამ კარგად იცის, რომ რისგანაც რომელიმე ცხოველის ორგანიზმი შესდგება, იმავე გვარ სხეულებისაგან უნდა იყოს შედგენილი იმისი საკვებად; რასაც და რამდენსაც ორგანიზმი ჰკარგავს თავის მოქმედების და ფუნქციის დროს, ის და იმავე რაოდენობით უნდა დაუბრუნდეს საკვების შემწეობით. ამასთან ესეც ვიცით, რომ ყოველ ცხოველის ორგანიზმი შემდგარია როგორც აზოტიური, ისე ცხიმოვანი და უაზოტო ნივთიერებათაგან (პროტეინი, სახამებელი, შაქარი, ქონი და ზეთი). მათ შორის აზოტიურ ნივთიერებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს რძის გაჩენასა და მის რაოდენობაზე; როგორც წინადა ნათქვამიდან უკვე ვიცით, რძე ჩნდება აზოტიურ ნივთიერებათა ანუ ბუტკთა გადაგვარებით. ამის გამო, რამდენადაც ცხოველი ბევრ აზოტიურ ნივთიერებას მიიღებს საკვებთან, იმდენად დიდი და გაცხოველებული იქმნება ენერჯა გადაგვარებისა, ანუ ბუტკთა ხელ-ახლად გაჩენა და ამასთან ხელ-ახლადვე გადაგვარებაც, მაშასადამე, რძის მოზადებაც. ცხადად ლამტიკიცებულია, რომ თუ ძროხის საკვებს აზოტიური ნივთიერება აკლია, მაშინ ცოტას იწველის. თუმცა ცხიმოვანი ნივთიერებანიც მოქმედობენ რძის მოზადებაზე, მაგრამ პირდაპირ კი არა, ერობო ანუ ცხიმოვანი ნივთიერება, საკვებადში მყოფი, პირდაპირ არ გადადის რძეში; ეს ცხიმოვანი ნივთიერება სხვა მხრივ მოქმედობს, იწვება ანუ უანგდება სითბოს გასაჩენად ძროხის ორგანიზმში და ამით აზოტიურ ნივთიერებას იფარავს დაწვისაგან, მაშასადამე, ამ მხრით მის მაგიერობას სწევს და ამის გამო აზოტიური ნივთიერება აახლებს იმ წვრილ ბუტკ-

კებს ანუ უჯრედებს, რომელთაგანაც რძე მზადდება და, მაშასადამე, ამასთან ერბოც.—უაზოტო ნივთიერებათა რაოდენობას ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ერბოს და აზოტიურ ნივთიერებას; მათი რაოდენობა (ესე იგი სახამებლისა, შაქრისა, ცელულოზასი და სხვ.) შეიძლება დიდად შეოცვალოს და რძეზე კი არავითარი გავლენა არ მოახდინოს.

ამასთან საჭიროა ისიც მოვიხსენიოთ, რომ საკვებავის ზედ-გავლენა რძის მომზადებაზე მხოლოდ მის რაოდენობასა და ვითარებაზე მოქმედობს; თუ ძროხას საკვებავი ცოტა აქვს და ან ამ საკვებავს ნოყიერება მცირე აქვს, ძროხა ცოტა რძეს იწველის და ამასთან თვითონ რძე ძალიან თხელია, ძალიან ღარიბია ექსტრაქტულ ნივთიერებით; საკმაო საკვებავით კი ძროხა ბევრ რძესაც იწველის და ამასთან ეს რძე უფრო მჭირხნია, უფრო მდიდარია ექსტრაქტულ ნივთიერებით. მხოლოდ ამით თავდება საკვებავის გავლენა რძეზე. ამასთან ისიც შენიშნულია, რომ საკვებავით არ შეიძლება რომელიმე რძის შემადგენელი ნივთიერების ცალკე გამრავლება ანუ შეცოტაება, ან ხაჭოს და ან ერბოს ცალკ-ცალკე ან გამრავლება და ან შეცოტაება; თუ საკვების ზედ-მოქმედებით ცვლილება რსმ მოხდა, მაშინ ეს ცვლილება შეეხება მრთელ რძეს და ყველა მის შემადგენელ ნივთიერებას. რძის შემადგენელ ნივთიერებათა ცალკე რაოდენობაზე უფრო ძროხას პირადს აგებულებას და იმის ჯიშს აქვს გავლენა (როგორც ეს არა ერთხელ გვითქვამს) და არა საკვებავს. მხოლოდ არის ერთი-ორი ნივთიერება, რომელთა გავლენაც შესანიშნავია: როგორც კირხნერი მოგვითხრობს, 1887 წელს კიუნმა სცადა და ძროხებს საკვებად მისცა ინდის ხურმის დაგვარი ხის კაკლების (palmier) წვეწონი და ფქვილი და აგრედვე აჯეჯილებულ ქერის ფესვები (ლუდის მოსამზადებლად ქერი უნდა აჯეჯილდეს; ამას შემდეგ ამ დაჯეჯილებულ ქერს აშრობენ და ფესვებს აშორებენ; აი ეს ფესვები იყო ნახმარი ძროხის საკვებად); ამ საკვებით ნაკვებ ძროხების რძეში ერბომ ძალიან იმატა. იმავე მსწავლულმა ძროხებს სა-

კვებად აღლია დაღერღნილი ლობიო (რომელშიაც ძალიან ბევრია აზოტიურბ ნივთიერება), მაგრამ იმათ რძეს ერბო არ მოემატა.

ბევრ გამოკვლევიდან ისიც აღმოჩნდა, რომ რძის რაოდენობასა და შედგენილებაზე კარგი გავლენა აქვს, როცა ძროხები მინდორში საძოვარზე იკვებებიან; ეს ყველა ძროხის პატრონმა კარგად იცის და ამიტომ ამის დასამტკიცებლ საბუთებს ჩვენ აქ არ მოვიყვანთ. ყველამ კარგად იცის, რომ ზაფხულისა და განსაკუთრებით მაისის კარაქი უფრო გემრიელია, უფრო სუნნელოვანი და კარგი ყვითელი ფერი აქვს მინდორში საძოვრად გაშვებულ ძროხის რძე ყოველის მხრით უფრო კარგია, ვიდრე გომში თივით და ან ბზით ნაკვებ ძროხისა.

ამას გარდა თითონ ძროხის მოვლასაც და წმინდად შენახვას კარგი გავლენა აქვს, როგორც მის რძის რაოდენობაზე ისე შედგენილებაზე.

5) წყალს დროს და რაგას გაგლენა. წველის რიგსაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს; ამაზე დამოკიდებულია რძის რაოდენობა. მრავალ გვარს გამოცდილებით და გამოკვლევი და მტკიცებულია, რომ მოწველილი რძის წინა ნაწილი უფრო ღარიბია ექსტრაქტულ ნივთიერებით და განსაკუთრებით ერბოთი, ვიდრე ბოლოს ნაწილი, ესე იგი წინად გამოწველილი რძე სუსტია და ბოლოს გამოწველილი კი სუქანი, რასაკვირველია, ერთი-ერთმანეთთან შედარებით. ბუსენგოს გამოკვლევით დიდი ხანია ცნობილია ეს გარემოება. იმან გამოიკვლია ერთის ძროხის რძე, რომელიც წველის დროს ექვსად გაანაწილა: პირველად გამოწველილი რძე ცალკე გასინჯა, მეორეც—ცალკე და აგრე მოიქცა წველის გათავებამდე; ძროხამ ერთ ჯერზე 5.591 გრამი რძე მოიწველა და აქედან ჯერ გამოწველა 398 გრ; მერე 620 გრ., მესამე ნაწილში 1.293 გრ., მეოთხეში 1.390 გრ., მეხუთეში 1.565 და მეექვსეში 315 გრ; და აი შედეგი ამ გამოკვლევისა.

მაამბე აი შედეგი ამ გამოკვლევისა:

ნაწილები რძის რაოდენობა	I	II	III	IV	V	VI	სულ.
გრამით.	398გრ.	628გრ.	1.293გრ.	1.390გრ.	1.565გრ.	315გრ.	5.591გრ.
მათი სიმ- კირხნე	1,0339	1,0329	1,0325	1,0320	1,0312	1,0301	—
ექსტრაქ- ტული ნივ- თიერება-							
ნი $\frac{0}{0}$ $\frac{0}{0}$	10,47	10,75	10,85	11,23	11,63	12,67	11,27
ერბო $\frac{0}{0}$ $\frac{0}{0}$	1,70	1,78	2,10	2,54	3,14	4,08	2,55
სხვა ნივ- თიერება-							
ნი $\frac{0}{0}$ $\frac{0}{0}$	8,77	8,99	8,75	8,69	8,49	8,89	8,12

როგორც ვხედავთ, ერბოს რაოდენობა ძალიან იცვლება და სხვა ნივთიერებათა რაოდენობა კი თითქმის შეუცვლელი რჩება. ამ განსხვავების მიზეზი წინად ეგონათ რძის განაწილება ძროხის ძუძუშივე; ფიქრობდნენ, რომ რძე მოგროვილი იყო ცურის აუზებში და შიგვე ნალები ჰქონდა მოგდებული და ამის გამო წინად გამოსული ანუ გამოწველილი რძე უფრო ამისთვის იყო ღარიბი ერბოთი, მაგრამ ამის შეწყნარება შესაძლებელი არ არის, თუ მხედველობაში ვიქონიებთ თითონ ცურის აგებულობას. მაშ რა არის მიზეზი? ამ მოვლენის ასახსნელად გერმანიაში ბევრი გამოკვლევა იყო მოხდენილი და აქ მოვიყვან მხოლოდ კაულის გამოკვლევას, რომელმაც ერთ ჰოლლანდიელ ძროხის რძე წველის დროს სამად გაანაწილა და ამასთან წველის გათავების შემდეგ ძროხა კიდევ მოწველა სამჯერ ყოველ მეოთხედ საათის განმავლობაში.

აქამ ნაწველების შედგენილება:

	პირველად მოწველილი რძის ნაწილები.				პირველად მოწველილი რძის ნაწილები.		
	I	II	III	საშუალო	მეორე	მესამე	მეოთხე
ერბოს რაოდენობა . . . . .	1,04%	3,57%	8,87%	3,507%	7,79%	6,01%	4,44%
ხაჭოს რაოდენობა . . . . .	2,87	2,87	2,87	2,880	2,78	2,88	2,88
შაქრის რაოდენობა . . . . .	5,18	5,20	4,82	5,120	4,88	4,70	5,01
ნაცრის რაოდენობა . . . . .	0,72	0,88	0,88	0,88	0,74	0,78	0,80
ჯამი	9,78	12,29	16,88	12,238	15,81	14,46	13,10

აქაც იმასვე ვხედავთ, რაც ბუსინგოს გამოკვლევამ გვიჩვენა. მაშ რა არის ამ განსხვავების მიზეზი? ამის ასახსნელად ერთი აზრია გამოქმული, რომელიც კუყაზე ახლოა და იქნება მართალიც იყოს: ამბობენ, რომ ვითომ წველის ღროს ერბო რჩებოდეს იმ წვრილ მილებში, რომლებშიც ერთიერთმანედში არიან შეერთებულნი ცურის სხვა-და-სხვა განყოფილებანი და მოწველის ღროს ძალად არიან გამოწველილნი; რადგანაც მეორე გამოკვლევაში, ესე იგი კაულის გამოკვლევაში იმასაც ვხედავთ, რომ თითო მეოთხედ საათის შემდეგ მოწველილ რძეებში პირველში უფრო ბევრია ერბო, ვიდრე უკანასკნელში, ამის ასახსნელად ის საბუთი მოჰყავთ, რომ ვითომ გამოწველილი რძე გამორეცხავდეს მილებში დარჩენილ ერბოს და ამის გამო, რასაკვირველია, პირველ ნარეცხში უფრო ბევრი უნდა იყოს ერბო, ვიდრე უკანასკნელში. ამას მხოლოდ ამბობენ და დასამტკიცებელი საბუთი კი ბევრი არა აქვთ.

კაულის გამოკვლევა ერთ სხვა საინტერესო მოვლენასაც შეეხება, რომელიც ღირსია ყურადღებისა და რომელიც გვიჩვენებს, რომ რამდენადაც ძროხა ბევრჯელ იქნება დღეში მოწველილი, იმდენად ბევრ რძეს მოიწველის, ასე რომ დღეში სამჯერ მოწველით უფრო ბევრი რძე მოგროვდება, ვიდრე ორჯელ მოწველით აი მაგალითები:

პირველი ძროხა სამჯერ იყო მოწველილი ყოველ რვაქაათის განმავლობაში:

რძის რაოდენობა.	ექსტრაქტი.	ერბო.	სულ გამოდის
1-ლად 4 კილო	12,5	3,5	$\left\{ \begin{array}{l} \text{სულ გამოდის} \\ \text{ექსტრაქტი. ერბო.} \\ \text{1,5 კილო 0,42 კილო.} \end{array} \right.$
2-რედ 4 კილო	12,5	3,5	
3-ემდ 4 კილო	12,5	3,5	
სულ 12 კ., რომელშიაც იყო 12,5% ღმ, 3,5			

მეორე ძროხა ორჯელ იყო მოწველილი ყოველ 12 საათის განმავლობაში:

რძის რაოდენობა.	ექსტრაქტი.	ერბო.	სულ გამოდის
1-ლად 5,5 კილო	12,5%	3,5%	$\left\{ \begin{array}{l} \text{სულ გამოდის} \\ \text{ექსტრაქტი. ერბო.} \\ \text{1,92 კ. 0,36 კ.} \end{array} \right.$
2-რედ 5,5 კილო	12,5	3,5	
სულ 11 კ., რომელშიაც იყო 12% ღმ 3,5			

მაშ სამჯერ მოწველით რძემ იმატა ერთი კილოთი და ამ ნამეტში ექსტრაქტის რაოდენობა გადამეტებული იყო ორჯელ მოწველილზე 0,18 კილოთი და ერბო 0,06, რაც გამოანგარიშებით შეადგენს 9% რძეს, 14% ექსტრაქტს და 16% ერბოს.

როგორც ვხედავთ, სამჯერ მოწველით ძროხა უფრო რძეს იწველის, მაგრამ ეს ყოველთვის სარგებლობას არ შეადგენს. ანტარა სახლობისათვის, რასაკვირველია, ეს ცუდი არ არის და მოსახერხებელიცაა: ძროხას მოსწველიან დღის 4 საათზე, მეორედ შუადღისას და საღამოს 8 საათზე და ამის გამო უფრო ბლომად ექნებათ რძეც, მაგრამ თუ მოსაწველი ძროხები ბევრია, მაშინ იქნება სასარგებლო არ გამოდგეს მოგებასთან ხარჯის შედარებით. უკანასკნელ შემთხვევაში უფრო

ბევრი მუშაობა, არის, საქერო, ყურის გდებამდა, ხარჯი, ამ საქმის გადაწყვეტა, რასაკვირველია, დამოკრდებულა. თვითონ ადგილობრივ ეკონომიურ ვითარებაზედ, რომელიც ყველგან ერთგვარი არ არის. სადაც მოწველა ბევრ დროს თხოულობს და ძვირადაც ჯდება იქორჯერ მოწველით დაკმაყოფილებიან და საცა არა, იქ კი, რასაკვირველია, სამჯერ მოწველა ემაჯობინება. ჩვენს მხარეში იქ, სადაც საზოგადოდ მიღებულია საქონლის წყაროზე მორეკა სიცხის დროს (11—1 საათი), რასაკვირველია, ადვილწ შესაძლებელი იქნება ძროხების სამჯერ მოწველა — დილით, გარეკის წინაღ, ნაშვადღევს, ნახირის მოწველის დროს, და საღამოთი. იმ ადგილებში კი, სადაც საქონელი მთელი დღე ან მთებზე და ან ტყეშია გაშვებული, ზნაზნაკვირველია სამჯერ მოწველა ძნელი მოსახერხებელი იქნება:

იქ, სადაც ძროხებს სამჯერ სწველენ, შენიშნულია განსხვავება, როგორც რძის რაოდენობაში, ისე იმის შედგენილებაში. აქ მოვიყვან დილით და შუადღისას მოწველილ რძეების განსხვავებას.

	დილით.	შუადღისას.
წყალი	89,75	88,22
ექსტრაქტი	10,25	11,78
ერბო.	2,43	3,64

როცა ერთი წველიდან მეორემდინ 10 საათმა გაიარა, (დილით მოწველილი), მაშინ რძე უფრო ლარიბი აღმოჩნდა ექსტრაქტული ნივთიერებით და ერბოთი და როცა მოწველათა შორის ხანი უფრო მოკლე იყო (8 საათი), მაშინ რძე უფრო მდიდარი აღმოჩნდა. მაშ აქ განსხვავება გამოწვეულია მხოლოდ იმით, თუ რამდენმა ხანმა გაიარა ერთი მოწველიდან მეორემდინ. — თუ ერთი მოწველიდან მეორე მოწველამდე ერთნაირმა დრომ გაიარა, მაშინ არა თუ რძის რაოდენობა ერთგვარია, არამედ მისი შემადგენელ ნივთიერებათა რაოდენობაც; აი ამ მხრით კირხნერის გამოკვლევა, რომელიც იმან მოახდინა

ნა 10: ძროხაზე. ამ გამოკვლევაში საშუალო რიცხვით ზომის ძროხამ მოიწველა მთელ წელიწადში

	დილით.	ნაშუადღევს.
10 ძროხამ წელიწადში	13.687,1 კილო	13.331,4 კილო
თითო ძროხამ დღეში	3,76 —	3,60 —

როგორც თითონ ავტორი ამოხსნის, ეს ცოტაოდენი განსხვავება მხოლოდ იმის მიზეზია, რომ ერთი წველიდან მეორე მდინ მიანც ნამდვილად 12 საათი არ იყო გასული; დილით ცოტა გვიან იყო მოწველილი და საღამოთი ცოტა ადრე.

ამასვე გვიჩვენებს ფლეიშმანის გამოკვლევა, რომელმაც გამოკვლევა 119 ძროხაზე მოახდინა 1879—1884 წლებში.

რძის რაოდენობა. ნივთიერებათა რაოდენობა

	ერთ ძროხაზე.	ექსტრაქტისა %	ერბოსი %
დილით	3,266 კილო	11,990 %	3,261 —
ნაშუადღევს	3,218 —	12,050 —	3,286 —

საზოგადოდ, როგორც ძროხებს მოვლა, ისე მათი საკვების ერთგვარობა რამდენისაზე წლის განმავლობაში, რასაკვირველია, ძნელი მოსალოდნელია და ეს არა-ერთგვარობა არის მიზეზი, რომ ცოტაოდენი განსხვავება მიანც არის მოწველილი რძეებში, თუმცა დაახლოებით ერთი ხანი იყო გასული ერთის წველიდან მეორემდინ (დილით და საღამოთი). ეს განსხვავება უფრო შესამჩნევია მინდორში საძოვრად გაშვებულ ძროხების რძეში. ამას ემატება ტემპერატურის განსხვავება დღისათჳს და ღამით, აგრედვე ამინდის გამოცვლა და ეს გარემოებანი ხომ, როგორც ვიცით, სხვა-და-სხვა გვარად მოქმედობს არა მარტო რძის რაოდენობაზე, არამედ მის შედგენილებაზედაც.

გ. ზეტრანსჳილა

(შემდეგი იქნება)

მედიკოსი იყო...  
 -დროს...  
 -როცა...  
 -იქნება...  
 -იქნება...  
 -იქნება...

იმის მიხედვით რომელიც იქონიება მისი ინტერესების  
 - იმის მიხედვით რომელიც იქონიება მისი ინტერესების

## სახალხო პოეზია

იმის მიხედვით რომელიც იქონიება მისი ინტერესების  
 - იმის მიხედვით რომელიც იქონიება მისი ინტერესების

### მისი საკმატობა, სამსახური და სამეცნიერო მნიშვნელობა

IV\*)

წინა წერილებში ჩვენ, შეძლებისა და გვარად, განვმარტეთ  
 ორგანიზაციის მნიშვნელობა სახალხო პოეზიისა: სამეცნიერო და  
სამსახური. მაგრამ ამით რომ გავათავოთ საქმე, მრავალ-  
 გვარი მნიშვნელობა აღებული საგნისა არ იქნება მთლად და  
 ყოველ მხრივ გამოკვეთული. საპედაგოგიო და სამსახური  
 მნიშვნელობას გარდაცა აქვს სახალხო პოეზიას ღირსება და  
 მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა არის სამეცნიერო, ანუ, უფრო  
 ცხადად რომ ვსთქვათ, მნიშვნელობა, როგორც საისტორიო  
 მასალისა.

ეს საგანი რამდენაც საყურადღებოა თავისთავად, იმდენად,  
 ჩვენს სამსახურად, სრულიად ხელ-უხლებელია; არა თუ მარ-  
 ტო ჩვენს ლიტერატურაში, თითქმის სხვა ერთა ლიტერატურა-  
 შიც კი ძნელად შეხედებით ამ საგნის სპეციალურს გამოკვლე-  
 ვას. ჩვენში ხომ ეს საგანიცა და მისი მნიშვნელობაც ძალიან  
 ბუნდოდ არის შეგნებული. ათას კაცში ერთი თუ გეტყვის,  
 რამდენად საყურადღებოა ამ მხრივ სახალხო პოეზია და მისი  
 გამოკვლევა.

რადგან ჩვენის გამოკვლევის დასაწყისშივე დავასახელებთ  
 გაზ. «Нар. Осв.»-ეს წერილი, რომელშიაც ძალიან მრუდე და

\*) იხ. № XI და XII — (1894 წ.) და I (1895 წ.).

შემცდარი აზრები არის გამოთქმული სახალხო პოეზიის მნიშვნელობაზე, ამისათვის მიესცემთ თავს ნებას და აქაც მოვიყვანთ ამ წერილის აზრებს სახალხო პოეზიის სამეცნიერო მნიშვნელობაზედაც. დავიწყეთ ცოტა შორიდან, რომ ქვევით უფრო ნათლად წარმოგვიდგეს თვალ-წინ ჩვენ მიერ აღებული საგანი.

ავტორი ხალხის საკითხავ წიგნებს გარდა, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობას ურჩევს აგრედვე საქეცნაერო წიგნების ბეჭდვასაც. „თუმცა ჩვენ, — ამბობს იგი, — კარგად გვესმის მართლად შეგნებული სახალხო წიგნების ბეჭედის სარგებლობა, მაინც ვერ გავხდებით თანახმა იმისი, რომ საზოგადო კრებამ (ამხანაგობამ) ისე შეავიწროვა და მჭიდროდ შემოზღუდა სამოღვაწეო საგანი ამხანაგობისა. თუ გვწამს ჩვენი მომავალი, ისიც უნდა გვწამდეს, ამ შემთხვევაში, რომ ჩვენი აზროვნება თან-და-თან გაფართოვდება და აღორძინდება. რიცხვი მწერალთა და მეცნიერთა თან-და-თან გამრავლდება, მაშასადამე, ჩვენის ლიტერატურის სხვა-და-სხვა დარგიც გამდიდრდება, ნუ თუ ისე დავგლახაკდით აზროვნებით, რომ ახლაც არ იქმნებიან ჩვენში რამდენიმე მაინც, რომელთაც შეეძლოთ რაიმე საფუძვლიანისა და საყურადღებოს შექმნა?.. მე კიდევ არა ვარ ასე იმედ-და-კარგული, მწამს კიდევ ჩვენის ინტელიგენციის ძალა, მწამს ისიც, რომ ჩვენ შორის არიან ისეთნი, რომელთაც, შეიძლება, ახლაც კი აქესა დამზადებული თხზულებანი და ნაწერები სამეცნიერო და საბელეტრისტო ხასიათისა. თუ ამხანაგობა უარსა ჰყოფს საესტორიო, საბუნების-მეტყველო და საკრიტიკო თხზულებათა ბეჭდვას მხოლოდ იმიტომ, რომ სახალხონი არ არიანო, მდაბიო ხალხისთვის გაუგებარნი არიანო, — ამით ის უღალატებს თავისს უმაჯრესს მიზანს“...

ის აზრი, რომელიც ამ ზემორე ამოწერილს სიტყვებშია გამოხატული ავტორის მიერ, მართალი აზრია, ღრმა და საყურადღებო ყოველ ქართველის კაცისათვის. იგი არის დამაფიქრებელი, იმედის აღმძვრელი, ძარღვებში სისხლის-კლამაჰამაშე-ბელი. ავტორს სწამს ბრწყინვალე მომავალი თვისის-ერისა, — თუ

კი ბებულ-წრფელად ლაპარაკობს, — სწამს აგრენდე აღორძინებდ  
 მისის გონებრივის ვითარებისა, აღყვავება მეცნიერებასა, დაბადე-  
 ბა მოთავე კაცთა, აღზრდა ნამდვილ მამულის შეილთა და სხვა  
 და სხვა!.. მართლაც რომ საგულისხმიეროა ეს აზრი! თუ ცო-  
 ტათი მაინც ვეიცემს კიდევ მადე; თუ ცოტათი მაინც შეგვრ-  
 ჩენია ხასიათის სიმტკიცე, კაცობა, დიდ-სულოვნება, — დიდატ  
 არა გვაქვს ჩენბა. მივეცეთ უმედობას ჩვენ, მხედველი ჩვენის  
 მეცნიერების ასეთის არა სანატრელის მდგომარეობისა. წინა-  
 აღმდეგ ასეთის უმედობისა, ჩვენ ზნობრივად ვალდებულნი  
 ვართ გავმხნევეთ, აღვიჭურვეთ იმედით, სულ-გრძელებით და  
 მხნედ შევედგეთ შრომასა და მოღვაწეობას; ჩვენ ჩვენებურ-  
 დეე უნდა დაკვდეთ წინ ბედის უკუღმა ტრიალს და დაემა-  
 ტკიცოთ, რომ ჩვენში კიდევ არის ნიშნი და სურვილი სო-  
 ციალისა, რომ კიდევ შეგვიძლია გრძობრივი მუშაობა, რომ  
 ჩვენ ჯერ კიდევ არ დავლაჩრებულვართ სულიერად ისე, რომ  
 მეცნიერებისათვის მტკი ბარგი ვიყოთ და ყველასათვის გამო-  
 ლდებარი ფარალი. აი სად არის ეს ძარღვი, რომელიც უფ-  
 რთა მაგრად სცემს ჩვენს ავებულობაში! ამ ბოლოს დროს ჩვენს  
 გზდვიდებულს საზოგადოებაში მრავალს აქვს სურვილი სამშო-  
 ბლო უფლებურას ემსახუროს. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმისა-  
 თვის გაბედვით ხელის მოკიდებას მაინც კი ვერ ვხვდეთ. ამერ-  
 ტეს ნაწილად, სურვილი-სურვილად ჩნება; წყურვილი — წყურ-  
 ვილად და სულის კვეთება — სულის კვეთებად. ხეტავ რა ჩე-  
 რებს ამ გულთა აღტყინებულს და საქმით კი უძლოურს ახალ-  
 თაობას, ამ ახალს ძალას ჩვენ ძისაზოგადოებისას? ან რა წამ-  
 ლი უნდა მოვძებნოთ, რომ სურვილი საქმედ ექცეს, სულის  
 კვეთება — ტკბილ გრძობად, გულის სიმშვიდედ და კმაყოფი-  
 ლებად? აი ამის პასუხის მოცემას ვერ ახერხებს ჩვენ მიერ მო-  
 ძსნებულნი ავტორთ „ნიუ-ონ“-ის წერილისა. მან მშვენიერად  
 დაგვიხატა, რომ ჩვენ მდებერს აქვს სურვილი მუშაობისაო,  
 მაგრამ ის კი ძრულიად ვერ განგვიმარტა, თუ პირველად წას-  
 უნდა შექმნათ ეს ახალი ძალა; ან რა მუშაობა უფრო სა-  
 ჭარბად დღეს ჩვენს განავტორებ გზობს არის, რომ ახლად

ფანშადლებულ მუშაკთათვისა და საზოგადოების გაღვიძებისათვის საკმაო და უფრო საჭიროა „გამოცემა ჩვენისა და ევროპიელ ბელეტრისტების საუკეთესო ნაწერებისა და აგრედვე თხზულებათა შესახებ მსოფლიო ისტორიისა, სუბუნების-მეტყველო მეცნიერებისა, სოციოლოგიისა და საპოლიტიკო ეკონომიისა“.

იმპერატორს ჰხედავს მკითხველი, ის ვინც ისე თამამად ლაპარაკობდა ქართულ მეცნიერებისა და თვით-მეცნიერების აღორძინებაზე, ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს აქ მთელს ჩვენს წარსულს მწერლობას და სახალხო, ანუ საერო პოეზიას. ჩვენ კი ტყუილად გვიხაროდა ახალ მუშაკთა გამოჩენა! ამ მუშაკთა და მოღვაწეთა ერთი წვეთი ძალაც და ერთი წამი დროც კი არ მოახმარებინა ავტორმა ჩვენის ისტორიისა, წარსულ კულტურისა, მწერლობისა და ძველ სახალხო პოეზიის შესწავლისა და გამოკვლევისათვის! გაიგონა თუ არა, რომ „გამომცემელი ამხანაგობა“ დაარსდაო, მაშინვე გაახსენდა სოციოლოგია, საპოლიტიკო ეკონომია და სხვა ამისთანები და აბა, ვისაც ჭკუა გაქვთ, ახლავე ეკონომისტები და სოციოლოგები გავხდეთო!..

ჩვენი პასუხი ეს არის, რომ ჩვენ არა ნაკლებ ავტორისა ვსცემთ თაყვანს სოციოლოგიას და ეკონომიას, მაგრამ როდესაც იმ სულის კვეთებაზე ვლაპარაკობთ, რომელიც ემჩნევა დღეს ჩვენს საზოგადოებას, ან იმ არა-სანატრელ მდგომარეობაზე გვაქვს ლაპარაკი, რომელშიც არის დღეს ჩვენი მეცნიერება, მაშინ, ჩვენის აზრით, ცოტა რამ სხვა წამალს უნდა მივმართოთ, რომ გავხდეთ რასმე. მართლაც; ნუ თუ ჩვენთა ახალთა ძალთა უქმად ყოფნის მიზეზი დღეს ის არის, რომ სოციოლოგიური და ეკონომიური თხზულებანი არ არიან ქართულად ნათარგმნი და დაბეჭდილნი? ჩვენის აზრით, თუმცა ასეთ თხზულებათა გავრცელება ჩვენში დიდად სანატრელია და საჭიროც, მაინც ჩვენის საზოგადოების მწარე ფიქრებს ვერ მოუღებს ეს ბოლოს. თქვენ გნებავთ, რომ დღესვე გავხდეთ ადამსმითები, სპენსერები და სხვა ასეთი ტიტანები მეცნიერებისა? ღმერთმა იმედი ნუ მოგიშლით! მაგას რაღა სჯობია?

მაგრამ მსოფლიო მეცნიერებასთანა და მეცნიერებთან რომ მისწრაფვით, ან ანლავე რომ ლენორმანებს, ბოკლებს, კებერებს, რანკეებს, მომზენებს, დრეპერებს, სპენსტებს და სმბტებს უღვებით გვერდში, ჩვენა მეცნიერება, ჩვენა წასწული კულტურა, ჩვენა ზეპირ-სიტყვიერებისა და შიგლი მწერლობას ნაშთები რაღად დაგვიწყობიათ? თუ კი მსოფლიო საისტორიო თხზულებათა გამოცემას „შეუძლია (ჩვენთვის) სარგებლობის მოტანა“, ჩვენმა ისტორიამ და კერძოდ ლიტერატურა-სიტყვიერებამ რაღა დააშავა? თუ კი უნდა მოველოდეთ ჩვენის აზროვნების ზრდას, რატომ პირველი ადგილი ამ აზროვნებეს მეშობაში ჩვენს წარსულს კულტურას და კერძოდ ძველს სიტყვიერებას არ უნდა დაეთმოს? ან შესაძლოა, რომ, როცა ჩვენის ისტორიისა სახელმძღვანელო არა გვაქვს, დაგვებადნენ უკებ, რაღაც მანქანებით: ლენორმანები, რანკეები, შლოსსერები და ვებერები? კარგი იმედია, მაგრამ ჩვენის აზრით, ეს უფრო ოცნებაა, ვიდრე იმედი. როდესაც შინ ბავშვები შიმშილით იხუცებიან, მაშინ კვერს გარედ რა უნდა? როდესაც ჩვენის თავისა არა ფაგვეგება-რა, სხვას როგორ შევისწავლით? მაშასადამე, ჩვენ ქართველები პირველად ჩვენსავე თავს უნდა დავუტრიალდეთ, ჩვენი თავი უნდა ვიცნოთ და მით ისეთი ნიადაგი უნდა მოვაშობლოთ, რომ სხვა ერთა შორისაც თუ გაჩნდნენ მსურველნი ჩვენის კულტურის შესწავლისა, როგორც აღმოჩნდნენ ბროსე, ლენორმანი, დიუბუა, სენმარტენი, ლესტუბი და სხვანი, აი ამათ შემდლოთ ჩვენის მწერლობის და საზოგადოდ კულტურის შესწავლა. ამისათვის, როდესაც ჩვენ მეცნიერებაზე გვბნდა ლაპარაკი, ან როცა ვიმედოვნებთ, ახალი მწერალნი და მეცნიერნი დაგვებადებიანო, მაშინ პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ ის მეცნიერება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას მთელს ნაციონალურს კულტურას და, მაშასადამე, რომელის მეცნიერების შემუშავებაც უფრო საჭიროა და საჭირო. ეს მეცნიერება, ჩვენის აზრით, გახლავს ისტორია—ისტორია სამოქალაქო, საეკლესიო და სალიტერატურო, ან უკვე რომ ვსთქვათ, მთელის ქართლის კულტურის ისტორია.

არაფერი არა გვჭირდება და არ გვაკლია დღეს ჩვენ — ქართველებს — ისე, როგორც ხეირიანი ისტორია, რადგან უამრსოდ ჩვენი წარსული არის და იქნება კიდევ მოცული სიბნელით, როგორც ჩვენთვის, აგრედვე სხვებისათვისაც, ხეირიანი ისტორია რომ გავვიჩნდებოდეს, მაშინვე გადასთარგმნიან ყველა ენებზე, — რადგან კავკასიის შესწავლა, კარგა ხანია, რაც სწყურიათ ევროპის მეცნიერებს, — გადასთარგმნიან და გაიგებენ ისეთს რამეს, რაც სიზმარშიაც არ მოპლანდებოდეთ ზოგიერთებს. ხოლო ამას კიდევ მოჰყვება, რომ ეს მეცნიერები და მათთა თხოვლებათა წამკითხველნი მხეცებად და ზეღურხალხად აღარ ჩაგვევლიან, არამედ, ამის მაგიერ, მოგვეტანებიან, დატწაფებიან ჩვენის წარსულის შესწავლას და ამ რიგად უცხო ქვეყნებისა და ჩვენის სამშობლოს მეცნიერები ხელჩაკიდებით შეუდგებიან იმ ერთს ჩვენს სატრფიალო საქმეს, რომელსაც მუდამ დღე შევსტკერებთ საცოდავად მარტო ოდენ კეტილის სურვილით აღვსილნი, ოცნებით გატაცებულნი, ხოლო საქმის გასაკეთებლად უნადაგონი, უმწონი და უძლური... მაშინ ყველა გაიგებს, რომ ჩვენ დიდაც ამერიკელი ვეღური არავართ; პირიქით, გაიგებენ, რომ ჩვენ კულტურული ხალხი ვართ, შეგვქმნიან არა ერთი ოქროს სატკუნე მაშასადამე; ვქონია ბრწყინვალე წარსული, აყვავებული ბელეტრისტიკა, სასულიერო მწერლობა, სკოლები, ხელოვნება, მისი სტილი და სხვ...

შეგრამ რა არის საჭირო დღეს იმისათვის, რომ ასეთი ისტორია გავიჩნდეს? ზოგიერთი ვაებატონების აზრით, ამისათვის არ არის საჭირო არც ძველი ადათები, არც თქმულებანი, არც ზღაპრები, არც ლეგენდები, არც სიგელ-გუჯრები და არც სხვა ძველი ნაშთი რამ (იხ. „კლოდ გეს“ თარგმანის წინასიტყვაობა — ზანგისა). იგინი აქაც გირჩევენ მხოლოდ ვიქტორ ჰიუგოების, ბაირონების, რუსთაველების და სხვების (პოეტების) კითხვას. რაზედაც უნდა ლაპარაკობდნენ, მაინც სოციოლოგებს, ეკონომისტებს და პოეტებს ეჭანებიან, მიუხედავად იმისა, შენეწერება თუ არა საქმის ვიფარების ასეთი მოსახრება და

მსჯელობა. თუ არ დაეთანხმე, მზალ არის შენთვის სახელწოდება „რეტროგრადისა“, „ობსკურანტისა“, „ოტსტალისა“, „კონსერვატორისა“ და სხვანი! ეს იმიტომ, რომ ამტკაცებდი ისტორიისათვის ძველ ნაშთების საჭიროებას. მაგრამ ეს იმას ჰგავს, რომ წაღები გქონდეს და იძახოდე, ქუდი რაღად მინდაო? მაშინ, სადაც ბაირონი იქნება, რაღად გვინდა ბოკლი, ან სადაც ვებერი და რანკე არის, იქ რა საჭირო იქნება ჰეინე, შილლერი, შოთა, გეტე, კლოპშტოკი და სხვანი?

მაგრამ ასე სჩვევია „ბულვარის ფილოსოფიას“ და მის კორიფეებს: ჩვენის აზრით კი, ისა სჯობდა, რომ პოეტო პოეტის ადგილას იყოს, სოციოლოგი—სოციოლოგის ადგილას; ისტორიკოსს მივანდოთ ისტორიკოსობა და მაშინ ყველანი კარგნი იქნებიან თავ-თავის ადგილზედ. მაგრამ, ვაი თქვენს მტერს, თუ ესენი ყველანი ერთმანეთში აურ-დარიეთ, ან თუ ისტორიკოსობას აპირობ და ახალ რომანების მეტი არა იწამე-რა?

წინააღმდეგ ასეთის ცრუ ფილოსოფიისა ჩვენ ვიტყვი, რომ ერთი პატარა ნაშთი ძველის მწერლობისა და ან ძველ სახალხო თქმულებისა ზოგჯერ იმდენს ეტყვის ისტორიკოსს, რამდენსაც ვერ ეტყვის მთელი გუნდი ზემოხსენებულ ცრუ ფილოსოფოსებისა, რომელთაც ფანტაზიასზედ განუზრახავთ ისტორიის აშენება. ერთი ასეთი ნაშთი ხანდისხან აღადგენს მთელს ეპოქას ისე, როგორც მაგალითებრ, ორიოდე პუკარმა ეანის წარწერებისამ აღადგინა თითქმის მთელი ისტორია მცირე აზიისა. ასეთივე ნაშთი უკუ-გავადებინებს მრავალს თეორიას და მშვენიერად დასტამბულს წიგნებსაც, სადაც ისტორიკოსი წინ უსწრობდა წყაროების აღმოჩენას და მასალების დამზადებას. სახალხო სიტყვიერების ნაშთებზე გვექნება მსჯელობა ცოტა ქვევით და აქ კი შევჩერდეთ პატარა ხანს ხელოვნურ მწერლობასა და საზოგადოდ ისტორიის ნივთიერს ნაშთებზედ.

„ყველაზე უფრო მდიდარს წყაროს მკვლევარისათვის,—ამბობს აკადემიკოსი ბროსე,—წარმოადგენს კრებული საეკლესიო და კერძო გუჯარებისა. ისტორიის მკვლევარი, რომელიც

მოახმარს მათს კითხვას ორს, ან მეტს წელიწადს, შეადგენს უფრო ანტიკურესო, მდიდარს და ნამდვილს ისტორიას, ვიდრე ვახტანგის, გუტიანისა. უაუთოდ ახალგაზდა ქართველებში გამოჩნდება ისეთი მოყვარული თვისის სამშობლოსი, რომელიც მოკიდობს ხელსამ მშვენიერს საქმეს. „მათში“ თქვენ იზოვიათ, — განაგრძობს იგივე მეცნიერთსხვა აღვილას, — ქრონოლოგიას; აღმინისტრაციას, სჯულის დებას, გადასახადს, ზომებს, წონასც გენეალოგიას, მეფეთა შერის კავშირს, სახალხო ჩვეულებათა და სხვას“ 1) ბიბლიოთეკა მირიანოვი.

სიტე მართალიც არის, ჯანის ლურსმული წარწერები; მაგალითებრ, მხოლოდ რამდენიმე ჰყარია, მაგრამ მათის შემწეობით აღადგინეს ისტორია თითქმის მთელის მცირე აზიისა, და წასწიეს ჩვენი მწერლობა და საზოგადოდ კულტურა რამდენიმე საუკუნით წინ. ამ ორიოდე ჰყარმა მიიქცია ყურადღება მთელის ევროპისა, გამოიწვია მუშაობა ისტორიკოსებისა, და ფილოლოგებისა. ამ წარწერებზედ აღაშენეს ხავისი დიდება და სახელი. გინ კმა (on the cuneiform inscriptions of Van), რომ ბერმა (Etudes archéologiques sur les inscriptions cuneiformes de l'Arménie Paris 1876), შორდმანმა, სუისმა, გიუიარმა და სხვებმა 2) ჩვენს ისტორიაში, ასეთეს ნაშთების შეუკრებლობისა და გამოუკვლეველობის წყალობით აღესაც არა ერთი აღვილრა ჩაბნელებულა და წყვედიად მოკული. გარნა გვაქვს ნება ესთქვათ, რომ ეს ჟრის იმის გამო, რომ ვითომ წარსულს საუკუნოებში ისტორიოგრაფთა არ გვეჩანია და ძველი ნაშთები არ გავაჩინებ არა გვაქვს, რადგან ჯერ სრულიად არ არის გამოკვლეული ძველი ჩვენი ისტორია, ჯერ ჩვენ ხელს არ გვიბოზა ძველ განაოლებიან ცენტრებზედაც. უწინ ასეთეს აღვილასაც კი გვერს

1) იხ. Груды V археологич. съезда, стр. 4 (1879 г.), 420 (1882 г.); Д. Баградов — Археол. пугеш. по Турин и Алларъ. СПб.: 1878 г., стр. 12—13; Д. Пурцеладзе — „Научное значение груз. гуджаровъ“, въ трудахъ предвор. комитета V археол. съезда, стр. 426—430; „Крестъян. грам.“, предисловіе; „Черк. гуджаровъ“, предисловіе.

2) იხ. В. Потановъ. — Вавилскія клинообразн. надписи (Мин.: Царск. Дротава 1874 г.; Янгар, 1875 г.; Яевар).

ნდა განათლების კენჭები, სადაც დღეს ხსენებაც არ არის ქართველისა, მავალითებრ, პალესტინაში, ისინაზე, ათონზე და სხვაგან, სადაც აქეთ-იქით ხდებოდნენ ჩამოწერილი ფურცლოები, ესტრატისა, ამომბიციისა, ხშირად წიგნებ წერას უკლებლად პირუტყვითა ყმაწვილი და თავს ნანებებდა უკვე გაქარბებულ ლიტში ჩვენ გვიწოდეს ჩვენთა წინაპართა და საუკუნეთა გვიწოდებდეს, გვიზადეს, ჩინ იცხს, რამდენი კარაბადინი, სპედეაგოგირე წერილები, სამეცნიერო ქრისტომატიკები, ქრონიკები და სხვა რამდენი საფილოსოფიო, სალოლიკო, სასტრატეგიკო, საბელაღეტისტო თხზულებანი! ჩვენ კი ვიცით ესენი?! არა! გარნა მსურველი ვიან შესწავლისა? ისრულივდაცა უნდა თვითონ შესწავლა არის შეუძლებელი, რადგან ესინაშე დაფანტულ ღია პარიეში, რომში, პალესტინაში, ისინაზე, ათონზე, პეტროპოლურში, მოსკოვში და საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში ზოგიერთს ვაუბრანს რომ კითხვით, ამ ნაშთებისა შესწავლა კი არა, ხელისხლებაცა შრა-ღერს! ამისთანა ვაუბრებები სულ უკლებდა ეტრადებენ წაღმა დასატრიალებელს საქმეს, რადგან ბოლოდან აპირებენ მის დაწყებას, როცა სახელმძღვანელად ებოც არ მოგვობათ, ისინი იძახიან, უცხად სტაციოლოგები, ეკონომისტები და მსოფლიო ისტორიკოსები უნდა გაეხდეთო! სხვებმა თავიდან დაიწყეს საქმე და დიდ ხანს მოუწოდნენ მის და ბოლოებასო და ჩვენ კი ამოვლოვ მივარდებით და ხელად მივ ვალდ საყესთანაო!

აი ამ ოცნებით სტებება დღეს საგრძნობელი ნაწილი ჩვენის ახალგაზრდებსა, იგი მოელის ვილაც მეცნიერებს, მშრომელებს და ის კი ჩვენივედებ, რომ იმათ მასაღისა და ნიადაგის დამზადება უნდათ. რა გამოვა მერე, რომ კიდევ დაგზადნენ მშრომელი და მეუბანი? სუბილად მესალვო ჩემ ქვეყნის ყველა კუთხეებშია მღვანტული?

აქვე ჩვენ მივუვალავით იმ დასკვნას, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა ექმნას დღეს მსოფლიო ჩინის ესტორიას და

\*) А. Пагарели — Памятник груз. старинн. на св. Горе и на Синае (Палестинскій сборникъ) X вып.: Москва — Свѣдѣнія о памятникѣхъ груз. письменности, СПб. 1886 г., гл. II.

ნამეტურ მის წყაროებს, მის მასალებს, ე. ი. ძველს ნაშთებს კულტურისას. მაგრამ ეს ნაშთი არ ეკუთვნის მარტო მწერლობას, ანუ ძველს ლიტერატურას. ძველი მწერლობა ვერ წარმოადგენს სრულს მასალას ისტორიისას, ისტორიკოსს ხშირად იქეთი საგანი შეხედება, რომლის შესახებაც ძველს მწერლობაში არავითარი პასუხი არ მოიპოება. ამ შემთხვევებში ისტორიკოსი იძულებულია მიჰმართოს მეორე წყაროს ისტორიისას, ე. ი. სახალხო ზეპირ-თქმულებათა, ძველს გადამოცემათა, ადათებს, ჩვეულებათა, ან, საზოგადოდ, ძველს სახალხო პოეზიას.

მალად წარსული ერისა, მისი კულტურა, მისი ცხოვრების სხვა-და-სხვა კერძობა და ერის ხსოვნა-მეხსიერება, მისი გარდმოცემანი, საზოგადოდ მისი გონებრივი ნაწარმოებნი, ისე მტკიცედ არიან ერთმანეთ შორის გადაკვანძილნი, ჩაქსოვილ-ჩაწნულნი, რომ უერთმანეთოდ ვერ წარმოადგენენ სრულს მასალას ვერც ლიტერატურის ისტორიისათვის კერძოდ და ვერც ისტორიისათვის საზოგადოდ; მაშასადამე, ვერ დაჰხატავენ წარსული დროის სრულს სურათს \*).

